

# საბჭოთა სელოვნება

1977 7



Утвержден Указом Президиума Верховного Совета СССР  
от 27 мая 1977 г.



# ГИМН

## СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

Текст С. Михалкова и Г. Эль-Регистана  
музыка А. Александрова

Союз нерушимый республик свободных  
Сплотила навеки Великая Русь.  
Да здравствует созданный волей народов  
Единый, могучий Советский Союз!

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,  
И Ленин великий нам путь озарил,  
На правое дело он поднял народы,  
На труд и на подвиги нас вдохновил!

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

В победе бессмертных идей коммунизма  
Мы видим грядущее нашей страны,  
И Красному знамени славной Отчизны  
Мы будем всегда беззаветно верны!

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

Тристановский Регистан

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,  
И Ленин великий нам путь озарил,  
На правое дело он поднял народы,  
На труд и на подвиги нас вдохновил!

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

В победе бессмертных идей коммунизма  
Мы видим грядущее нашей страны,  
И Красному знамени славной Отчизны  
Мы будем всегда беззаветно верны!

Славься, Отечество наше свободное,  
Дружбы народов надежный оплот!  
Партия Ленина — сила народная  
Нас к торжеству коммунизма ведет!

## ეპოქური, ისტორიული ღოკაენები

ოთარ თაქთაქიშვილი

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ყოველ წელიწადს ახალ-ახალი გამარჯვებები და სიხარული მოაქვს. მაგრამ წლებანდელი — 1977 წელი — მაინც სხვაა.

წელს საბჭოთა ხალხი, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

მაისში გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტი.

24 მაისს სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კონსტიტუციის ამ პროექტთან დაკავშირებით აშხ. ლ. ი. ბრუნენემა განაცხადა:

„სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. იგი ჩვენი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი გახდება კომუნისმის პროგრესის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში“.


ქუშმარიტად, ამ სიტყვებით გამოხატულია მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველა მოქალაქის აზრი უდიდესი ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტზე.

ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, აღფრთოვანებითა და ხალხით გვაყვებს ახალი კონსტიტუციის ეს პროექტი. შემთხვევითი არაა, რომ მასში ერთ თავდადა (თავი 3) გამოყოფილი „სოციალური განვითარება და კულტურა“, დიახ, საბჭოთა სინამდვილეში კულტურის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის საერთო წინსვლასთან, მისი სოციალური სტრუქტურის სრულყოფასთან, ხალხის სოციალური კეთილდღეობის ზრდასთან. ამ თავში (მუხლი 27) კანონიერი სიამაყის გრძნობით ვკითხულობთ:


„სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვასა და გამრავლებისათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის ასამაღლებლად მათი ფართო გამოყენებისათვის.

სსრ კავშირში ყოველნაირად ეწეობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედების განვითარებას“.

ჩვენ, ქართული ხელოვნების წარმომადგენლები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ღირსეულად ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ, ქმედით ზრუნვას.




ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი



გაქარია  
ფალიაშვილის  
სახელობის  
თბილისის  
ოპერისა და  
ბალეტის  
სახელმწიფო  
აკადემიური  
თეატრის  
განახლებული  
უენობა





შენობაში შესასვლელი ფოტო

დარბაზში შესასვლელი ფოტო

ქარსმშლი ხალხი დიდი მღვლვარებით ელოდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებულ შენობას, რომლის მშენებლობა დიდი ოქტომბრის მე-60 წელს დასრულდა. 1977 წლის 31 აპრილს ეროვნული მუსიკალური კულტურის ამ შესანიშნავმა კერამ, რომელსაც გასულ წელს 125 წელი შეუპარულა, მიიღო თავისი პირველი სტუმრები — გამოჩენილი ქართველი შემსრულებლები და ეროვნული კულტურის წინაშე ვალმობილი არქიტექტორები, მშენებლები, მხატვრები, მაღალ დონეზე და დადგენილ ვადაში რომ განახორციელეს ის ჭეშმარიტად გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახული იყო 1973 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ სპეციალურ დადგენილებაში — „საქართველოს დედაქალაქს — ოპერის განახლებული შენობა“.



აშენდა ჭეშმარიტად უნიკალური თეატრალური ნაგებობა, რომელშიც ტექნიკური და ესთეტიკური მოდერნიზაციის ამოცანები ორგანულად მიესადაგა თბილისის საოპერო და საბალეტო თეატრს, მის ძველ კონტურებს. არქიტექტურულ-სააღმშენებლო ამოცანებისადმი უაღრესად სერიოზულმა და რაციონალურმა მიდგომამ, მათდამი შემოქმედებითმა და მხატვრულმა დამოკიდებულებამ უფრო მასშტაბური გასადა კომფორტის თვალსაზრისით ეს ჭეშმარიტად თანამედროვე და უნივერსალური ნაგებობა, მთელი სისავსით გამოაჩინა მისი დიდებულება და სილამაზე. მთავარია ის, რომ საფუძვლიანად გარდაქმნილმა და გამდიდრებულმა შენობამ თავისი განუმეორებ-


ბელი სახე, თავისი ხასიათი შეინარჩუნა. ყოველივე ეს იმთავითვე იყო განსაზღვრული ჩვენი არქიტექტორების ლერი მემკვიდრეობისა და მურთაზ ჩაჩანიძის მიერ, რომელთა პროექტმა განმარჯვა ჯერ კიდევ 1973 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცხადებულ სპეციალურ კონკურსზე. დღეს თვალსაჩინოდ დადასტურდა ამ არჩევანის შეუმცდარობა, გამოვლინდა პროექტის ავტორთა ერუდიცია და ის ფართო განათლება, საოპერო თეატრის სპეციფიკის, მისი ხუროთმოძღვრული ტრადიციებისა და თანამედროვე თეატრალური ტექნოლოგიის დრმა ცოდნაში რომ გამოიხატა. აღსანიშნავია აგრეთვე სტილის შეგრძობის ის უტყუარი ალღო, რომელმაც განაპირობა 1896 წელს პეტერბურგელი არქიტექტორის, აკადემიკოს ვ. ა. შტრეტერის პროექტით აგებული თბილისის საოპერო თეატრის (რომლის მშენებლობაც 16 წელიწადს მიმდინარეობდა) რეკონსტრუქციისა და რესტავრაციისათვის დასახული გზების სრული შესაბამისობა.

მაინც როგორ, რა კონკრეტული საშუალებებითა და ხერხებით მიაღწიეს ჩვენმა არქიტექტორებმა, სიძველისა და სიახლის თანაარსებობას? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებს — არქიტექტორებს ლერი მემკვიდრეობისა და მურთაზ ჩაჩანიძის, რომლებმაც, სხვათა შორის, აღნიშნეს:

„თბილისის საოპერო თეატრის, მისი არქიტექტურული სახის შენარჩუნება წარმოადგენდა ჩვენს ძირითად ამოცანას. ერთი მხრივ, ეს შენობა გადაიქცა ქართული მუსიკალური კულტურის, მისი ისტორიისა და წარსულის შესანიშნავ სიმბოლოდ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ორგანულადაა ჩაწერილი ჩვენი დედაქალაქის ლანდშაფტში და მას ანიჭებს კიდევ ძალზე თავისებურ კოლორიტს. ყოველივე ამის გამო თბილისის საოპერო თეატრის შენობა ძვირფასი და მშობლიურია ქართველი ხალხისათვის. მაგრამ ასევე აუცილებელი იყო თეატრის, განსაკუთრებით კი მისი სასცენო ნაწილის რეკონსტრუქცია. ამას მოითხოვდა თეატრალური ტექნოლოგიის თანამედროვე ნორმები, რამაც სასცენო ნაწილის, მისი მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა. ჩვენს წინაშე წამოიჭრა ასეთი ამოცანა: სასცენო ნაწილის გაზრდილი მოცულობა ისეთნაირად უნდა დაგვეკავშირებინა თეატრის სამაყურებლო ნაწილთან, რომ არ დარღვეულიყო შენობის გარეგნული სახე, მისი არქიტექტურა. ამ მიზნით ნაგე-



მოსაწერი დარბაზი



დეკორატიული კედელი





ინტერიერის ერთი კუთხე

ბოზას შევენარჩუნეთ ის საერთო მოცულობითი კომპოზიცია, რომლითაც იმთავითვე გამოირჩეოდა თბილისის საოპერო თეატრი, მისი შენობა..


სასცენო ნაწილის რეკონსტრუქციამ დიდი და საფუძვლიანი ცვლილებები შეიტანა შენობის ინტერიერში. აშენდა მაყურებელთა ახალი დარბაზი. წინანდელთან შედარებით სრულიად შეცვლილია მისი არქიტექტურული სახე, კონფიგურაცია, გაბარიტები. სამაგიეროდ, შეენარჩუნეთ მხატვრული დამუშავების სტილი, ე. წ. ფსევდომაგრული ხუროთმოძღვრების ის ელემენტები, რომლებიც ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან თბილისის საოპერო თეატრის თავისებურ კოლორიტს.

ასეთი ცვლილებების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ყურებისა და მოსმენის პირობები. მაყურებელთა დარბაზში უკვე აღარ არსებობს ისეთი წერტილები, საიდანაც ცუდად ჩანს სცენა. მოისპო ჭანდარაც, ყველან — პარტერშიაც და იარუსებზედაც დგას ერთიანი სავარძლები, რაც არ იყო წინათ.

მაყურებელთა დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით — განათების სპეციალური დანადგარებით, ტელე და რადიოგადაცემათა სისტემებით. რადიო-ტექნიკური კომპლექსი განლაგებულია დამატებით სართულზე, რომელიც გაშენდა ბოლო იარუსის თავზე. თეატრი შეიარაღდა შიდა-ტელეხედვის სისტემითაც, რომელიც დირიჟორს თუ რეჟისორს დააკავშირებს სასცენო ნაწილის ამა თუ იმ უბანთან. ეს კი ხელს შეუწყობს და გააადვილებს სპექტაკლის მართვის პროცესს, მის ორგანიზაციას. მაყურებელთა დარბაზი რადიოფირებულებაცაა, რაც საგანგებო ხმოვანი ეფექტების მიღების საშუალებას იძლევა.

თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივმა მიიღო სრულიად ახალი სცენა, რომლის მოცულობა, წინანდელთან შედარებით, გაზრდილია 40 პროცენტით. მას მიუშენდა თანამედროვე სასცენო კომპლექსის ისეთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორც „კიბეები“, სადაც მოწყობილია სპეციალური სასცენო დანადგარები. მათი საშუალებით საგრძნობლად მცირდება დეკორაციების, სცენების ცვლის დრო. თვით ეს პროცესიც უფრო ეფექტური ხდება.

სცენის პლანშეტი აღჭურვილია ოთხი ასაწვევ-დასაწვევი ბაქნით (თითოეულის ზომა 16×3). მათი საშუალებით სასცენო რელიეფი სწრაფად იცვლის სახეს, იღებს სხვადასხვაგვარ ფორმას. ამ ბაქნებით იქმნება დახრილი იატაკიც, რაც



წითელი დარბაზის აივნის კარი


საბალეტო სპექტაკლებისათვის არის საჭირო. სულ სცენაზე მონტაჟდება ხუთი მოძრავი ბაჰანი — 4 გვერდებში, ერთი ცენტრში (არიერსცენაზე), ასევე მოძრავია საორკესტრო ორმოს ბაჰანიც, რომელიც საჭიროების მიხედვით უტოლდება სცენის პლანეტის ღონეს, ან ეშვება 2 მეტრის სიღრმეზე.


თეატრის სასცენო ნაწილს მიუშენდა ახალი სათავსოები — სამი სარეპეტიციო დარბაზი ბალეტისათვის, ერთი სარეპეტიციო დარბაზი გუნდისათვის. ცალკე გუნდისა და ორკესტრისათვის განკუთვნილია საკმაოდ დიდი სარეპეტიციო დარბაზი ესტრადითურთ. სასცენო ნაწილშია განლაგებული აგრეთვე კლასები ინდივიდუალური მეცადინეობისათვის, ნახიობთა საპირფარეშოები, ოთახები სოლისტებისათვის, გუნდისა და კორდებალტისათვის. ეს ოთახები აღჭურვილია სანტექნიკური დანადგარებით. ამავე ნაწილშია განლაგებული თეატრის ადმინისტრაცია, საგრომიორო, სატრიოტაკო და სამკერვალო სახელოსნოები.

უცვლელადაა აღდგენილი საოპერო თეატრის ფოიე-ვესტიბიულები. აღდგენითი სამუშაოები წარმოება დარჩენილი ფრაგმენტებისა და 1896 წელს (თბილისის საოპერო თეატრის გახსნის დღეს) ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით. ფოიე-ვესტიბიულებში დაგებულია მარმარილოს ახალი იატაკები, მარმარილოს პანელები, გამოყენებულია გაფორმების ახალი დეტალებიც.

სრულიად ახალ ადგილზეა მოთავსებული ბუფეტი, რომელიც წინანდელთან შედარებით ორჯერ უფრო დიდია და აღჭურვილია ყველა საჭირო სათავსოთი. იგი მანამდე გამოუყენებელ სარდაფშია გაშენებული.

წითელი დარბაზი





დიდი ქალი

ადრე ფოიე-ვესტიბულების დიდი ნაწილი ეკავა ბუფეტსა და თეატრის ადმინისტრაციას, რომელიც რეკონსტრუქციის შედეგად მთლიანად გადავიდა თეატრის სასცენო ნაწილში. გამოთავისუფლებული ტერიტორია კი ფოიე-ვესტიბულებს შეუერთდა, რამაც საგრძნობლად გაზარდა მაყურებელთა სარეგრიაციო ფართობი.

საოპერო თეატრის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აკუსტიკას. სწორედ ამ მიზნით პროექტის შექმნისთანავე გაკეთდა მაყურებელთა დარბაზის მაკეტი, რომელიც გაიგზავნა ტალინში, აკუსტიკის სპეციალისტთან, პროფესორ ჰელმუტ ორუვეესთან. მან სპეციალური ხელსაწყოებით შეამოწმა მაყურებელთა დარბაზის აკუსტიკური პარამეტრები და მოგვცა გარკვეული რეკომენდაციები მოსაპირკეთებელი მასალის გამოყენების შესახებ.

ჩვენი პროექტი გაკეთდა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში (ყოფილი დირექტორი გ. ანდრონიკაშვილი, მთავარი ინჟინერი მ. ცენტერაძე, ინჟინერ-კონსტრუქტორები ჯ. ბოკერია, ზ. გოგიაშანიძე). პროექტის დამუშავებაში მონაწილეობდა ინსტიტუტის ყველა ქვეგანყოფილება; კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის განყოფილება (უფროსი ლ. ლაცაბიძე), ტექნოლოგიური განყოფილება (უფროსი ი. ნასიძე). სახარჯობრივობის განყოფილება (უფროსი რ. გაჩეჩილა-

ძე), გეოლოგიური განყოფილება (უფროსი ა. ბადრიძე).

პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი დამუშავდა მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტში „გიპროთეატრი“ (მთავარი ინჟინერი ი. კლიუზნერი), მექანიკური ნაწილი დამუშავდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპროექტო ბიუროში „კულტპროექტი“, მთავარი ინჟინრის რიგში კატარავას ხელმძღვანელობით.

სცენის ასაწევ-დასაწევი ბაქნები დააპროექტა, დაამზადა და დაამონტაჟა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „ცილერმა“.




საოპერო თეატრის მშენებლობა შეიცავდა მრავალ ახალ, უჩვეულო სამუშაოს, რომლის განხორციელებას შესძლებდნენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მშენებლები. ამ საქმეს ჩინებულად გაართვა თავი საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის (მმართველი გ. გოგიჩაძე) მე-5 სამმართველომ (უფროსი გ. რამიშვილი, მთავარი ინჟინერი გ. გაბეჩავა, უბნის უფროსი გ. მახარაძე).

თეატრის სამაყურებლო ნაწილი აღჭურვილია განათების ინდივიდუალური არმატურით, რომლის ავტორია მხატვარი ნოდარ ერგემლიძე.

მან მაღალმხატვრულად გადაწყვიტა არქიტექტორების მიერ დასახული ამოცანები — განათების ინდივიდუალური არმატურის სტილი და მასშტაბი მშვენივრად მიუსადაგა ინტერიერის საერთო შთაბეჭდილს“...

მართლაც, მხატვარ ნოდარ ერგემლიძის ეპიკურების მიხედვით დამზადებული სინათლის ინდივიდუალური არმატურა — ბროლის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქაღები, ბრები, ტორშერები, პლაფონები, — წარმოადგენს მთელი ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელო-

მაყურებელთა დარბაზი




ვენების უძვირფასეს სენაქენს, თბილისის საოპერო თეატრის მშენებას.

განათების ინდივიდუალური არმატურა მხოლოდ მხატვრული გაფორმების ფუნქციას როლი ასრულებს. იგი სტილისტურად ჰკრავს და აერთიანებს ინტერიერის სურათმოდერულსა და მხატვრული დამუშავების დეტალებს.

თვით მხატვარ ნოდარ მერაბიშვილის აზრით:

„განათების არმატურა იქმნებოდა ინტერიერის დეკორის, მისი სტილის გათვალისწინებით. ამიტომ ჭაღების დეკორატიული ნაწილში, რომელიც დამზადებულია თითბერისაგან, გამოყენებულია ის ორნამენტული მოტივები, რომლებიც დამახასიათებელია ინტერიერის მხატვრული გაფორმებისათვის. ეს მოტივები გასდევს განათების მიუღ არმატურას — ყოველ ჭაღს, ტორშერსა თუ ბრას.

თბილისის საოპერო თეატრის ინტერიერში განლაგებულია 11 სხვადასხვა სახეობის 33 ჭაღი, ერთი სახეობის 89 ბრა, 360 პლაფონი ხუთსართი დეკორით, 16 ბრა კიბის უკრედებში, 4 ტორსერი. ამათგან ცენტრალური ჭაღი, რომლის დიამეტრი 4,5 მეტრია — 2,5 ტონას იწონის.



სინათლის არმატურაში გამოყენებულია 200 სახეობის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბროლის დეტალი, რომლებიც მეორედებიან ყოველ ჭაღში სხვადასხვა ვარიანტით.

ბროლი დამზადდა ავსტრიაში სახელგანთქმული ფირმა „ჰაუტის“ მიერ, რომელიც 100 წელზე მეტია, რაც მიეწოდება ნაოფლიოს თეატრებს ემსახურება. „ჰაუტის“ ნახევარი ამჟამინდის ვენის საოპერო თეატრს, პარიზის „გრანდ-ოპერას“ და სხვა თეატრებს.

ფოლადის კასკადები მალახზარისხიანად დამზადდა დიმიტროვის სახელობის ქარხანაში (დირექტორი ი. ხვედელიანი), ეს უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაო წარმოებაში ჩაეშვა 1976 წლის 16 მაისს.

სინათლის არმატურის აწყობაში, რომელიც აგრეთვე დიმიტროვის სახელობის ქარხანაში სწარმოებდა, მონაწილეობდნენ თბილისის სახმატეო აკადემიის კურსდამთავრებულები, ახალგაზრდა მხატვრები ვ. ავაჯანაშვილი, ჯ. გვალია, გ. გვალია, ი. ჩარგვიცილი...“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგინდების „საქართველოს დღე-ღამეები — ოპერის თეატრის განახლებული შენობა“ განხორციელება დაევალა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 5 სამმართველოს, რომელმაც ძალზე ოპერატიულად მოახდინა ძალთა მობილიზაცია ერთენული კულტურის ამ ფრიად მნიშვნელოვან უბანზე და იმათათვის განახლდა მშენებლობის მაღალი დონე და ხარისხი, სწორი გეზი მისცა მის ტემპსა და რიტმს. სწორედ მშენებელთა დამახმურება, რომ თბილისის საოპერო თეატრი აშენდა და მწყობრში ჩადა დადგენილ ვადაში. ამაში გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონია მშენებელთა თავდადებულმა მუშაობამ, შრომის მკაცრმა რეჟიმმა და დისციპლინამ, ენთუზიაზმმა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა მიწრში რამშვილმა გვიამბო:

„დადგენილი ნორმატივების მიხედვით ასეთი რთული და დიდი საამშენებლო ობიექტის დაპროექტებისათვის გათვალისწინებულია 4 წელი, ამდენივე და უფრო მეტი დრო მშენებლობისათვის. თბილისის საოპერო თეატრის დაპროექტება და მშენებლობა კი ერთდროულად დაიწყო, რამაც მოგვარებინა დიდი დრო — მთელი ოთხი წელიწადი. მშენებლობის დაჩქარება და მისი მაღალი ხარისხი განაპირობა აგრეთვე იმ შეთანხმებულმა, ზუსტმა და რაციონალურმა მუშაობამ, იმ ჭეშმარიტად კოლევიალურმა დამო-


კიდებულებამ, რომელიც იმთავითვე დამყარდა მშენებლებსა და საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის. და ბოლოს გადაწყვეტი მიიშვენებოდა იქონია საქართველოს მთავრობის, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მხარდაჭერამ, ყოველდღიურმა ზრუნვამ და დახმარებამ ჩვენთვის, როგორც იტყვიან, გახსნილი იყო მწვანე გზა, რაც გვიადვილებდა წინააღმდეგობების დაძლევას, ურთულესი ამოცანების გადაწყვეტას.

მხარდაჭერას ვგრძნობდით დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების მხრიდანაც. გენმარბოდნენ თბილისელი სტუდენტები და მესტიელი კომკავშირელები, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, მშრომელები...

უაღრესად რთული და ძნელი აღმოჩნდა მშენებლობის დასაწყისი, რომელსაც 1974 წლის მარტში შევედექით. ნგრევისა და სამუშაოებმა გაატანა რამდენიმე თვეს, მშენებლობას — რკინაბეტონის სამუშაოებს იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში შევედექით. თავიდანვე წვაწყდით დიდ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს. არ ხერხდებოდა საძირკვლის ჩასაყრელი ქვაბულის მოწყობა, ვინაიდან მეტანმეტად შეზღუდული იყო მისი ტერიტორია. ამისათვის მოვიხიდა ვასახული ხიზნჯების გამოყენება, არქიტექტიკაც მანამდე ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობდა. უაღრესად შრომატევადი აღმოჩნდა აგრეთვე დარჩენილი ნაშთების გასამაგრებელი თხრილის გაკვალვა შენობის მთელი კონტურის გარშემო, რომლის დროსაც, ისევ ტერიტორიული სიციწროვის გამო, ვერ მოვიხმარებ ვერავითარი ტექნიკა. ამიტომ ამ სამუშაოს ხელით ვაწარმოებდით.

ძირითადად კი თბილისის საოპერო თეატრის მშენებლობაში ფართოდ ვიყენებდით თანამედროვე ტექნიკას. მშენებლობის პროცესში თავდაუშოვავად, მთელი დატვირთვით მუშაობდნენ უნის უფროსები: გ. მასარაძე, შ. ხომერიკი, გ. ჭანტურია, სამუშაოს მწარმოებლები — ჯ. ცუხიაშვილი, გ. სახელაშვილი, კ. გოგუაძე, ხ. ხასიაშვილი, დურგლები — ა. და რ. არეშიძეები, მეარმატურეები — შ. კუტიძე, ი. გოდინი, მემონტაჟეები — ი. დავლაშვილი, დ. კაპანაძე, მებეტონეები — გ. კაპანაძე, ნ. სხილაძე, ა. გამყემლიძე, მხატვრები — ბ. მასსურაძე, ა. გრიგორიანი, მქერვაძეები — გ. სიღამონ-ერისთავი, ვ. შარბური, ნ. ჩეკინისა და ტერეშჩენკოს ბრიგადის ქვაზე ჭრის ოსტატები.

მშენებლობის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს მშენებლობის სამინისტ-



ტროსა (მინისტრის მოადგილე მ. კვიციანი) და № 13 საშენებლო ტრესტის (მმართველი გ. გოგიჩაძე) მუშაკებსა...

მშენებლობის უზრუნველყოფა სამი ასსზე მეტი დასახელების შემოსაზიდი და დასამონტაჟებელი დანადგარ-მოწყობილობებით ევალმობდა მშენებარე ობიექტის დირექციას, რომელიც ძალზე ოპერატიულად უწყვედა კოორდინაციას მშენებლობის ამ თუ იმ უბანზე ერთდროულად მიმდინარე პროცესებს. ამ ამოცანების განხორციელება ევალმობდა ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფს, რომლის ხელმძღვანელმა ლმნა ქარსლაძემ აღნიშნა:

„თბილისის საოპერო თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 8.5 მილიონ მანეთს. აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დიხარჯა 5 მილიონ მანეთამდე. ეს თანხა მიზმარდა პროექტით განსაზღვრული დანადგარ-მოწყობილობის დაკვეთას, დამუშავებასა და შემოზიდვას. დამკვეთის როლი დაკვირვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს (უფროსი ბ. ზაუტაშვილი), ოპერაციების წარმოება კი დაველა მშენებარე ობიექტის დირექციას. დიდი დახმარება გაგიწვია რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც საშუალება მოგვცა დავემყარებინა კონტრაქტი საზღვარგარეთის ცნობილ ფირ-

მებთან, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფრმა „ცოლორთან“, რომელმაც სცენის ასაწვევ-დასაწვევი ბაქნები დაგვიმზადა და დამონტაჟა მშენებარე ობიექტის ადგილზე, ავსტრიის ფრმა „ჰაუბტმა“ დაგვიმზადა ბროლის დეკალები განათების ინდივიდუალური არამატერიალური, უნგრეთის ფრმა „არტექსმა“ კი ჩვენი არქიტექტორების ესკიზების მიხედვით გაგვიკეთა სავარძლები. უნგრეთიდან მივიღეთ ხმის ჩამწერი აპარატურა, პოლანდიიდან გამოვიყენეთ ნოხები იატაკის მოსაპირვეთებლად.

სასცენო მექანიზმებისა და არასტანდარტული დანადგარების დამზადებაში აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა წამყვანი ჭარხანა, მათ შორის — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ჭარხანა (დირექტორი ი. ხვედელიანი), სადაც დამზადდა დეკორაციების შესანახი სეიფი, რომელიც არიერსტენაზე მოთავსებული, ლითონის კარკასებით, ცენტრალური ჭადისა და განათების ინდივიდუალური არმატურისათვის, სცენის სადადგომ განათების არასტანდარტული მოწყობილობები კი დამზადდა თბილისის კიროვის სახელობის ჭარხანაში (დირექტორი დ. კიკნაძე) პროექტით გათვალისწინებული სხვა ტექნიკური აღჭურვილობანი კეთდებოდა ლენინგრადის ობიექტურ-მექანიკურსა და მოსკოვის „სახოტაქსინათლის“ გაერთიანებებში.

დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივი მრეწველობის ლითონკონსტრუქციების ჭარხანამ (დირექტორი გ. მგალობლიშვილი), ორჯონიკიძის სახელობის ჭარხანამ (დირექტორი ა. კილაძე), 26 კომისრის სახელობის ჭარხანამ (დირექტორი რ. ცინცაძე), გაერთიანება „მლვაში“, და სხვა ორგანიზაციებმა.

არასტანდარტული მოწყობილობების სამუშაო ნახაზების დამზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საქართველო ინსტიტუტი „კულტპროექტი“ და მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის საკონსტრუქტორო ბიურო, თბილისის საოპერო თეატრის მშენებლობის დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ვკიდებოდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო (მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილი).

დიდი ღვაწლი დადო თბილისის საოპერო თეატრის მშენებლობას დაგეგვით ჯგუფის ყოფილმა მთავარმა ინჟინრმა, გამოცდილმა და ფართოდ გაჩაბლებულმა მშენებელმა კარლო მორეტიმ. მან მშენებლებს თავიდანვე დაუსახა და კანონად აქცია კიდევ ის მაკაყრი და ზუსტი

მოთხოვნები, რომლებმაც განაპირობეს მშენებლობის მაღალი ხარისხი. დიდი მუშაობა ჩაატარა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო სპორტეო ინსტიტუტმა, რომლის წარმომადგენელი — დამპროექტებელი ჯგუფი — ყოველდღიურ მუშაობას აწარმოებდნენ მშენებარე ობიექტის ტერიტორიაზე. მშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომარგება-გასაღების მთავარმა სამმართველომ (უფროსი ა. ბუაძე) და საქვომპლექტმოწყობილობის სამმართველომაც (უფროსი გ. ქართველიშვილი).

დაბოლოს, თავდადებულად მშრომობდნენ ჩვენი გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მუშები, რომლებმაც მშენებლობის დასაწყისშივე საკუთარი ინიციატივით დააწყეს მუშაობის სამეცლური გრაფიკი. ისინი დასვენების დღეებსაც მშენებლობაზე ატარებდნენ, ღამეებს ათენებდნენ, რათა დროულად და მაღალხარისხიანად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული ვალდებულებები.“

30 აპრილს თბილისის საოპერო თეატრის მშენებლობის დამთავრების აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო კონცერტი. საღამო გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ოქსანა შაქმაშვილიმაც, რომელმაც თქვა:

„ქართველი ხალხი ყოველთვის იყო საოპერო ხელოვნების ტრფიალი და ამ ხელოვნების განვითარებაში თავისებური წვლილის შემტანი. ამიტომ გასაგებია ის მღელვარება, რითაც ქართველი სასოფადობრიობა ელოდება საოპერო ხელოვნების დიდი კერის — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნას, რომელმაც დღეს ჩამოიშორა უკანასკნელი ხარაჩოები და ახალი სფეროიდან შემოქმედების მოღვაწეობას შეუდგება.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ კვლავ შევდივართ იმ კედლებში, სადაც პირველად გაიხსნა საქარია ფალიაშვილის უცვლადი ოპერების პანგები, სადაც სცენური სიცოცხლე ჰპოვეს ჩვენთვის კარგად ცნობილი კომპოზიტორების — ა. ბალანჩივასის და შ. შველიძის, ალ. მაჭავარიანისა და დ. თორაძის ა. კერესელიძისა და ს. ცინცაძის და სხვათა მწილებებმა, სადაც გაიხსნა გ. სარაჯიშვილისა და ს. ინაშვილის ხმა, სადაც დირიჟორობდნენ ივ. ფალიაშვილი და ე. მიქელაძე, სადაც მრავალჯერ მოვეხებივართ გ. ჭაბუკიანის საბალეტო ხელოვნებას.

ჩვენში იმდენად ცხოველია საკუნოვანი საოპერო ხელოვნების ტრადიციები, ისე ცოცხლად

შევიკრძობოთ სახელოვან ადამიანთა სულს, მათ უკვედგ ხელოვნებას, რომ ამ შენობაში მოხვედრისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს საყვარელ შემოქმედთა პანეები, უწინდებური სიკსახითი არ მოგვესმას სახელოვანი მოხლოების დ. ანდლეულადისა და პ. ამირანაშვილის ხმები.

ამ სასიხარულო განცდას ისიც ზრდის, რომ შენობამ ახალი თვისებები შეიძინა. ჩვენმა არქიტექტორებმა და მშენებლებმა, ერთი მხრივ, ენერჯია არ დაზოგეს იმისათვის, რომ ნაგებობას შეენარჩუნებინა პირვანდელი სახე, ყველა სხვა თვითრისაგან გამორჩეული არქიტექტურული სტილი, მოსატულობა, მეორე მხრივ, თეატრს შეემატა ბევრი ისეთი სიახლე, რაც დასაბამს მისცემს ქართული საოპერო ხელოვნების ახალ აღმაშობებას.

სრულიად შეიცვალა სასცენო მოწყობილობა. იგი აიგო თანამედროვე ტექნიკური მიღწევების უკანასკნელი სიტყვით: გაფართოვდა სცენა, შეემატა ორი „იბიჟე“, სადაც შეიძლება დეკორაციების მიზილური ცვლა, გაიზარდა სცენის სიღრმეც, სცენის ტრიუმფდან შეიძლება შუა რეკვიზიტის ამოტანა და სცენის ცალკეული მონაკვეთების მოძრაობა ვერტიკალურად სხვადასხვა სიმაღლეზე. გაზრდილია საორკესტრო „ორმოს“ მოცულობა. მისი მექანიზაცია საშუალებას გვაძლევს ორკესტრი სურვილისამებრ ამოყვანილ იქნას სცენის სიბრტყეზე. ეს ოპერაციას ვე სწრაფად ხდება, რომ ბრწყინვალე ბაზას იძლევა სიმფონიური კონცერტების მოწყობისათვის. ბევრად კომფორტული გახდა მაყურებელთა დარბაზი. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ იგი სილამაზით მხარს უსწორებს მსოფლიო საოპერო თეატრების დარბაზებს. სცენის სიფართოვეს პარმიონიულად შეესატყვისა ცვლილებანი დარბაზშიც. ნებისმიერი ადგილიდან მაყურებლისათვის მოსმენა და დანახვა მოსახერხებელი გახდა. აღარ არის ე. წ. „შეკადრი წერტილები“. გაიზარდა დარბაზის სიმაღლე. თეატრმა მიიღო განათება, რომლის რეგულაცია ხდება ავტომატური პულტებიდან. თეატრი გამწვინდრა სარეპეტიციო დარბაზებით, რომელთაგან ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მეორე სცენის ფუნქციას შეასრულებს. თეატრს შეუერთდა ახალი მრავალსართულიანი შენობა, მასში მოთავსებულია დირექცია, მსახიობთა ოთახები და სხვა ტექნიკური სამსახური.

დღეს, აქ მსოფლიოს ნებისმიერი საოპერო დასის მიღება შეიძლება. კეთილმოწყობილი გა-

ხდა ფოიებეიც. აივანს, რომელიც რუსთაველის გამზირზე გამოდის, ერთ ვერდიტი აივანი შეემატა. სარდაფის სართული გადაკეთდა კომფორტულ ბუფეტად მაყურებლებისათვის.

როდესაც თვალს გადაავალებთ მშენებელთა ნამოღვაწის, საოვრად გაგვიკვირდება, რომ თეატრის აღდგენითი სამუშაოები უმოკლეს დროში შესრულდა.

ახალ შენობაში საოპერო დასი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით სეზონს გახსნის ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. მას მოჰყვება „დასისი“, რომელიც თეატრმა ახლახან ააღადინა.

საინტერესო სიახლეს გეთავაზობს საბალეტო დასი. სეზონის გახსნისთანავე წარმოადგენს ორ პრემიერას—ს. ცინცაძის „სვანურ ლეგენდას“ და პ. ჩაიკოვსკის „შრეკუნჩიკს“.

ახლა, როცა ახალ თეატრში შესვლისათვის ყველაფერი მზად არის, მადლიერების გრძნობით ვისხენებთ პროფესიულ კამერებს, რომლებმაც ხელი შეგვიწვეს ჩვენთვის მძიმე პერიოდში და ფართოდ გავიფიქრეს ახალი სასახლის კარი, სადაც მომზადდა და დაიდგა რ. ლალიძის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, მოცარტის, ვაგნერის, ვერდის და სხვათა ნაწარმოებები.

მე მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა პროექტის ავტორებს, ინჟინრებს, მშენებლებს, რომლებმაც თავდადებული შრომით ქართველ ხალხს ააუღდინეს მისი სულიერი ცხოვრების საყვარელი კერა — საოპერო თეატრი.

დიდი მადლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს მთავრობას დაუღალავი ზრუნვისათვის, ამ თეატრის აღდგენაში გაწეული ღვაწლისათვის.

დიდ წარმატებას გისურვებთ ჩემო საყვარელო კოლეგებო, ოპერისა და ბალეტის მსახიობებო, ბალეტმეისტრებო და მსატეტრებო, დირიჟორებო და რეჟისორებო, კომპოზიტორებო და ლიბრეტისტებო.

გისურვებთ, რომ თქვენი ნიჭიერი შრომითა და შემოქმედებით ბევრჯერ გაგებარებინოთ ჩვენი საზოგადოება და მალე გეტარებინოთ ქართული საოპერო ხელოვნების სახელოვანი ტრადიციები.“





პარტია მალალ შეფასებას აძლევს პროფკავშირების უდიდეს წვლილს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, ყველასავე სპირიტუალურ და სპორტულ მათი როლის განუხრებელ ამაღლებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

საკვ. ცანტარაძე კომიტეტის მდი. სალმეა სსრ კავშირის პროფკავშირული კავშირების XVI ყრილობას.

# გეროქელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საქართველო ფესტივალი საქართველოში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საქართველო ფესტივალი. ჩვენს ქვეყანაში, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, ყველა პირობა შექმნილი ხალხური ტალანტების სრულად გამოვლენისათვის, ხალხების მრავალეროვანი და მდიდარი შემოქმედების განვითარება-აყვავებისათვის. მხატვრული თვითმოქმედება ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სახეა მილიონთა შემოქმედებისა, მილიონთა ხელოვნებისა. საბჭოთა პროფკავშირების XVI ყრილობაზე, მიმდინარე წლის მარტში, სკკპ ცენტრალურა კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჯნევი ამბობდა: „ტექნიკური შემოქმედება, ფიზკულტურა და სპორტი, მხატვრული თვითმოქმედება — ყოველივე ეს მილიონთა მოთხოვნილებად იქცა და აქ პროფკავშირებს უდიდესი შესაძლებლობები, უფართო-ესი სამოქმედო სარბიელი აქვთ“.


მართლაც, განუზომელია აქ პროფესიული კავშირების — „მართვა-გამგეობის სკოლის, კომუნისტების სკოლის“ როლი, რომელთაც დადი დამსახურება მიუძღვით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ეს აღნიშნა საბჭოთა პროფკავშირების XVI ყრილობაზე. განუსაზღვრელია ყრილობის მნიშვნელობა. აქ ერთ-

ხელ კიდევ გაეცა ხაზი პროფკავშირების უძღვევ კავშირის კომუნისტურ პარტისთან, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი მის ერთგულებას.

ამ კავშირის, ამ ერთგულების თვალსაჩინო გამოვლინებაა სწორედ მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საქართველო ფესტივალი, რომელიც 1975 წლიდან მიმდინარეობს მთელ ჩვენს ქვეყანაში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

ჩვენს რესპუბლიკაში ფესტივალის მალალ დონეზე ჩატარებისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს პროფკავშირის თავმჯდომარის თ. როს. შვილის ხელმძღვანელობით. საორგანიზაციო კომიტეტმა მთელი თავისი მუშაობა იქითვე წარმართა, რომ გააოველინებინა ქვეყნის ტალანტები, მოეხიდა რაც შეიძლება მეტი კოლექტივები.

აშეამალ უკვე დამთავრდა ფესტივალის მესამე დამთავრებელი ეტაპი. ცნობილი გახდა ყველა სახეობაში გამარჯვებული რესპუბლიკური თვითმოქმედი კოლექტივები: სახალხო თეატრები, აკადემიური გუნდები, ვოკალური და ცეკვის ანსამბლები, ხალხურ საკრავთა, სასულე და საესტრადო ორკესტრები, სახვითი ხელოვნებისა და კინოოპერატორები. სახალხო კინოსტუდიები და ინდივიდუალური შემსრულებლები, რომელთაც მი-



სამშულო ომის ეტერანო გუნდი «კავკასიონა»

ენიჭათ ფესტივალის ლაურეატის წოდებები და ოქროს მედლები.

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ღირსეულად წარსდგებიან თვითმოქმედი ხელოვნების დიდ დღესასწაულზე, რომელიც გაიმართება წლეულს შემოდგომაზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

მესამე ტურმა ისევე, როგორც პირველმა და მეორემ, გამოავლინა ახალი მხატვრული კოლექტივები, ხალხური შემოქმედების მასობრიობის შემდგომი აღმავლობა. ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება, ხალხური ხელოვნების მისწვბელები, თვითმოქმედი ხელოვნების მოყვარულთა საშემსრულებლო ოსტატობის ამაღლება.

ამასთან ერთად ფესტივალმა წარმოაჩინა აგრეთვე არსებითი ნაკლოვანებანიც. ეს ნაკლოვანებანი ძირითადად მხატვრული შემოქმედებითი ხასიათისაა.

ახლა უკვე ნათელია, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს რეპერტუარს. რათა მასში სათანადო ადგილი დაიკავოს ჩვენი დღევანდელი დღის შემოქმედის — მუშის, გლეხისა და საბჭოთა ინტელიგენტის შრომითმა საქმიანობამ, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს

ყურადღება საბჭოთა ახალგაზრდობის — ჩვენი ხელოვნდელი დღის ცხოვრებისა და შრომის ასახვაზე, გაფართოვდეს პროფესიული ოსტატობის შეფობა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებზე. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმიანი დახმარება რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივებისადმი, რაც საზოგადოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების ყველა სახის კოლექტივებში გაერთიანებულმა ათეული მილიონობით ადამიანმა დღეს უკვე კარგად უწყის, რომ ჩვენი გვირული აწმყო და მომავალი დიდ ამოცანებს, პერსპექტივებს უსახავს კელტურის ყველა დარგის მუშაებს. ეს კიდევ უფრო მეტს ავალებს მათ.

შრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალის მესამე რესპუბლიკური ტურის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს სსრ შრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალის დირექციის ხელმძღვანელოს, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილის სტატუსს.



# ხალხური შემოქმედების გეიმი

მიხეილ ჩირ. ნაშვილი

საკაპშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკეცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი.

ფესტივალი, რომელიც დაიწყო 1975 წელს და დამთავრდა 1977 წელს მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60-ე წლისთავს.

ფესტივალის მიზანი იყო: ხალხური შემოქმედების, მისი მასობრიობის შემდგომი ზრდა, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება, საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება, თვითმოქმედი ხელოვნების ყველა განიხილვისა და სახეობის განვითარება, საშემსრულებლო დონის ამაღლება, რეპერტუარის გამდიდრება-განზავალფეროვნება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ხალხთა ლენინური მემკობრიობის პროპაგანდა ხელოვნების საშუალებით, ხალხური შემოქმედების მატერიალური ბაზის განმტკიცება, სამეფო მუშაობაში ინტელიჯენციის ფართოდ მოხილვა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოყენება მოსახლეობის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კულტურული მომსახურებისათვის.

მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი ჩატარდა ხელოვნების შემდგომ სახეობებში: მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური, სახეობითი და დეკორატიულ-გამოყენებითი, საცირკო, ფოტო და კინო.

მუსიკალური ხელოვნების დარგში ჩატარდა აკადემიური გუნდებისა და ანსამბლების, ხალხური გუნდების, სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლების,

ხალხურ საკრავთა სასულე და საესტრადო ორკესტრების, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისა და მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტები.

ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში — ხალხური ცეკვის კოლექტივების, თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა კონცერტები.

თეატრალური ხელოვნების დარგში — დრამატული კოლექტივების, სახალხო და თოჯინების თეატრების, აგიტბრიგადების, კითხვის ოსტატთა კონცერტები.

სახეობითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენა.

საცირკო ხელოვნების დარგში — საცირკო კოლექტივების, ორიგინალური ძანრის შემსრულებელთა კონცერტები.

ფოტოხელოვნების დარგში — ფოტომოყვარულთა ნამუშევრების გამოფენა.

კინოხელოვნების დარგში — მოყვარულთა კინოფილმების დათვალიერება.

ფესტივალი ჩატარდა სამ ტურად: პირველი ქური მიმდინარეობდა ჩვენს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სხვადასხვა სახის ორგანიზაციის-დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში, კლუბებში, კულტურის სახელებსა და სასახლეებში. მეორე ტური: აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, თელავის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ახალციხის ზონებში. ხოლო მესამე, დასკვნითი ტური კი — ქ. თბილისში.

ფესტივალის წარმატებით ჩატარებისათვის შეიქმნა რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები.

ჩამოყალიბდა მუსიკალურ-საორგესტრო, სა-  
გუნდო-ვოკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი  
და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების,  
კინო, ფოტო და საცინო ხელოვნების შემოქმე-  
დებითი სექციები. აღნიშნულ სექციებს სათავეში  
ჩაუდგნენ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწენი: სსრკ  
სახალხო არტისტები: დ. ალექსიძე, ნ. რამიშვი-  
ლი, ს. დოლიძე, სსრკ სახალხო მხატვარი უ. ჯა-  
ფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ.  
ფალიაშვილი, ხელოვნების დამასხარებელი მო-  
ღვაწე ო. გორდელი, ი. ტუხაძე და ო. თურქია.

ფესტივალის მონაწილეთათვის საქართველოს  
ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვით-  
შემოქმედების რესპუბლიკური სახლების მიერ რე-  
კომენდებულ იქნა სპეციალური რეპერტუარი,  
მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულები. პრაქტი-  
კული და მეთოდური დახმარებისათვის ფესტივა-  
ლის ადგილებზე იგზავნებოდნენ სპეციალისტე-  
ბი.

ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის  
საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნა ფესტივალის  
დირექცია, სამდივნო, სარეპერტუარო და საფი-  
ნანსო კომისია, ჩამოაყალიბა ქუთური ხელოვნების  
სხვადასხვა სახეობის მიხედვით.

აღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ფესტივა-  
ლი ჩვენს რესპუბლიკაში მაღალ დონეზე ჩატა-  
რდა. ის განსხვავდებოდა წინამორბედი ფესტი-  
ვალების, ოლიმპიადების, დათვალერებებისა  
და კონკურსებისაგან. ეს იყო დიდი პოლიტიკურ-  
ი და კულტურული მნიშვნელობის მოვლენა,  
რომელიც გამოირჩეოდა არნახული მასშტაბურო-  
ბით. ეს იყო ერთგვარი შემოქმედებითი ანგარი-  
ში პარტიისა და სამშობლოს წინაშე.

წარსულ დათვალერებებსა და ფესტივალებსზე  
ყურადღებას იმსახურებდნენ მხოლოდ ის კო-

ლექტივები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩვენი  
რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრე-  
ბში. ინტერესი კოლმეურნეობის, საბჭოთა მე-  
ურნეობების, საქარბნო და სასოფლო კოლექტი-  
ვებისადმი ნაკლები იყო. მიმდინარე ფესტივალ-  
მა კი ეს ხარვეზი საგრძობლად გამოაწვრა.  
მასში მონაწილეობდნენ მთელი ჩვენი რესპუბლი-  
კის თვითმოქმედების მრავალრიცხოვანი წარმო-  
ს ოაწლები.

მუსიკალურ, თეატრალურ, ქორეოგრაფიულ  
კოლექტივებში მონაწილეობდნენ მოწინავე მე-  
შები, კოლმეურნეები, სხვადასხვა პროფესიის  
ადამიანები: ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები,  
ტელედენტები.

ფესტივალის კონკურსებმა, კონცერტებმა, გა-  
მოფრებებმა სხადყვეს თვითმოქმედი კოლექტივე-  
ბის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება.

მხატვრული თვითმოქმედება არის ერთ-ერთი  
საკუთესო ფორმა ადამიანის ესთეტიკური აღ-  
ზრდისა. სკკპ პარტიის XXV ყრილობაზე განსა-  
კუთრებით იყო ხაზგასმული, რომ მშრომელთა  
აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით უნდა  
სხდებოდეს კომპლექსურად — იდეურ-პოლიტი-  
კური, შრომითი და მორალური თვალსაზრისით.  
ფესტივალი მიმდინარეობდა ქანრების მიხედ-  
ვით.

1976 წლის 21 ოქტომბერს ხელოვნების მე-  
შაკთა სახლში შედგა თოჯინების თეატრების  
მესამე ტური, რომელშიც მონაწილეობდა რვა  
კოლექტივი. ქუთრის თავმჯდომარეობდა ხელო-  
ვნების დანსახურებელი მოღვაწე ლ. პაქაშვი-  
ლი. ფესტივალზე პირველი ადგილი მიეკუთვნა  
ქ. ქუთისის № 2 კულტურის სახლის კოლექ-  
ტივს, მისი ცალკეული მონაწილენი კი დიდი  
მედლითა და ოქრის პატარა მედლებით დაჯილ-

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხალ-  
ხურ საკრავთა ორკესტრი





ტექმა დიდი მუშაობა ჩატარა საქართველოს თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენის მისაწყობად.

ქართული ხალხური შემოქმედების და მხატვრული თვითმოქმედების სახეობების არსებობის სახვითი ხელოვნების განყოფილებები, რომლებიც სათანადო კონსულტაციებს უწყვენ თვითნასწავლ მხატვრებს მათი დაოსტატების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ხალხური რეწვის განვითარებისათვის. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა ხალხური მხატვრული გამოყენებითი ხელოვნების და სუვენიერების განვითარება „სოლანი“, ხალხური ხელოვნების მეცნიერული კვლევის ლაბორატორია.

თვითნასწავლი ფერმწერების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების ნამუშევრები და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ასახდენენ საბჭოთა ხალხის ყოფას, მათ ყოველდღიურ შრომას, მოწინავე ადამიანებს, მისწავლე-ახალგაზრდობის საქმიანობას...

ფესტივალის პერიოდში მოეწყო გამოფენები რაიონებსა და ქალაქებში, გაიმართა თვითნასწავლ მხატვართა შეხვედრები ხელოვნებათმცოდნეებთან, მხატვრებთან, დამთვალეირებლებთან. ამ გამოფენებს პროპაგანდას უწყვედა კინო, პრესა, რადიო და ტელევიზია.

თბილისის სახელმწიფო სურათების გალერეაში ერთ თვეს იყო ექსპონირებული თვითნასწავლ მხატვართა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა.

ექსპონიციკაში წარმოდგენილი იყო 280 ავტორის 1200 ნამუშევარი. გამოფენა მოეწყო მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალის პროგრამით, ეიურის თავმჯდომარეობდა სსრკ სახალხო მხატვარი უჩა ჯავახიძე.

ქართველი კაცი, დასაბამიდან აჩუქურთმებდა ხეხ, ქვას, ოქრომჭედლობდა და ნიხებს ქსოვდა. ქმნიდა თავის ირგვლივ ლამაზ სამყაროს, რაც მას შრომასა და ბრძოლას უადვილებდა. ქართული ხეუბნა იყო მისი მასწავლებელი. და როცა ახლა სამსჯავროზე საქართველოს ყველა კუთხის ოსტატებმა, მოყვარულმა ფერმწერებმა თავისი შემოქმედება წარმოადგინეს, ნაილი გახდა, რომ წინაპართა ტრადიციები გრძელდება, მდიდრდება, ვითარდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჯ. ხუციშვილის, ძმები ვართაგავების ტილოები, რომლებიც გამორჩევიდა პროფესიული ოსტატობით, მდიდარი ფანტაზიით.

საყურადღებო იყო მ. მისურაძის, ნ. ფორაქიშვილის, მ. ხუბაშვილის, ს. ჩოხვაშვილის, რ. რობაქიძის, ვ. ცოფინოვის და სხვთა ნამუშევრები, აგრეთვე კ. ქუთათელაძის, ჯ. გოგაშვილის, შ. ქორღლიშვილის ვერცხლის ნაკეთობები, ტ. ჯავახიშვილის ყანწები, ზ. თეთრაძის და ს. შვიციშვილის კერამიკა.

გამოფენაზე მონაწილეობდა ქ. რუსთავის მხატვრული კულტურის სახსელმსახურ არსებული გამოყენებითი ხელოვნების სტუდია „ოპიზორი“. აქ გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვრები და ოსტატები. მათ მიერ წარმოდგენილი ჭედურობა, ხის კერამიკული ნამუშევრები ჩინებული ოსტატობითაა შესრულებული.

გაერთიანებულ „სოლანის“ ოსტატებმა წარმოადგინეს დიდი გემოვნებით შესრულებული დეკორატიული გობლინები, ფარდაები, ჭედურობა, ხის ნაკეთობები.

რესპუბლიკური გამოფენიდან გადაირჩა და საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნა 135 ავტორის 276 ექსპონატი.

მიმდინარე წლის 18 მაისს ქ. მოსკოვში მიმდინარე გაიხსნა საკავშირო გამოფენა, რომელზეც დიდი წარმატება ხვდა საქართველოდან გაგზავნილი ნამუშევრებს.

დიდი ზეიმი იყო სპორტის სახსელმსახურ სპორტის ცენტრის კონკურსის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ეტაპზე დიდი ხანი არ არის რაც ფეხი მოიკიდა, მინც, წინა დათვალეირებებთან შედარებით მან საკმაო წარმატებას მიაღწია. ცენტრზე დაიხვეწა, შესრულების დონე ამაღლა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მონაწილეთა რიცხვი. არის ცდები თანამედროვე ქართული სამეჯლისო ცეკვების შემქმნა. ამ მხრივ თავისი სიტყვა უკვე თქვას ხელოვნების დანასახურებულმა მოღვაწემ ა. თათარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. სანაძემ და სხვებმა.

აქვე გვინდა შევინშოთ, რომ რესპუბლიკაში თითქმის არა გვაქვს საცეკვაო მოედნები. რამდენიმე წლის წინათ ასეთი ბაზები არსებობდა. მაგალითად, თბილისში სტალინის, ორთონიკის სახელობის ოფიცერთა სასახულთ პარკებში და ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებასთან. მოედნების უქონლობა გარკვეულად აფერხებდა სამეჯლისო ცეკვების განვითარებისა და მოკლავდა რიზაციის საქმეს. სამეჯლისო ცეკვებით უნდა დაინტერესდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სტუდენტები, წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლები. საჭიროა ქალაქებსა და რაიონების ცენტრებში მოეწყოს სათანადო მოედნები. საჭიროა აგრეთვე ზრუნვა ამ საქმის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციაზე, მათ დაოსტატებაზე, ახალი კადრების მოზიდვაზე, ხშირად უნდა მოეწყოს ფესტივალები, კონკურსები. თავიანთი სიტყვა უნდა სიტყვან პროფკავშირებმა, კომკავშირებმა და კულტურის ორგანოებმა.

სამეჯლისო ცეკვების ეიურის თავმჯდომარეობდა სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და

რუსთაველის პრემიების ლაურეატი ი. სუხიშვილი.

ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა მოცეკვავე წყვილებს: ტ. პერლშტეინს და თ. ერიაშვილს, ე. როდიონოვას და გ. სიხარულიძეს, მ. სუხიტაშვილს და ა. ჭანუყვაძეს (მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი), მ. შავერდოვას და ზ. ქველადეს (პროფკავშირთა კულტურის სასახლე), თ. შავდათუაშვილს და ზ. მარგიშვილს (ოფიცერთა საოლქო სახლი).

პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ: ა. აბრამოვი და მ. რემენევი (პროფკავშირთა კულტურის სასახლე), გ. შენგელია და ლ. შალიკაშვილი, გ. რაზმაძე და ვ. ზუბიევა (სტალინის სახელობის ელმავალგავონშემეკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლე), ლ. ბოგდანოვა და

ლიდან დ. ჯანაშვილი, ე. ანასტასოვი, მ. ძაგოვცა და კ. რევაზიშვილი.

ქართველი ხალხი უსიოვარი დროიდან ჰქმნიდა რა სასიამოლო თუ ქორეოგრაფიული კულტურის შესანიშნავ განმეულს, სათუთად უკლიდა და უფრთხილდებოდა, ანეთარებდა მას. ამ ზრუნვამ და განუახლებრელმა სიყვარულმა, რომელსაც ყოველთვის ირინდა ხალხი თავისი კულტურისადმი, ქართულ ცეკვებს საუკუნეთა მანძილზე თვითმყოფადობა შეუნარჩუნა.

ფესტივალის დასკვნით მესამე ტურზე საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა ხალხური ცეკვების კონკურსი, რომელშიც მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა მიიღეს მონაწილეობა. წარმოდგენილი ცეკვები საინტერესო იყო. ხალხურ ცეკვებთან ერთად სრულდებოდა თანამედროვე სი-



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და ქორეოგრაფიული ანსამბლი

გ. გოგიაშვილი, ა. ბერუაშვილი და ვ. პოპოვა (მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი), ე. ნიურენბერგი (თელავის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება).

მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ: თბილისის განათლების მუშაკთა სახლის წყვილები ე. და ზ. მეტრეველები, ნ. გოგიაშვილი და ს. მანია, ნ. შაქარაშვილი და ნ. გუჭევა, სტალინის სახელობის ელმავალგავონშემეკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლის მოცეკვავეთა წყვილი ნ. ჩოხელი და გ. ვარდაშვილი, ქ. სოხუმის ვაჭრობის კულტურის სასახლის წყვილები: ი. აბრამოვა და ა. ქობალაყვა, ა. ცაქუბაყვა და ვ. იაკუშვილი, ნ. ბოიარიშვილი და ა. სააკიანი (მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი), ლ. ყონიევა და გ. ორველაშვილი (ოფიცერთა საოლქო სახლი), ბ. ზაველური და ნ. ნიკოლაიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაკო კომბინატის კულტურის სახ-

უქეტური ცეკვებიც: შეგნნილი შრომის, სპორტის, რევოლუციური და საგმირო თემებზე, გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი, რომლებიც სახელმწიფო ანსამბლებსაც კი დაამშვენებდნენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ქორეოგრაფია წარმატებით ვითარდება და ყოველი ღონე უნდა ვეხმარათ მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

ხალხური ცეკვების კონკურსის ქიურის თავმჯდომარეობდა სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი ი. სუხიშვილი.

ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭათ და დიდი მედლით დაჯილდოვდნენ შემდეგი კოლექტივები: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (თბილისის), ბათუმის ჰედაგოგური ინსტიტუტის, პროფტექნიკური განათლების სასახლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფკავშირების კულტურის სასახლის, თბილისის

ს. ზაქარაიძის სახელობის სასწავლებლის, ტრამ-  
ვაი-ტროლეიბუსების, წინანდლის საბჭოთა მე-  
ურნეობის ქორეოგრაფიული ანსამბლები. ხოლო  
ზენოთ ჩამოთვლილი ანსამბლების ყველა მონა-  
წილე დაჯილდოვდა ფესტივალის ოქროს პატარა  
მედალით.

პირველი ხარისხის მედალებით დაჯილდოვდნენ:  
მხარაძის რაიონის ლიათურის, ბოგდანოვიკის,  
ბორჯომის, ზესტაფონის, გორის სარაიოთ კულ-  
ტურის სახლების, თბილისის მე-18 და აჭარის  
პროფტექნიკური სასწავლებლების, ცხაკაიას ხა-  
ლიჩების კომბინატის, ცხინვალის პედაგოგიური  
ინსტიტუტის და თბილისის ვაგონშემკეთებელი  
ქარხნის ქორეოგრაფიული ანსამბლები.

მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდა:  
თიანეთის, კასპის, წულუკიძის კულტურის სახლე-

ერკვეიან მუსიკალური დრამატურგიისა და  
ცეკვაო ჟანრების სპეციფიკაში.

უკანასკნელ პერიოდში ქორეოგრაფიულ კო-  
ლექტივებში გაჩნდა მედიოლეთა და მეგარმონე-  
აკორდეონისტთა ჯგუფები, რომლებიც, სამწუხა-  
როდ, ვერ ქმნიან ანსამბლს. დოღთა გადაჭარ-  
ბებული ბრახუნი ხშირად შთანთქავს მუსიკალურ  
თანხლებას, ხელს უშლის მიცეკვავებას, მასე-  
რებელსაც. ქართული ხალხური ცეკვების მუსი-  
კალური თანხლება ძალზე ერთფეროვანია. ქო-  
რეოგრაფთა უმრავლესობას არა აქვს მუსიკალუ-  
რი ცოდნა, ამიტომ შესულუდელია, ერთფეროვა-  
ნია და ნაკლებად საინტერესო საცეკვაო რეპერ-  
ტუარი. საჭიროა დაარსდეს სპეციალური კურსე-  
ბი ქორეოგრაფებისთვის, გამოიყვანოს ხალხური

თბილისის სატრანსპორტო სამსარველო  
ქორეოგრაფიული ანსამბლი



ბის, თბილისის მასწავლებლის სახლის, თბილისის  
უნივერსიტეტის, გორის ბამბულის კომბინატის, ბა-  
თუმის პროფტექნიკური სასწავლებლის, თბილი-  
სის რკინიგზის სახლის ასირიელთა ხალხური ცე-  
კვის ანსამბლები.

აღნიშნული ანსამბლების ქორეოგრაფებს ლაუ-  
რეატობა მიენიჭათ.

წარმატებებთან ერთად არ შეიძლება არ აღი-  
ნიშვოს ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ ხშირად  
ვხვდებით ქართული ცეკვისათვის უცხო ელემენ-  
ტებს, ილეთა აღრევას ან ერთფეროვნებას, ნაკ-  
ლები ყურადღება ეთმობა თანამედროვე თემატი-  
კას, სიუჟეტურ ცეკვებს.

ძალზე საყურადღებოა ცეკვებისათვის მუსიკის  
შერჩევის საკითხი, ხშირად მუსიკას არაფერი აქვს  
საერთო ცეკვის ხასიათთან, მის შინაარსთან, რაც  
წარმოშობის მათ შორის აბსოლუტურ შეუსაბამო-  
ბას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ საკმეხს ხელს  
ჰკიდებენ არასპეციალისტები, რომლებიც ვერ

საცეკვაო მუსიკის კრებულები, გამოცხადდეს კო-  
ნკურსი ახალ საცეკვაო ნაწარმოებთა შესაქმნელად.

საქირკო ხელოვნების ფესტივალზე მონაწი-  
ლეობა მიიღო 25 კაცმა. შესრულებული იყო  
13 ნომერი.

ვიორი, რომელსაც თავმჯდომარეობდა თბი-  
ლისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი ი.ა.  
ტუსაკაძე, ფესტივალის ლაურეატის წოდება მი-  
ანიჭა: თბილისის საესტრადო-საქირკო სასწავ-  
ლებლის სტუდენტებს: გია ფარადავიშვილს (ილუ-  
ზია), ვალერი ნეზოროშის, ჯიმშერ ჩხაიძეს (გე-  
ვილიბრისტები) და ნათელის რკინიგზის კვა-  
ნძის კულტურის სახლის წარმომადგენელს გუ-  
რამ ლომიას (ილუზია) და ვიტალი სისოევს  
(ცევილიბრისტი).

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდო-  
ვდნენ: თბილისის საესტრადო-საქირკო სასწავლებ-  
ლის სტუდენტები: იგორ უკლოვი, სერგო სი-





მონიანი, შესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის ავტორიგადის ხელმძღვანელი მამია კამკამძე (ილუზია) და თერჯოლის სარაიონო კულტურის სახლის წარმომადგენელი, პედაგოგი ბინდო შუბლაძე.

მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: მერაბ ნიჭობაძე (ძალისხინი ჟინგლიორი) შესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის სცენის მენაჟჟანე, ლეონიდა ლაპინი (აკრობატი) „თბილ-პიდრომშენის“ ხარატი, სერგო სარიევი (აკრობატი) „თბილპიდრომშენის“ პროფეტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

მონაწილის დიპლომით დაჯილდოვდნენ: თბილისის საციკო-საესტრადო სასწავლებლის სტუდენტები ირინა აკობაძე და ვალენტინ კუდრიამოვი (აკრობატიული ეტიუდი), „თბილპიდრომშენის“ მუშა ვიტალი კოვალიოვი (აკრობატიკისკენტირიკი), პროფეტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ვლადიმერ დვებაძე (აკრობატიკისკენტირიკი), ირინე კონდრატენკო (პლასტიური ეტიუდი).

ეთურიმ სინანული გამოთქვა, რომ ადგილობრივმა საორგანიზაციო კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი წარმომადგენლების მონაწილეობა აჭარადან, ხაშურიდან და სხვა რაიონებიდან, რაზეც ხელი შეუშალა ნიჭიერ მონაწილეთა გამოვლინებას ამ ფანრში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში საციკო ფანრი ნაკლებადაა განვითარებული. მაგრამ ფესტივალის შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. ფესტივალზე ბერ ახალგაზრდას გაუღვიძებს სურვილს ამ ფანრში მუშაობისა. კინეკურსში გამარჯვებული შთი მონაწილე, რომელმაც ლაბრატის საპატიო წოდება მიენიჭათ, მონაწილეობას მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ საციკო ხელოვნების საჩვენებელ გამოსვლებში.

მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი იყო დრამატული კოლექტივების გამოსვლები მესამე ტურში, სადაც 15 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. ფესტივალის ჩატარდა ორგანიზებულად, გამოვლინდნენ ნიჭიერი კოლექტივები და სცენისმოყვარენი.

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის სააკიაციო ქარხნის დრამატული კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა ა. მაკაენოს სამხედრო-პატრიოტული პიესა „ტრიუმფალი“ (რეჟისორი ი. აივაზოვი), კავშირგამბელობის მუშაკთა კულტურის რესპუბლიკური სახლის დრამატული კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა პოეტური სპექტაკლი „გასხოვდით, გახსოვდით, გახსოვდით!“ (შედეგნილი ვ. მაიაკოვსკის, გ. სიმონოვის და რ. როფდესტვენსკის ნაწარმოებების მიხედვით, რეჟისორი მ. ჭავჭავაძე), ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა გ. მარუაშვილის სატი-

რული კომედია „ბარუნე“ (რეჟისორი ნ. ინსაყვლიძე) და მცხეთის რაიონის სოფელ დიღომის კულტურის კოლექტივი, რომელმაც განახორციელა ი. ჭავჭავაძის პიესა „მაჭინკალი“ (რეჟისორი ფ. სანიშვილი). შემოადგინებულ კოლექტივების მიენიჭათ დათვალერებების ლაურეატთა წოდება და გადაეცათ ფესტივალის დიდი მედალი. ყველა მონაწილეს კი — ოქროს პატარა მედალი.

პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ: რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლის კოლექტივი. მიტროფანოვის პიესის „ბოშური სიმღერა გაიორგაჟეს“ დადგმისათვის და მხარაძის რაიონის სოფელ გურანთას კლუბის თვითმომყვანი კოლექტივი სპექტაკლ „პირველი მერცხლისათვის“.

თეატრალური კოლექტივების კონკურსის ეთურის ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამასხურებული მოვალეშ. კილოსანიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ არც დრამატული კოლექტივების რეპერტუარი გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. მათ სპექტაკლებში სრულყოფილად ვერ აიხასა თანამედროვე დამასხურის სახე, მისი თავდადებული შრომა და მიღწევები, ნაკლებად იყო წარმოდგენილი თანამედროვე საბჭოთა პროზის, პოეზიის და დრამატურგის, საბჭოთა და სასულერგარეოული კლასიკის მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

ფესტივალზე გარკვეული ყურადღება მიიპყრო კინომოყვარულთა ფილმების დათვალერება-კონკურსმა. კონკურსში მონაწილეობდა სასოფლო, საქალაქო და რაიონული კულტურის სახელობის კინომოყვარულთა და სახალხო კინოსტუდიები. ნაჩვენები იქნა ფერად და შავ-თეთრ ფერებზე გადაღებული დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ფილმები, რომლებშიც ნათლად იყო ასახული რესპუბლიკის საწარმოებისა და მშენებლობების მოწინავე ადამიანთა შრომა, ქართული მეცნიერება გამოკვლევები და საერთო რესპუბლიკაში მომხდარი მრავალი საინტერესო მოვლენა.

საქართველოში გამარჯვლდა კინომოყვარულთა სტუდიები, თუ წინა დათვალერებებზე მონაწილეობდნენ მხოლოდ თბილისის კოლექტივები, ახლა მონაწილეთა შორის იყვნენ რაიონებისა და სოფლის კინომოყვარულებიც, რომელთა ფილმებმაც გარკვეული ინტერესი გამოიწვია.

დათვალერება-კონკურსის შედეგები შეჯამა ეთურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კინმატორგანოვსიტთა კავშირთან არსებული კინომოყვარულთა სექციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტიტი, კინორეჟისორი ნ. სანიშვილი.

ფესტივალის დიდი მედალი და ლაურეატის წოდება მიენიჭათ კვების მრეწველობის მუშაკთა მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო კინოსტუდიას, რომელმაც რამდენიმე



ფილმი წარმოადგინა (ხელმძღვანელი თ. რუსე-  
ნიშვილი), მხარაძის რაიონის სოფელ კონკა-  
თის კლუბის მოყვარულთა სტუდიას (ხელმძღვანე-  
ლი გ. ტულუში), საქართველოს პროფსაბჭოს  
რესპუბლიკურ კლუბ-ლაბორატორიას (ხელმძღ-  
ვანელი დ. ჩახელიძე), ამიერკავკასიის წითელ-  
დროშოვანი სამხედრო ოლქის კინომოყვარულთა  
სტუდიას (ხელმძღვანელი ი. ტალიანი) და პრი-  
ფესორის კულტურის სახელის სახალხო კინო-  
სტუდიას (ხელმძღვანელი დ. ყარაბაგოვი).

ოქროს მედალი და ლაურეატის დიპლომები  
მიენიჭათ კინოფილმებს „ფოთი ფოთელთა თვა-  
ლით“, „საკინძი“, „რევიზორის ტიკი“, „ანტარ-  
ქტიკა 20“ და სხვა.

პირველი ხარისხის დიპლომებითა და ოქროს  
მედლებით დაჯილდოვდნენ: თბილისის რკინიგ-  
ზელთა სახლის, საქართველოს სსრ ჰიდრომე-  
ტეოსამსახურის სამხარეთველოს, პროფტექნიკური  
განათლების რესპუბლიკური კულტურის სახლი-  
სა და სხვა კინომოყვარულთა სტუდიების ფილ-  
მები.

ქართველი კინომოყვარულები არ უნდა დაკ-  
მაყოფილდნენ მიღწეული წარმატებებით. საჭი-  
როა განაწავდეს კინომოყვარულთა სტუდიები,  
რომლებშიც გაერთიანდებიან უფრო მეტი ახალ-  
გაზრდები, საჭიროა შექმნან ფილმები, რომლებ-  
შიც ფართოდ აისახება საბჭოთა დამიანების  
ყოველდღიურობა, შრომითი წარმატებები, შეიქ-  
მნას კინომოთხრობები საბჭოთა მეორე რეზუ-  
მისოსიუეტები მშობლიური მხარის ბუნებრივ სიმ-  
დიდრესა და სილამაზეზე.

ხალხურ საკრავთა და სასულე ორკესტრების  
ფიურის თავმჯდომარეობდა ხელოვნების დამსა-  
ხურებელი მოღვაწე შ. მილორავა. ფესტივალის  
ლაურეატები გახდნენ: წულუკიძის სარაიონი  
კულტურის სახლის სასულე ორკესტრი (ხელ-  
მძღვანელი ვ. ჩიხლაძე), შრომის წითელი დრო-  
შის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის გამწერი ანსამბლი, საბჭოთა კავ-  
შირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის ქ.  
ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ხალხური  
საკრავების ორკესტრი (ხელმძღვანელი ც. ჩი-  
ჩვა), გეგეჭკორის სარაიონი კულტურის სახლის  
ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი  
(ხელმძღვანელი ჯ. ჯიხანიძე) და გაგარის ციტ-  
რისების საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახ-  
ლის რუსული ხალხური საკრავების ანსამბლი  
(ხელმძღვანელი ვ. ზავაძესკი).

ცალკეული შემსრულებლებიდან ლაურეატის  
წოდება მიენიჭა: კასპის რაიონის სოფელ კავ-  
თისხევის კულტურის სახლის ხალხური საკრავ-  
ების ტრიოს (ი. გოგოლაური, შ. კიკნაძე, ა.  
მოდრეკილაძე), ქართულ გარმონზე დამკვრელს  
ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანიდან ლ.  
თაბარაძეს, საარტილერიო სასწავლებლის კურ-  
სანტს ე. გალუშის (გიტარა), სამხედრო მო-

სამსახურეს ი. პეტრუხოვიჩს (აკორდონი); ახ-  
სამბლ „საითოვას“ სოლისტს პ. კასიანს, კულტ-  
საგანმანათლებლო სასწავლებლის ხალხურ საკ-  
რავთა ორკესტრის სოლისტს ა. გოდერძიშვილს.

პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვ-  
დნენ: სამტრედიის კულტურის სარაიონი სახლის  
სასულე ორკესტრი (ხელმძღვანელი ა. კარაპეტო-  
ვი), ხაშურის კულტურის სახლის მედლეტკეია  
ანსამბლი (ხელმძღვანელი ვ. ღონდაძე), საქარ-  
თველოს კონკავშირის სახელობის კულტურის  
სახლის აღმოსავლურ საკრავთა ანსამბლი „სა-  
იათოვას“ (ხელმძღვანელი მ. კახარიანი), საქარ-  
თველოს კომკავშირის სახელობის აზერბაიჯანუ-  
ლი ანსამბლი „სევინიჯი“ (ხელმძღვანელი ე. ხუ-  
დავერდოვი), წითელი დროშის ორდენოსანი  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხალხურ საკ-  
რავთა ანსამბლი (ხელმძღვანელი დ. კანდელა-  
კი), წითელწყაროს რაიონის ზემოქედის კულ-  
ტურის სახლის ქართულ ხალხურ საკრავთა ორ-  
კესტრი (ხელმძღვანელი მ. წიკლაური), სერჟან-  
ტი გ. გეორჯიანი (ქსილაფონი).

მეორე ხარისხის დიპლომები მიეკუთვნა: ბა-  
თუმის საზღვაო სასწავლებლის სასულე ორ-  
კესტრს (ხელმძღვანელი ნ. თოფურიძე), ქუთა-  
ისის ვ. აბაშიძის სახელობის საქალაქო კულტურ-  
ის სახლის ხალხურ საკრავთა ორკესტრს (ხელ-  
მძღვანელი ი. მეფარიშვილი), თბილისის ს. ზა-  
ქარაიძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სას-  
წავლებლის ქართულ ხალხური საკრავების ორ-  
კესტრს (ხელმძღვანელი მ. დარჩინაშვილი), ლა-  
გოდეხის კულტურის სახლის ხალხურ საკრავთა  
ორკესტრს (ხელმძღვანელი ნ. მუმლაძე), სარ-  
ტილერიო სასწავლებლის ბაიასიტთა ანსამბლს  
(ხელმძღვანელი რიკითი ვ. ზანიანი), მცხეთის  
რაიონის საგურამოს სასოფლო კლუბის ხალხურ  
საკრავთა ტრიოს (ხელმძღვანელი ბ. აყაყერაღ-  
ძე), განათლების მუშაობა რესპუბლიკურ სახლიან  
არსებულ ხალხურ საკრავთა ტრიოს (ხელმძღვანე-  
ლი ე. ხელაძე), წითელწყაროს სოფელ ქვემოქე-  
დის ხალხურ საკრავთა ანსამბლს (ხელმძღვანე-  
ლი ტ. ბუთხუჯი).

ფესტივალზე წარმატებით გამოვიდნენ ხალ-  
ხურ საკრავთა ორკესტრები და ვაგუფები. ამაღ-  
და შესრულების კულტურა. მონაწილეები დასო-  
ტადდნენ და შესანიშნავად ფლობენ ხალხურ საკ-  
რავებს. ისევე როგორც სხვა სახეობაში, აქაც შეი-  
ნიშნება რეპერტუარის მუზღულდობა და ერთ-  
ფეროვნება, იგი ულ რამდენიმე ნაწარმოებით  
განისაზღვრება. ძალზე დამაფიქრებელია ის  
მდგომარეობა, რომ ხალხურ ორკესტრებში მხო-  
ლოდ რამდენიმე სახის საკრავები შეიხს: სალა-  
მური, ფანდური, ჩონგური, ჩანგი, დოლი ან და-  
რია. როგორც ცნობილია, საქართველო გამოირ-  
ჩეოდა ხალხური საკრავების მრავალფეროვნე-  
ბით.

ზოგიერთი ჭალკების და რაიონის თვითმოქ-  
მედმა სასულე ორკესტრებმა თავიანთი პოზიცი-

ენი დაუთმეს საესტრადო და ვოკალურ-ინსტრუმენტურ ანსამბლებს. სამწუხაროდ, ხშირად გაიგონებთ, რომ თითქოს სასულე ორკესტრები მოძველდა და მათ დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. ამას ადგილებზე ხელს უწყობენ სწორედ ის პირნი, რომლებიც მოწოდებულნი არიან მის განსავითარებლად. არამართებული ამ განხრების ერთმანეთთან დაპირისპირება და რომელიმესათვის უპირატესობის მიცემა. სასულე ორკესტრები კი არ უნდა შეგვევცოთ, არამედ შევქმნათ ახალი ანსამბლები, ფართოდ ჩავვაბთ მასში ჩვენი სოფლისა და ქალაქების მშრომელები, სტუდენტი ახალგაზრდობა. ამის შესაძლებლობა გააჩნიათ საშუალო სკოლებს და პროფტექნიკურ სასწავლებლებს. სასულე ორკესტრებისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები ცოტაა. ამიტომ ის მცირე რაოდენობის კონკერტებიც, რომელიც მოგვეპოვება, სარგებლობენ მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ შექმნილი რეპერტუარით, რაც დღევანდელ მოთხოვნილებებს სრულიად ვერ პასუხობს.



სცენა ონის სახლბო თეატრის სპექტაკლიდან „ჭარისკაცის ქვრივი“

საესტრადო ორკესტრებისა და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების კონკურსის შესამეტუნს თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი დ. თორაძე.

ფესტივალის ლაურეატები გახდნენ და დიდი შედეგები მოიპოვეს: ქ. ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი მ. კილაძე) და სოხუმის სახელმწიფო ვაჭრობის კულტურის სახლის საესტრადო ორკესტრმა „აფსნი 76“ (მხატვრული ხელმძღვანელი შ. ვარდანიძე).

პირველი ხარისხის დიპლომი მიეკუთვნათ: შრომის წითელდროშოვანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრს (ხელმძღვანელი ე. ლოლაშვილი), სამტრედიის რკინიგზის კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ცისარტყელს“ (ხელმძღვანელი ბ. ქებაშანიანი და ზ. ვაშაკიძე), თბილისის რკინიგზის ნავთლუდის კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „ერაზს“ (ხელმძღვანელი ვ. არუთინოვი), ამბროლაურის სარაიონო კულტურის სახლის ვოკალურ ინსტრუმენტულ ანსამბლ „რამოვდას“ (ხელმძღვანელი ბ. დავითულიანი), N სამხედრო ნაწილის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „პოისკ 76“ (ხელმძღვანელი ლ. შაბაზიანი), განათლების მუშაკთა აჭარის საოლქო სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს (ხელმძღვანელი თ. მამალაძე), პროფტექნიკანათლების კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს (ხელმძღვანელი რ. ოპიპოვი), თბილისის მ. გორგის სახელობის კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს (ხელმძღვანელი გ. რუთლაშვილი).

სცენა სიღნაღის სახლბო თეატრის სპექტაკლიდან „ანზორი“




გიორგი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ შემდეგი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები: ვანის — „სანიო“ (ხელმძღვანელი ლ. ტყაბლაძე, მხატვრული ხელმძღვანელი მ. თეთროქალაშვილი), გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის — „ნარჩი“, თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებლის (ხელმძღვანელი გ. კართველიშვილი), საარტილერიო სასწავლებლის „პუშკარი“ (ხელმძღვანელი ა. რუბინი), ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებლობის ქარხნის (ხელმძღვანელი რ. მუთლაშვილი), თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის (ხელმძღვანელი ი. რაქიაშვილი), მცხეთის — „კარიბჭე“ (ხელმძღვანელი ა. კასაბაშვილი), ცხაკაის სარაინო კულტურის სახლის (ხელმძღვანელი გ. კოლუა).



სცენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის სპექტაკლიდან „ნაბალო“ — მილონერების ქალაქი.

გიორგის დადგენილებით საკავშირო ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა და ფესტივალის პატარა ოქროს მედლები ხვდათ: სოლისტებს დ. დიასამიძეს და ნ. მოსწრაფიშვილს (ხელგაჩაურის), ი. კაჭარავას და ს. საგუნკოს (საბჭრედია), ე. არეღაძეს (ამბროლაურის), გ. მაღალიძეს (თბილისის), ა. ოზოდეჟიანს და რ. რეჯებოვს (N სამხედრო ნაწილის), მ. თეთროქალაშვილს (ვანი), დ. ცხოვრებაშვილს (თბილისის). პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: მ. ბორმანი (ბათუმი), მ. დედაბერიშვილი, მ. პოპოვი, ც. შოშიაშვილი, ც. გვარჯალაძე (თბილისის), ი. დ. ლ. ფაჩულიძე, გ. ჩოჩია (მცხეთა).



სცენა ცხაკაის სახალხო თეატრის სპექტაკლიდან „ეცხოველი“

პოპულარული გახდა საესტრადო და ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრი და საგრძნობლად გამრავლდა შემსრულებელთა რაოდენობა. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანია, აქვთ შესრულების კარგი მანერა და გემოვნება. ზოგიერთი კოლექტივი კი ხშირად ბაძახს საეჭუთო გემოვნების უცხოური ესტრადის მომღერლებს. მათ სერიოზული ყურადღება და უნარიანი ხელმძღვანელობა სჭირდებათ. ეს ნაკლი გამოსწორდება თუ მათ დაეხმარებიან ამ ჟანრში მომუშავე კომპოზიტორები.

სცენა საგარეჯოს სახალხო თეატრის სპექტაკლიდან „მოვეთილი“

სახალხო თეატრების რესპუბლიკური მესამე ტური მიმდინარეობდა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შენობაში. მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 25 სახალხო თეატრმა. ფესტივალმა მაღალი დეურ დონეზე ჩაიარა და თემატურად მრავალფეროვანი იყო, უჩვეულებს მუშათა კლასის, კოლმეურნეების, და საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრების ამსახველი რეკონსტრუქციური და სამამულო ომის თემაზე შექმნილი პიესები.



საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიიღო ხუთმა კოლექტივმა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო თეატრმა, რომელმაც განახორციელა ედუარდო დე ფილიპოს „რომი — მილიონერთა ქალაქი“ (რეჟი-



სორი ნაკაშიძე). წარმოდგენა გამოირჩეოდა ანსამბლურობით, საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული რევისორისა და მსატრის ნამუშევარი. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მ. გამცემლიძემ, შ. ჩალაურმა, მ. გვეგეჯორმა და ნ. ლამბაშიძემ.

აღსანიშნავია სიდნაღის სახალხო თეატრის მიერ განხორციელებული ს. შანშიაშვილის „ან-ზორი“. დადგმა ეკუთვნის კ. მახარაშვილს. ლოგურადაა გააზრებული მასობრივი სცენები. სპექტაკლი პირველივე სურათზე გაქვნილია რეჟისორი პათიათი. მასხარაშვილთან გამოირჩეოდნენ კ. მახარაშვილი, ა. პავლიაშვილი, ვ. შიკაშვილი, გ. აბულაძე, თ. სომხიშვილი, ა. ძამაშიძე, თ. ჩერგეშიშვილი.

ონის თეატრმა განახორციელა რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქერივი“ (რეჟისორი ხელმოწერის დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე). ძუნწი გამომსახველი ხერხებით ქმნის რევისორი ატმოსფეროს, ახალგაზრდა ქერივი რომ ცხოვრობს. სპექტაკლი ოპტიმიზმითაა გაქვნილი. როლების შესრულების მალე დონით გამოირჩევიან: გ. გამყრელიძე, მ. ბურდილაძე, ლ. ქაფიანიძე, ლ. ჯაფარიძე, ა. ციხიელი, მ. გავაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. დვების „ნატურფაალი“ (რეჟისორი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. შიკაშვილი). დღევანდლობის ძალზე მტკივნეულ და პრობლემატურ საკითხს — ახალგაზრდების მიერ სოფლის მიტოვების საკითხს — აყენებს დრამატურგი. პიესა წარმატებით განახორციელა კოლექტივმა. მონაწილეებიდან გამოირჩეოდნენ: ლ. მაჭავარიანი, გ. გურული, ზ. ნინუა.

პლესანოვის სახელობის სახალხო თეატრი ფესტივალზე წარსდგა მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“, რომელიც განახორციელა ნ. ჭანტურამ, სპექტაკლში გამოირჩეოდნენ მახაბიძე: ა. ნასყიდაშვილი, კ. ლაფაჩი, მ. ახობაძე, თ. ჟღენტო.

პირველი ხარისხის დიპლომები მიეკუთვნათ: ჩხატარაის, ზესტაფონის, სამტრედიის, ბოლნისის, ხულოს, ცხაპაის სარაიონო კულტურის სახლების, ტყიბულის მეტალურგთა კულტურის სახალხოს, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროფაბრიკის ელექტრონის კარხის კულტურის სახალხოს ოსურ, თბილისის სხვაგვარობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლის სახალხო თეატრებს.

მეორე ხარისხის დიპლომები მიეკუთვნა: ბორჯომის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის, წულუკიძის სახალხო თეატრებს, თბილისის მ. გორის სახელობის, ამიერკავკასიის რეინიგზის თბილისის, სამტრედიის, თბილისის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლების სახალხო თეატრებს და დაბა კვანის

მანუელის მალაროთა გაერთიანების კულტურის სახლის სახალხო თეატრს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო როგორც ქართული, ისე რუსული და ოსური წრეები. სპექტაკლები საინტერესო იყო ყანებისა და თემატის მრავალფეროვნებით.

აქვე აღსანიშნავია ის ნაყოფი, რომელიც სახალხო თეატრების მუშაობაში შეინიშნება. ფესტივალზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი თანამედროვეობის ანსახელო პიესები. არ არსებობს სპეციალურად სახალხო თეატრებისათვის დაწერილი პიესები, ისინი პროფესიული თეატრის რეპერტუარით სარგებლობენ, ეს ქმნის სირთულეს მისი განხორციელების თვალსაზრისით. სუსტია ზოგიერთი სპექტაკლის მხატვრული და მუსიკალური გაფორმება, ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე მეტყველების საკითხზე.

აკადემიური გუნდებისა და ვოკალური ანსამბლების ეიურის თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის დასურვით კომპოზიტორი ვ. ფალიაშვილი.

დათვალეობაში მონაწილეობდა 9 აკადემიური გუნდი, 3 ვაჟთა და 5 ქალთა გუნდი, 12 ქალთა და 4 ვაჟთა ვოკალური ანსამბლი.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ ფესტივალებთან და ოლიმპიადებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერელო დონე, თვითომომედაში მოვიდნენ კვალიფიციური ლობტარები. დაიხვეწა და გაიზარდა რეპერტუარი. კოლექტივების პროგრამებში შეტანილია საბჭოთა, მძიმე სოციალისტური ქვეყნების და საზღვარგარეთული კლასიკური და თანამედროვე სიმღერების საუკეთესო ნიმუშები. ქართული ხალხური სიმღერების შესრულებაში მკვიდრდება პროფესიონალიზმი. გაიზარდა გუნდების მუსიკალური თანხლების კულტურა. დათვალეობამ მვერის საინტერესო კოლექტივი და ცალკეული შემსრულებელი გამოაღიანა.

ჩვენს რესპუბლიკაში საგუნდო შემოქმედების ტრადიცია უკანასკნელ პერიოდში მივიწყებული იყო და სასისხარულოა, რომ დღეს იგი კვლავ აღორძინდა.

კოლექტივების რეპერტუარში შეტანილი იქნა: ვერდის, როსინის, ხულსანიშვილის, ფალიაშვილის, რატლის, ხოლმინოვის, მურადელის, პანმუტავას, ყარაშვილის, შ. მშველიძის, თ. თაქაქიშვილის, რ. ლაღიძის, რ. გაბრიჭაძის, გ. ლიკოვის, ა. ჩიმაძის, ა. შავერზაშვილის, ე. ცაგარეიშვილის, შ. მილორაჯას და სხვათა სიმღერები.

ეიურში შევაჩა სიმღერების ამ ზეიმის შედეგები. აკადემიური გუნდებს შორის ლაურეატებად სქნეს: ტყიბულის კულტურის სახალხო (ხელმძღვანელი გ. ბახტაძე), ჭიათურელ მალარო-



ელთა კულტურის სასახლის (ხელმძღვანელი მ. ხატელიძე) და ზესტაფონის რაიონული მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების (ხელმძღვანელი ზ. ლოლაძე) კოლექტივები.

ვაჟთა გუნდებს შორის გამიარჯვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა (ხელმძღვანელი კ. მჭედიაძე) და თბილისის 26 კომისიის სახელობის ფილიელრომეოვანი მეთაურთა საარტიფერი უნივერსიტეტის სასწავლებლის კოლექტივმა (ხელმძღვანელი მაიორი ი. ლუნიევი), აგრეთვე აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების „ბათუმის“ (ხელმძღვანელი ი. გიორგაძე), რომელზეც გამიარჯვე ვაჟთა ვოკალურ ანსამბლებში. ქალთა გუნდებს შორის თავი გამოიჩინეს ბორჯომის კულტურის სახლის ქალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ა. მურჯიშვილი და ც. ედიბერიძე). ქალთა ვოკალურ ანსამბლებს შორის ტოლი არ ჰყავდა თელავის სამუსიკო სასწავლებლის თორეოგრაფულ ანსამბლს „ნალგუნი“ (ხელმძღვანელი ქ. კვერცხველი) და აჭარის საოლქო განათლების მუშაკთა სახლის ანსამბლს (ხელმძღვანელი ზ. ბერიძე). სოლისტ შემსრულებლებიდან ლაურეატები გახდნენ წულუკიძის № 9 პროფტექნიკური სასწავლებლის ვოკალური ანსამბლის წევრები მ. მიქაძე და შ. ჩხევილი.

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: აჭარის განათლების მუშაკთა სახლის (ხელმძღვანელი რ. გვაზავა), ქუთაისის განათლების მუშაკთა სახლის (ხელმძღვანელი ს. ვეფხვაძე), მაიაკოვსკის კულტურის სახლის (ხელმძღვანელი კ. აბესაძე), წყალტუბოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების აკადემიური გუნდები. ქალთა გუნდებში: ცხაპაის განათლების მუშაკთა სახლის (ხელმძღვანელი პ. ბოჯგუა) და წინანდლის საბჭოთა მურწნობის კულტურის სახლის ქალთა გუნდები (ხელმძღვანელი პ. დემურიშვილი). ვაჟთა ვოკალურ ანსამბლებში: ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენი ქარხნის ანსამბლი „ცისკარი“ (ხელმძღვანელი გ. გრაკვივი) და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის ვოკალური ანსამბლი (ხელმძღვანელი ზ. ლოლაძე).

მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭათ: ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის აკადემიურ გუნდს (ხელმძღვანელი მ. ყურაშვილი), გურჯაანის სამუსიკო სკოლის ქალთა ანსამბლს (ხელმძღვანელი გ. მაღინაშვილი), წულუკიძის № 9 პროფტექნიკური სასწავლებლის ვოკალურ ჯგუფს (ხელმძღვანელი გ. პაპავა), ვანის სამუსიკო სკოლის ქალთა ვოკალურ ანსამბლ „იანანას“ (ხელმძღვანელი ი. კორაძე), გვემეკორის სამუსიკო სკოლის ანსამბლს (ხელმძღვანელი ზ. ბოლქვაძე), ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო ომბიტეტის კულტურის სახლის ქალთა ვოკალურ ანსამბლს

(ხელმძღვანელი ბ. ზუსიძე), გვემეკორის სარაიონო კულტურის სახლის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს (ხელმძღვანელი ნ. სინაურიძე).

გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ფოტომოყვარულთა სურათების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა ზონებში შერჩეული ნაწარმოებები. გამოფენა საინტერესო იყო თმატურად, ჟანრბრივი თეიმოფიადობით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფოტობელოვნებას ჯერ კიდევ შეეძლო ყურადღება ექცევა ადგილზე, რის ნაგებადაც კონკურსზე მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი სურათები. ფოტომოყვარულები არ არიან უზრუნველყოფილი მასალითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

ფსქტივალის აკორდად იქცა სიმღერისა და ცეკვების ანსამბლების შესაძენ დახვებით ტური, რომელზეც მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო საუნდები და ქორეოგრაფიული კოლექტივები. ამ ასპარეზობამ გამოავლინა რეპერტუარის მრავალფეროვნება, შესრულების მაღალი დონე, ფოლკლორისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

კოლექტივები არულებდნენ როგორც ხალხურ, ისე პროფესიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს განსაკუთრებით ფართოდ და პრავადეფრონად იყო წარმოდგენილი ხალხური შემოქმედება — სიმღერები, ცეკვები, ინსტრუმენტული მუსიკა, რამაც განსაზღვრა კიდევ ამ ანსამბლებში თავითმყოფადობა, მათი თავისებური ელფერი. შეიძლება ითქვას, რომ ფსქტივალზე ჰუმბარიტად ეროვნული, ხალხური შემოქმედების პროპაგანდამ ძალზე ფართო, მასშტაბური ხასიათი მიიღო.

დიდი წარმატება მოიპოვეს და ფსქტივალის ლაურეატები გახდნენ: ლენტეხის, ჩიხატაურის, ხელვაჩაურის, ახალციხის, ცეცხლაურის, მახარაძის, მუხაესტატის, ჯავის, შუახევის, ქაქუთის, აბაშის კულტურის სახლების სიმღერისა და ცეკვების ანსამბლები, აგრეთვე ქუთაისის ავტოკარხნის მომღერალთა გუნდი, აჭაროპოპკავშირის, ზუგდიდის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ანსამბლი „ჩელა“ და ცხაპაის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

მომღერალთა გუნდებიდან: საგარეოს, ლანჩხუთის, თერკოლის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის კულტურის სახლების, თიანეთის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების, ცხაპაის რაიონის სოფელ ნოსონის მურწნობის, წალენჯიხის ავტოსატრანსპორტის და წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშის კოლექტივები.

ვოკალური ჯგუფებიდან ლაურეატები გახდნენ: მახარაძის „შვიდაცა“, ზუგდიდის „ოდიში“, აჭარის „წყარკოცა“, ზუგდიდის სარაიონო კულტურის სახლის ქალთა ჯგუფი, აჭარის თ-

ნორაფიული ჯგუფი, ქობულეთიდან ვასაძეები, სინაღის „მრავალკამერი“, ხობის „კოლხეთი“, ბოლნისისა და თბილისის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვოკალური ჯგუფები.

პირველი ხარისხის დიპლომები გადაეცათ: ვანის, ორჯონიძის, ონის, გურჯაანის კულტურის სახლების, გუდაუთის კოლმეურნეობა „გულრიფშის“, აჭარის ალმბრის საკოლმეურნეო, ქობულეთის ოჩხაძურის ჩოს საბჭოთა მეურნეობის, კურორტ ბიჭვინთას, სოსხუმის ტყავაგებ-საცმლის ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს.

ხობის შუახორგის სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობის გუნდს „ჩაგუნას“, თელავის განაღობის მუშაკთა სახლის გუნდს „ჩაგურულის“, აგურთვე კასანის, მცხეთის კულტურის სახლების, ჩხოროწყუს მდემუშაკთა პროფკავშირის, ფოთის საყოფაცხოვრებო მომსახურების და ადგილმრწველობის კომუნალური საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის, თბილისის ოქტომბრის რაიონის მუხაკალურ-ქორეოგრაფიული სასოფადების გუნდებს.

საინტერესო იყო ახალციხის, მახარაძის, ჩოხატაურის, ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ზუგდიდის „ჩელას“ და აჭარის კოლექტივების გამოცემა.

მაყურებელთა სიმრავლი გამოიწვიეს საგარეო და თერჯოლის მომღერალთა გუნდებმა, რომლებიც დიდი ოსტატობით ასრულებდნენ ძველ ხალხურ სიმღერებს.

დარბაზის მქვაბუკ ტაში დაიმასხურეს ლენტეხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ჯ. შვეველიანი). მათ მაღალ მხატვრულ დონეზე შეასრულეს სვანური სიმღერები და ცხებები.

აფხაზური სიმღერების თავისებურებანი კარგად წარმოაჩინეს გუდაუთის კოლმეურნეობა „გულრიფშის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელები კ. ბგანა და ლ. კეცა). ხოლო მეგრული სიმღერების მელიორუბობა — ზუგდიდის სარაიონი კულტურის სახლის ვოკალურმა ჯგუფმა „ოდიშიმა“ (ხელმძღვანელი პ. ხუბულავა).

ქართულ ხალხურ სიმღერას და ცეკვას თავისი მადლი არც ამ ფესტივალზე დაუკარგავს. უმრეტე, მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორი სილავს თვალსა და სმენას თავისი პოლიფონიურობით, მელიორკით, განუმეორებელი სილამაზით. თვითმოქმედების ვალა მისი დადუნალი ციება, გამომხურება, დაცვა, რაც ნათლად გამოვლინდა ამ ფესტივალზეც.

ფესტივალის მსვლელობისას ყურადღება მიექცია ფერადოვანმა, კოლორიტულმა კოსტუმებმა, რომელთა გარკვეული ნაწილი შესრულებული იყო დიდი გემოვნებითა და ოსტატობით. ნაწილი კოლექტივებისა გამოიღოდა უგემოვნო და უხა-

რისხოდ შეკერილი კოსტუმებით, რაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასურებელზე.

კოლექტივების ჩაცმულობა ყოველთვის დიდ სუა-ბაას იწვევს მხატვრებს, ქორეოგრაფებს, სოცტარებსა და ოსტატ შემსრულებელთა. შორის; მაგრამ სუა-ბაას საქმე ყოველთვის არ მოხდენს ხოლმე. ხშირად ანსამბლების ჩაცმულობაზე მუშაობენ უცოდინარი, უგემოვნო, ხალხური წყაროებისადმი გულგრილი მხატვრები, რომლებმაც არ იციან და არც სწავლობენ ქართული ხალხური ჩაცმულობის ისტორიას. ეს ქმნის სწორედ უფერულობას. ფესტივალზე ხშირად გამოიღონენ ერთი და იგივე კოსტუმებით სხვადასხვა ცეკვების შესრულების დროს. არ მივაგინია სწორად, რომ მონაწილეები უსათუოდ ოქრო-ვერცხლსა და ძვირფასი ქსოვილებით იყვნენ შემკულნი. საჭიროა ფართოდ გამოიყენონ თანამედროვე ქსოვილები და უბრალო მასალით შექმნათ ფგქტური და გამოსახველი კოსტუმები. აქ უნოდ საჭირო გახდება პროფესიონალ-მხატვრების ოპთანადო კონსულტაციები. საქმეს ისიც უშველიდა, რომ შეიქმნას საპეციალური ფარად რებროდუქციები ხალხური კოსტუმებისა. მხატვრული თვითმოქმედების დღე არმას არ აკმაყოფილებს ის მცირე სახელმწიფოებიც, რომლებიც ამ მიზნისათვის არის გამოყოფილი ჩვენს რესპუბლიკაში.

ჩვენ გვასარებს ის, რომ ფესტივალმა მიიღო მისიკა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას, ფართო მასების მოზიდვას, ახალგაზრდობის დაინტერესებას.


ახალგაზრდა შენარულებლებს სჭირათ მხარდაჭერა, მისაბძობა მათი ენთუზიაზმი. საჭიროა მეტი ზრუნვა მხატვრული დონის ამაღლებაზე, ხარისხზე. უნდა გვახსილდეს, რომ მხატვრული თვითმოქმედება საუკეთესო საშუალებაა მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა. რიგი კოლექტივების რეპერტუარი მდარეა, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ მხატვრული კოლექტივების რეპერტუარის შედგენაში ნაკლებად მონაწილეობენ ჩვენი მწვერლები, კომპოზიტორები. ნათელია, რომ რეპერტუარი წარმოადგენს უაღრესად სერიოზულ პრობლემას, რომლის გადაწყვეტა ვეალებათ შემოქმედებით ორგანიზაციებს; მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირებს, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სასოფადოებს, კულტურის სამინისტროს, ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების სასწავლებლებს. ამ რთულ საკითხის მოგვარება მხოლოდ ერთობლივი ძალებით შეიძლება.

ფესტივალი დამთავრდა. ჩვენი მიზანია შეინარჩუნოთ და გაყამდირთო მხატვრული თვითმოქმედების დარგში მოპოვებული წარმატებები. გაითვალისწინოთ და აღმოფხვრათ ნაკლებანებები, დავეზნაროთ ნიჭიერი ახალგაზრდობას, ხელი შევეწყობოთ მათ ზრდასა და აღოსტატებას.



90

# აკაკი შანიძე



ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, მისი უხუცესი პროფესორის, სასიკადალო მამულიშვილის აკაკი შანიძის დაბადების 90-ე წლისთავი.

შვიდი ათეული წელი ემსახურება აკაკი შანიძე მშობლიური ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მეცნიერული კვლევის დიდ საქმეს. მისი ფუნდამენტური შრომები „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული ენის გრამატიკა“, რომელზეც აღიზარდა და მომავალში კვლავაც აღიზრდება მთელი თაობები, ქართული საბჭოთა სამეცნიერო აზრო-

ვნების უმაღლესი დონის მარჯვენებელია. აკაკი შანიძის ნაშრომები გამოქვეყნებულია მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე.

დიდა აკაკი შანიძის წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. ყველა ქართველი ენათმეცნიერი თუ ფილოლოგი და განა მარტო ქართველი, უცხოელი ქართველოლოგიც თავს აკაკი შანიძის მოწაფეებად თვლიან.

ქართველ ფილოლოგთა პატრიარქი დღესაც დაუღალავად ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, კვლავინდებურად ენერგიულად წარმართავს მათ საქმიანობას.

ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია და რედაქცია ულოცავს დიდ მეცნიერსა და მოქალაქეს ამ სახელოვან იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს ქართული საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.



დიდი ოპორტიუნიზმი და წლისთვის აღსანიშნავად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამართა ორი პლენუმი. პირველი ჩატარდა ა. წ. იანვარში. იგი მიზნად ისახავდა თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკის განხილვა-დათვალიერებას. მეორე პლენუმზე, აპრილის თვეში რომ გამართა, წარმოდგენილი იყო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. საპლენუმო კონცერტები, თავის მასშტა-

ბურობის გამო, გასცდა კომპოზიტორთა ორგანიზაციის ფარგლებს და ფართო საზოგადოების ინტერესს გამოიწვია.

ჩვენი ეურნალის ამ ნომერში ვებუდავთ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის გვი ორჯონიკიძის წირულს: „შენიშვნები საესტრადო მუსიკის შესახებ“. მომდევნო ნომერში კი — „ქართულ კომპოზიტორთა შემოქმედებით ანგარიში“.

# შენიშვნები საესტრადო მუსიკის შესახებ

გივი ორჯონიკიძე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის ერთ-ერთ სდლომაზე წინადადებას საესტრადო მუსიკისადმი მიძღვნილი სპეციალური პლენუმის მოწვევის შესახებ იქ დამსწრენი მხურვალედ გამოხვამურნენ, რადგანაც გვი არავის არ ეპარებოდა, რომ მუსიკალური ცხოვრების ეს სფერო გამახვილებულ ყურადღებას იმსახურებს. ყველა კარგად გრძნობდა, რომ დროა სერიოზულად მოვეციდით პრობლემებს, რომელთაც ჩვენს წინაშე საესტრადო მუსიკა დღენიადაც აღძრავს. ისიც ყველამ იცის, რომ საჭიროა (რამდენადაც ამის უფლებას რეალური ვითარება გვაძლევს) საესტრადო მუსიკის განვითარების სტიქიურ პროცესს ლაგამი ამოვდლოთ, გარკვეული კონტროლი გავუწიოთ. ამის სპეციალური დასაბუთება მაინცდამაინც საჭირო არაა, რადგანაც საესტრადო ჟანრის ბევრ კარგ ნიმუშთან ერთად ჩვენს მუსიკალურ ყოფაში ბევრი ისეთი რამ შემოაქვს, ჩვენი მუსიკალური ცხოვრების ატმოსფეროს რომ ანავეიანებს.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში კი, როგორც ცნობილია, ხელთვნება უმნიშვნელოაგნეს სოციალურ-ეთიკურ ფუნქციას ახორციელებს და ვალდებულია ყველა თავისი სახე-

ბისა და ჟანრის მეშვეობით აღმზრდელიობითი რილიც შესარულოს. ამ ფუნქციას ვერც საესტრადო ჟანრი ვერ შეუღევა. ამასთან ერთად, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რაოდენ დიდია საესტრადო ჟანრის საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა, მაშინ ნათელი გახდება, ჩვენი კულტურისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, რა მიმართულებით ვითარდება ესტრადო და რა მიმართულებით ავითარებს იგი მსმენელთა ფართო წრეების ესთეტიკურ გემოვნებას.

ჩვენი პლენუმის მზადებისას ბევრ წინააღმდეგობას წავეწყდით, რომელიც მხოლოდ ამ ღონისძიებისათვის არაა ნიშანდობლივი და რომელთა შესახებაც აუცილებლად უნდა ითქვას, თუნდაც იმიტომ, რომ პრინციპში შევთანხმდეთ: ან ვალიართ ამ სიძნელეთა გარდუვალობა და მათი დაძლევის შეუძლებლობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შევერიგდეთ მათ, ან არადა, ის პოზიცია გამოვიმუშავოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს მომავალში მაინც თავიდან ავირიდოთ მსგავსი სიტუაცია, ანდა თუ შეგვხვდა, ადვილად დავაწიოთ მას თავი. ამ სიძნელეებს მე მოგივინებთ შეგვებში, ახლა კი მხოლოდ იმის თქმას დავჯერდები, რომ ჩვენ თავიდანვე იძულებუ-

ლი გაეხდით შეკრებვით აზრს, რომ პლენუმში მონაწილეობას ვერ მიიღებდა რესპუბლიკის რამდენიმე საუკეთესო საესტრადო კოლექტივი. ამ „საორგანიზაციო მოუწესრიგებლობის“ ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის გახლავთ, რომ ერთ-მანეთს დამორღვე პლენუმის საფესტივალო პროგრამა და თეორიული ნაწილი სხვათა შორის, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმების ბოლო წლების მაგალითად მოწოდებს, რომ თეორიული და საფესტივალო პროგრამები ერთმანეთისაგან დამოკიდებულა და ეს სახესებით გამართლებულია. ფესტივალი არსებითად საუკეთესო ნიმუშთა დემონსტრაციად უნდა იქცეს. იგი არა მარტო პლენუმის მონაწილეობისათვის მართება, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც ამიტომაც მისი პროგრამები მხოლოდ ხარისხიან მუსიკას უნდა შეიცავდეს.

თუ ნაწარმოებინ ხარისხში ოდნავ მაინც გვეპარება ეჭვი. (არადა, ჩვენი მოვალეობა ავტორს დავეხმაროთ), მაშინ ასეთი მუსიკა დასურულ კონცერტზე უნდა მოვისმინოთ, ხოლო ავტორს კი საშუალება უნდა მიეცეს არსებული ხარვეზები გამოასწოროს. მაგრამ თუკი რამ საზოგადოებრივ სამსაჯვროზე გამოგვექცეს, კეთილი უნდა ვინებოთ და პატივი ვვით აუღიჯოთ და არ მოვახვიოთ თავს ჩვენი მოვალეობა და წუნდებლის როლი არ შევასრულებინოთ. თანაც არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ პლენუმს თავისი საზღვრები აქვს, იგი არ შეიძლება მოქმედებელი იყოს. თუ კარგი ნაწარმოების განსაუბრებელი სიტურება (ნეტაკი ასე იყო!), მაშინ დაე ასპარეზი მათ შორის საუკეთესოებს დარიცხ.

რაც შეეხება პლენუმის თეორიული ნაწილის დღის წესრიგს, იგი გარკვეულ პრობლემას ეძღვნება და მოვლენების გაცილებით უფრო ფართო წრეს ითვალისწინებს, ვიდრე ფესტივალის პროგრამითაა გათვალისწინებული. ამიტომაც სრულებითაც არაა აუცილებელი პლენუმის ფესტივალზე შესრულებული ნაწარმოებების დამხარისხებლის როლში გამოვიდეს.

პლენუმისათვის მზადების პერიოდში ჩვენ კიდევ ერთ რთულ პრობლემას წააწყდით და არც ის გახლავთ ლოკალური, კერძო მნიშვნელობის. საქმე ეხება საესტრადო კოლექტივების რეპერტუარს. ამ უკანასკნელში ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები მხოლოდ ნაწილია უფრო ფართო პროგრამის. ყოველი კოლექტივი, განსაკუთრებით მოგზაურობის პერიოდში, თავისი რეპერტუარის ვარიანტებს ახდენს და უნდა ითქვას, რომ პროგრამის სახეცვლილებები საკმაოდ დიდი დაბაზოებით ხდება. საზოგადოებრივ კომპოზიტორთა შემოქმედებით პლენუმებზე ჩვენ ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებებს ვიხილავთ. საესტრადო კოლექტივებმა კი თავისი მონაწილეობის პირობად წამოაყენეს თავიანთი მთლიანი პროგრამის ჩვენება. უნდა ითქვას, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნა იყო და ჩვენ დავცაბულით მას. ამრიგად, საშუალება მოგვეცა არა მარტო კომპოზიტორთა შემოქმედებას გავცნობოდით, არამედ სხვადასხვა კოლექტივების სამუსრულელო ოსტატობასაც.

მთელი პროგრამების მოსმენას ის გამართლებაც ჰქონდა, რომ საერთო და სამართლიანი აზრით, რეპერტუარი — საესტრადო კოლექტივების აქილესების ქუსლია. მაგრამ მთავარი მონაგები მაინც ისაა, რომ საშუალება მოგვეცა საქმიანად ვინაყველით სამუსრულელო პირობებზე. ეს, მართლაც, დროულია და მომავალში უნდა დაფინანსოთ ამის ტრადიცია: კომპოზიტორთა შემოქმედების შეფასებათან ერთად სამუსრულელო ხელოვნების საჭირობოთი საკითხების განხილვა. ამჟამად, როდესაც კომპოზიტორთა კავშირის სხვადასხვა ღონისძიების შესრულებებზე ვლაპარაკობთ, წესისამებრ მოვალეობას ვინდობ, მაღლობს ვუხდობთ მონაწილეობისათვის, ქაითანურებსაც არ ვიშურებთ, და მთელი სჯა-ბაასიდან მათ ხელშეხებით, მართლაც საქმიანი და გასათვალისწინებელი არაფერი არა რჩება რა.

საესტრადო პლენუმში ამ მხრივ ბედნიერი გამოხატვისა: ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა სხვადასხვა სამუსრულელო სტილზე, საესტრადო კოლექტივებისა და ცალკეულ შემსრულებელთა ოსტატობაზე, პროფესიონალებზე გვემყავლა. და ეს ბუნებრივია, რადგან, შესაძლოა, მუსიკალური ხელოვნების არცერთი დარგი ასერიგად არაა დამოკიდებული შემსრულებლის ინდივიდუალობაზე, როგორც საესტრადო. ამის აღნიშვნისას სრულებითაც არ მუსრს დაავაიცირო შემსრულებლის როლი მუსიკის სხვა ენებში. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ესტრადოში შემსრულებლის ინდივიდუალობა მსატრულების სტრუქტურაში შედის, რადგანაც ესტრადოში ისეთი ნიმუშებიც იცის, რომლებშიც შემსრულებელი კომპოზიტორის თავისებურ თანაგვარად გვევლინება. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ საესტრადო მუსიკის შესრულებისას შემსრულებლის იმპროვიზაციას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე ავტორისეულ ტექსტს. როცა ესტრადის ნაშევილ ოსტატებთან გვაქვს საქმე, ისეთი თანაბრედილება გვრჩება, თითქმის ნაწარმოები აქვე სცენაზე იქმნება და ჩვენ ამ ქმნადობის მონაწილენი ვართ. იმპროვიზაცია ესტრადული ხელოვნების სამკაულია, მისი საუკეთესო მომენტი. ჩვენს ესტრადაზე იგი კერძო კიდევ გაბეღულად ვერ იკავებს გზას და იქნებ მას კრიტიკული აზრი უნდა დავხმაროს, რომ ძიებებმა ამ სფეროში მეტი სითამავე შეიძინონ.

რადგანაც ნაწარმოების ქმნადობაზე ჩამოვაფიქვთ ლაპარაკი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯაჭვიდან მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს — მსმენელს ვერ გამოვიტყვებთ. მუსიკალური ცხოვრების და შემოქმედების რა საკითხსაც არ უნდა მივამართოთ, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მსმენლის პირობები. იგი მართლაც თანამედროვე მუსიკალური სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიეკუთვნება, ჩვენც ხშირად ვეხებებო მასზე საუბარი და, ცხადია, იგი საესტრადო პლენუმზეც და დამაგ დღის წესრიგში.

თავისთავად საგულისხში ფაქტია, რომ უკანასკნელ საფესტივალო ღონისძიებებს შორის საესტრადო პლენუმში ერთადერთი იყო, რომლის დროსაც ჩვენ არავითარი სპეციალური ხერხები არ გამოვიყენებდით, რომ მაყურებელი მოგვეხილა. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი (რომლის ტყავ-

დობა 2300, ხშირად საერთოებელი ადმინისტრაციას), თუმცა ზოლომდენ არ იქედებოდა, მაგრამ საკმაოდ იესებოდა მუსიკის ე. წ. სერიოზული ჯანრების მსახურთა გულგასახეობად, რომლებსთვისაც ასეთი დასწრება უფრო იყენება, ვიდრე ხელშესახები რეალობა. დარბაზში უშუალოდ ახალგაზრდობა იმყოფებოდა და იგი საკმაოდ ცოცხლად ეხმარებოდა ყველაფერს, რაც კი სცენაზე ხდებოდა. ეს კი კონცერტების წარმატების უტყუარი საბუთია. უტყუარი საბუთია იმისაც, რომ ესტრადის ხელოვნებაზე სასოფლომრედი მიწიწველობის დაკვეთა არსებობს და რომ ამ მუსიკას თავისი ერთგული თავადაცმცემლები ჰყავს.

მაგრამ აი რა საკითხი ისმის: ამ წარმატების ფაქტმა უკილობდად ოპტიმისტურად უნდა განვანაწიოთ? ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე უბრალო, ერთნიშნა პასუხი არ არსებობს. დასწრების ფაქტი ვერც ხელოვნების ხარისხის მსაზღვრელად გამოდგება და ვერც აუდიტორიისა. ხანდახან ისეთი პრადა-დოქსული სიტუაცია იქმნება, როდესაც გარკვეული ნაწარმოების პოპულარობა მესაძლოა მსმენელის გემოვნების დაბალი დონე დადასტურებს. მე არ მსურს, რომ ეს საერთო მოსაზრება იმათ მიმართ გამოვიყენოთ, ვინც ფესტსტრადო კონცერტებს დასწრო და კარგად მიიღო ღვეტსტრადოზე კონტრანელი მუსიკა. მაგრამ ალბათ დამთავანებით, რომ საესტრადო მუსიკის ხარისხი შეედრება დაკავშირებული მსმენლის თვისებებთან და ესეც ამ ქანრის საუკიდო-კაა. რადგანაც მუსიკალური ხელოვნების არცერთი სხვა დარ-გი ისეთი ზომით არ განიცდის მსმენლის დაკვივის მარე-გულრეულ ძალას, როგორც ესტრადა. ესტრადა ამ თვალსა-ზრისით შეიძლება ზემგრძნობიარე სეისმოგრაფს შევადაროთ, რომელიც აღწესსავს და ითვალისწინებს აუდიტორიისკან მომავალ ბიძგებს, განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენს მათ დაგამოყვლებისათვის, რადგანაც მათ სოციალურად ან-გარიშვასაწვე ფაქტორებად მიიჩნევენ.

ჩვენ კარგად გვეხმის, რომ ჩვენი ესტრადის წინაშე ამართუ-ლი პრობლემების ნაწილი არა მხოლოდ ქართული სინამ-დვილისათვის და მამახასიათებელი. ისინი განჭობს ესტრადის საერთო საზრუნავა, რადგანაც მისი განვითარების სინდელე-ებს ასახავს. მაგალითად, ჩვენშიც და სხვაგანაც საკმაოდ მწვავედ დგას სტილისტური ორიენტაციების საკითხი. ცნო-ბილია, რომ თანამედროვე საბჭოთა და, კერძოდ, ქართული ესტრადის შექმნა-განვითარებაში ბევრი ფაქტორი იღებდა და იღებს მონაწილეობას. ესტრადის მრავალი წყაროებად სა-ზრდობისაა ვერ ერთი, იგი უხეზობივად ავითარებს ჩვენი სა-ბჭოთა ესტრადის ტრადიციებს. ესტრადის ბედ-იბაბაღში ყველათვის დიდ მონაწილეობას იღებდა ჩვენი მუსიკალური ყოფა — მთელი თავისი ჯანრების მრავალფეროვნებისა და განუმეორებელი არომატით. ეს წყარო დღეს არა თუ არ დაიჭრება, მან კიდევ მეტი მომხიბვლელობა შეიძინა ქარ-თველი კომპოზიტორებისათვის, რომანტიკული განწყობი-ლებებისთვის ბუნებრივ მასალად იქცა. ესტრადაზე ძლიერ-დებდა მუსიკის სხვა სახეობათა ზეგავლენაც, მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს გამოყენებითი ხელოვნებაც. ესტრადის ურ-თიერთობა კინოსა და დრამატულ მატრთან მარტო იმით არ იფარებოდა, რომ საესტრადო მათ მხატვრულ სტრუქტურ-რამი იჭრება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თეატ-რისა და კინოს საუკიდოვას თავის მხრივ გარკვეული თვისე-ბები შუშოაქვს თვით საესტრადო სიმღერაში, მის მხატვრულ

სახეებში, გამომსახველ საქმეებში. და ბოლოს, ყველაფერსა-შის ნათელია თუ როდენ ნაყოფიერია ესტრადისათვის კავ-შირი ლიტერატურა და პოეზიასთან.

ესადა, საესტრადო და პოეტური ქმნილებების მხატვრუ-ლი მნიშვნელობის გატკლება შექანიკურად შეუძლებელია: სასული ლექსმა თავისი ბიძგის როლი შესარტლის ამა-ღლეღეღი და შთამბეჭდავი მუსიკალური ნაწარმოებების შექ-მნისათვის და, სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ პოეტური შე-დევრი ამომსახილი წერტილს ხდება საექვი ღირსების მუსი-კის წარმომავლისთვის. ეს, რასაკვერველია, მარტო ესტრა-დას არ ახასიათებს, არამედ ვოკალური ხელოვნების ნების-მიერ ჯანრს. მაგრამ თავისთავად საესტრადო კომპოზი-ტორების მისწრაფება — თავისი, ძიებები დაუკავშირებს მა-ღალმხატვრულ სიტყვას, მისასაღებელია და კარგ საფუძ-ველს ქმნის გამომსახველი მუსიკის შესაქმნელად.

აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად. ესტრადის განვითარება-ზე მზარდ გავლენას ახდენს საზღვარგარეთული ესტრადის მრავალფეროვანი ჯანრები: პოპ-მუსიკა, ბიტური მუსიკა, ბი-ტლზები, მიუზიკლი, ჯაზი და სხვ. ეს წყარო ჩვენში მუ-ღად იწვევდა ალმაყერ დამოკიდებულებას: ივა არაერთ-ხელ შეუფასებიათ, როგორც ჩვეთვის აბსოლუტურად მიუ-ღებელი, ჭეშმარიტ სილამაზუს მოკლებული, უზნეო (და რაცა ვნებათა ლელვა ძლიერდებოდა), როგორც ადვირ-ახსნილი და გახრწნილი ხელოვნება. დასავლეთში, მარ-თლაც, მრავალდ მოიპოვება „მუსიკალური ხელოვნების“ ად-კერძოდ. ესტრადის ნიშნუები, რომლებიც უფრო მაკარ კიო-ტრეკაყც იმასხურებს და სასოვალად, დაგმობს და უსიბა. მაგ-რამ და-გაღტორი უნდა ითქვას. რომ მიიღო ამ ხელოვნების მხოლოდ ნეგატიური აღქმა და გაბაიარებუბა უფრო მეტ ზი-ანს მოუტანს ბრალმდებლის ავტორიტეტს და მის პროფესიო-ნულ რეუტაციას, ვიდრე ჩვენ მიერ დასახელებული ხელო-ვნების სახეობებს: მუსიკის ამ სფეროში ბევრი ჭეშმარიტი ხე-ლოვანი და ბრწყინვალე ოსტატი მუშაობს, რომელთაც მთე-ლი ეპოქა შექმნეს და რომელთა ზეგავლენაც მუსიკის სხვა-ჯანრებსაც მისწვდა და მათში ბევრი სატულისხმო სახაზ-შეიტანა.

ჩვენს ესტრადაზე მსჯელობის დროს მხედველობას არედან არ უნდა გამოვგრწნოთ მისი ინტერაციონალური კავშირები. ეს სასულებას მოგვეცემს უფრო უსუსტად განვსაზღვროთ ის, თუ რას ვითვისებთ შემოქმედებითად და რაში გამოვიყურე-ბით ჯერჯერობით ეპიგონებად. თანაც ისიც არ უნდა დავგა-ვიწყებდეს, რომ ერთგული მუსიკალური სტილი მიიღო თავისი მრავალფეროვნებისა და კონტაქტაბელურობის მიე-ხედვად, ყველაფერს ადვილად ვერ გვევბა, რაც უცხო წყაროებდან მიიღის. არის ის, რაც მასში რო-გორც ორგანული და თანაზიარი შემოდის და არის ისიც, რაც უცხო სხეულად ირება მუსიკაში და გარკვეულ ნაწარმოებათა ეკლექტიკურობას განაპირობებს. თუკი პირველ შემთხვევაში სტილი ფართოვდება, თავისი თავის ფარულ შე-საძლებლობებს შეიმეცნებს, მეორე შემთხვევაში, უცხოური ხეღმეტ სოცად აღიქმება და იგი სამართლიან გულისწყ-რობას იწვევს. მართალია, ხშირად უხეირო მაგალითი შორს მიმავალი დასვენების საბაბს იძლევა, თითქმის უცხოური გამოყენება. სასოვალად მაგნებელი იყოს და საწმირობას უქადის ჭეშმარიტად ეროვნულს. ამ შემთხვევაში, ალბათ, ისეც უნდა ვაირაკვას ის, რაც ორგანულია ვერ შემოვიბა, მართლაც ყველა შემთხვევაში მიუღებელია, თუ საქმე გვაქვს



მის გამოყენების უსერიოცფასთან, გამოყენებასთან და არა შემოქმედებით ათვისებასთან.

თანამედროვე ესტრადაზე ფოლკლორის მძლავრი ზეგავლენა ჩვენი დროის ნიშანია. ოდესღაც ესტრადის მომეტებულად ზანგების სიძლიერა კვეთავდა, მანსონიების მომქაჩობა, ბოშური რომანის, უფრო მოვიანებით ლათინური ამერიკის ხალხთა შემოქმედება. დღევანდელი ესტრადის ფოლკლორული წყაროების არე გაფართოვდა. წესისამებრ ყოველი ერთეული მსჯავრდის მისწრაფების თავისი ხალხის შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირის დამყარებასთან. ეს კი საზოგადო პლანში მყარ საფუძველს ქმნის საესტრადო ხელოვნების ძირეული განახლებისათვის: საესტრადო ფორმები სახეს იცვლიან. მათში მძლავრ ნაკადად იჭრება ღრმა თავისებურებებით აღბეჭდილი ინტონაციურ-რიტმული მასალა. იცვლება საესტრადო მუსიკის ენა, და იცვლება, ცხადია, თვით ამ მუსიკის ინტონირების სტილი. თუნდაც მარტო უკანასკნელი წლები რომ ვიქონიოთ მხედველობაში, უდავოდ მოგვიხდებოდა საესტრადო ორგესტრის, ინსტრუმენტული სახეობების ინტენსიური ცვლის აღნიშვნა, რაც ფოლკლორული წყაროების მძლავრმა ზეგავლენამ გამოიწვია. მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით შეიცვალა საესტრადო მუსიკის ვანრები, მატერული სახეები ეროვნული სპეციფიკა ამ უფროსი თავის გადამწყვეტ სიტყვას ამოძის. იგი იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, ეგუება შემუშავებულ ტიპოლოგიას, იმორჩილებს მას (ანდა თვით ემორჩილება). ხშირად კი დავა ახალსა და ტრადიციულად საესტრადო შორის კომპრომისით თავდება. ამით განიარაღება პირივედის სინჯავლედ და უჩვეულობა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, თითქმის ეროვნული საწყისის გაძლიერების შედეგი მხოლოდ ორგანული სინთეზია, ხანდახან მის რეგულირება აუტანელ სიჭრელეს ვიღებთ. ყველაფერი ეს ჩვენი დროის ტენდენციაა და ქართული ესტრადის განვითარებაც ამ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება. ჩვენ უბრალოდ უფლება არა გვაქვს ამ პროცესების მიმართ პასუხად მომლოდინეს პოზიცია დავვიჭიროთ. ჩვენ ღირებულებათა მკაფიო კრიტერიუმები უნდა გამოვიმუშაოთ და ამ საზომით გავარკვიოთ განვითარების პროცესის სხვადასხვა მხარის მნიშვნელობა. თუკი მართლაც სერიოზულად ვაპირებთ თანამედროვე საესტრადო ხელოვნებაზე ზეგავლენას და მის გამოყენებას იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც ჩვენი საბჭოთა მუსიკის წინაშე დგას.

ამ კოტა ხნის წინათ კოლფეხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მარტოშუბანდნე, რომ დღეც დრო, როდესაც სოციალიზმისათან ერთად დიდი ყურადღება მუსიკის ეკონომიკაც უნდა მიექცეს. ცხადია, თავისი არსებობის ყველა დროში მუსიკა ცხოვრების მატერიალურ მხარესთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. კერძოდ, მას საკმაოდ ხშირად უხდებოდა თავისი სოციალური ყფის ეკონომიური მხარის გათვალისწინება. მაგრამ ეს სვეფრ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენს დროში იძენს. მართლაც თანამედროვე მუსიკას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გააჩნია თავისი მრეწველობა, კავშირგაბმულობის საშუალებები. მის სისტემაში მრავალი ათასეული მაღალკვალიფიკაციური მუშაკი შრომობს. მუსიკა ისეთ დიდ მოვებას იძლევა, რომ მის მიერ მოკლებულთა თანხები ასტრონომიული ციფრებით იზომება. ვადაკუთრებულად შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის არცერთი დარგი ისე მჭიდროდ არაა დაკავშირებული პრაქტი-

კულ ცხოვრებასთან, როგორც საესტრადო, და არცერთსა. გააჩნია ისეთი მძლავრი ეკონომიური პოტენციალი, როგორც საესტრადო.

საესტრადო მუსიკა ჩვენი ცხოვრების განუყრელი თანაზავარი გახდა. იგი ადამიანს ფსიხის არა მარტო მაშინ, როდესაც იგი ესტრადას სპეციალურ ყურადღებას უთმობს, არამედ მივლი რიგი ისეთი მოვლენების დროსაც, რომელთაგან აღ ხელოვნებასთან და არც ესტრადასთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ: ტრანსპორტი, სატელევიზიო გადაცემების დროს, თვით სამეცნიერო და სამეურნეო თემებზე. არის ერთი ანაგვლილი ფილმი „ცხოვრობდა ერთი პოლიციელი“. იქ ასეთი კადრებია: სამგლოვიარო ცერემონიების დროს ჭირის სუფალს დამსწრეები საძიძიარს ვუხეზებინან. ამ დროს კი საესტრადო მუსიკა ქლერს: ფილმი პარდიულია, აღნიშნული სიტუაცია — კომედიური, მაგრამ მთელ ამ სამგლოვიარო პარადოქსში ძალიან გონებასმავლურადაა სასოვადობაში ესტრადის ადგილი მიითებულები.

ესტრადა უნდა შორის, საფიანო გახდა და ამ ფაქტის ანგარიში სხვა გაევიოს. იგი მხარე რადიოებით იხადეს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მუსიკის სოციოლოგია მუსიკის სხვადასხვა დარგზე ტალანტების განსაწილების საკითხის შესწავლისას ამ საკითხთაც დაინტერესდება. ჩვენი დროისათვის ესტრადა თითქმის მთლიანად დაეპატრონა თვითმომქმედება. შემოსავალი ფორფიტებისაგან — არსებობდა ესტრადის დამსახურება, იგი გვევლინება ანსემბლიური ორგესტრების დაწინაშეული მეცნატიის როლი. ესტრადა კონტროლს უწევს სატელევიზიო ეკრანს და ამრიგად, მძლავრ ზეგავლენას ახდენს ფართო მსმენელის გემოვნების ფორმირებაზე.

აი, ახლა დრო მოვიდა პასუხი გავცეთ კითხვას: რატომ არ მიიღეს, ჩვენს დათვალერებაში რესპუბლიკის უდიდესმა საესტრადო კოლექტივებმა მონაწილეობა. ამაზე შეიძლება ძალიან მკაფიოდ ვუპასუხოთ: „დეილოვ“ და „ვიფილი“ გრძელვადიან მიჯილენებაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ. მხოლოდ პუნეუბის მოლო დღეს ჩამოვიკისურე „ორგანო“, რომელიც მანამდე მუსიკოში გამოდიოდა (თანაც ჩამოვიტოვოთ თავისი ლოგო — ბუბა კიკაბიძის გარეშე). ჩვენს ფესტივალში მონაწილეობა ვერ მიიღო „ერგომაც“, იგი თუმცა თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ თავისი უარი იბიქვით უფრო სიმძლეებით „დასახუთა“. რასაკვირველია, ობიექტურს ყველაფერს ანგარიში უნდა გავვიოთ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში „ერგოს“ ხელშეშლანებლა (გივი გაჩეილაძე გახლავთ — ნიჭიერი მუსიკოსი და საესტრადო ხელოვნების მშვენიერი სპეციალისტი), საკმაოდ მარტივი გზით აიცილინა მსჯელობის დროს მისალოდნელი კრიტიკა.

მთელი რიგი კოლექტივების მონაწილეობა პუნეუში იბიტომ ვერ უზრუნველვავით, რომ ჩვენი შემოქმედებითა კავშირის და საკონცერტო ორგანიზაციების ინტორესები ერთმანეთს არ დაემთხვა და ჯინც კოლექტივების ბედს განაგებს ისე მოიქცა, როგორც მას აწყობდა. ამიტომ წარმომადგენლობის თვალსაზრისით ჩვენი პლანში სისხლნაკალული აღმოჩნდა. ასეთი ვითარება მარტო სასტრადო ხელოვნებისათვის კი არაა დამახასიათებელი, არამედ მუსიკის სხვა ვანრებისათვისაც. საშემსრულებლო ერთეულის საკმარისობა, რომ მხოლოდ კომპოზიტორთა კავშირის „ეკოცენტრული“



ინტერესები განსაზღვრავდეს, რასაკვირვლია, არც ეს ექნებოდა სწორი, მაგრამ უფრო ხშირად, სამწუხაროდ, პირობითა უკიდურესობასთან გვაქვს საბჭო. ჩვენ კი გულწრფელად გვჯერა, რომ სხვადასხვა დამფლავებელი შესაბამის ფოლკლორით მინაწილობაში და მათი ავტორებისთვის შესახებ საქმიან განხილვაში თვით საკონცერტო ორგანიზაციები უნდა იყვნენ დაინტერესებული, ეს მათ შესაძლებლობას იმსცემდა თავისი მუშაობის ქვეშ შევითავსო ხარისხის შესახებ უფრო რეალური წარმოდგენები შექმნილობდა.

საესტრადო კოლექტივები წყისამებრ მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. მუდამ საგანტოლო მოგზაურობაში მყოფები ხვდებიან სხვადასხვა ხასიათის აუდიტორიას და კარგად უღებენ ალღოს ე. წ. მსმენელის კონიუნქტურას. კონიუნქტურის დამახასიათებელი მხარეა, რომ მსმენელი პასიური მომხმარებლის როლით არ ემაყოფილება. მასა და ესტრადის შორის რთული კავშირების ქსელი იმბება, მაგრამ ჩვენი მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა იმ გარემოებას ენიჭება, რომ მსმენელი ერთგვარად ცდილობს მოათვინოთ მის ესტრადს, აიძულოს იმის, მსმენელის დავგვთა კეთილადი-სწინის, იმას მისცეს უპირატესობა, რაც მას, ამ მსმენელს მოსწონს: სხვათა შორის მსმენელის და ესტრადის ესოდენ აქტიური დამოკიდებულება საესტრადო ხელოვნების სპეციფიკაა, თორემ რა აქტიურობაა არ უნდა გამოიჩინოს მსმენელმა იგი ბეთოვენის სონატაში პიანისტს ნოტსაც ვერ შევაცდევინებს. ნართალია, ამ შემთხვევაში თავის ნებისყოფას მსმენელი უფრო რადიკალურადაც ამტკიცებს: აიღებს და საკონცერტო დარბაზს საზოგადოდ ზურგს შეაქცევს თუ მოსალდნელი წარმოდგენა არ ეპიტანება. ასეა თუ ისე, სწორედ კონიუნქტურა აიძულებს საესტრადო კოლექტივებს რეპერტუარში აუდიტორიის მოთხოვნები გაითავალისწინონ, ჩართონ პროგრამაში პოპულარული შლაგერები, ბოშური რომანსები, ისეთი მუსიკა, რომელიც უშეპალო მხატვრული ღირსებები არ გააჩნია, სადასიყოდ, ნებისმიერ აუდიტორიაში ავტომატურად უზრუნველყოფს წარმატებას.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ სიტუაციაში საესტრადო კოლექტივი ნებაყოფლობით ეგუება ე. წ. „საშუალო მსმენელის“ დიქტატს, მის მდარე გემოვნებას, თავს არიდებს მასთან პოლემიკას, ვერ იცავს ესთეტიკურად ღირსეულის ინტერესებს. ასეთი საესტრადო კოლექტივი უგემოვნობის მოკავშირედ და მის პროპაგანდისტად გველინება.

განსაკუთრებული სიმწვათი ამ სიტუაციაში იჩენს თავს შაბლონის სტერეოტიპის, გემოვნების პრობლემა, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია განახლება და საინტერესოს დაწინაურება.

ამვე დროს ამ საკითხების გადაწყვეტას ჩვენი ხელოვნების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ თვითღონებით და თავისთავად მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, რადგანაც პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ დაწავიანება გაცილებით იოლია, ვიდრე სისუფთავის აღდგენა. ყველას, ვინც უხარბადას კარგად იცნობს, კარგად ესმის თუ რაოდენ ელტიკატორია ის საკითხები, რომელთაც აშკარად შევებხ. ხშირად თვით ნიჭიერი კომპოზიტორები გემოვნების საკითხში ვარკვეულ კომპრომისზე მიდიან, ეგუებიან სტერეოტიპებს, რაც იმის აღიარებას ემსგავსება, რომ: „შე კი სმენის ანის ნამდვილი ფასი, მაგრამ რას იზამ, საერთო სიხისა და მდგომარეობას უნდა შევერიდეთ, ხალხს ასე მოსწონს“. ყველაფერ ამას ხალხის ნამდვილ ესთეტიკურ ინტერესთან არა-

ფერი არა აქვს საერთო. მსგავსი პოზიცია უფრო პრაქტიკულ, უქონლობას მიწმობა, უნებისყოფობას, ჟანრთან მომხმარებელურ დამოკიდებულებას.

შესალოა, სტერეოტიპი ესტრადაში მართლაც გარდუვალია, მაგრამ საზოგადო დაქვს დასახუების ძალა არა აქვს და ჩვენ იმის უფლებას მაინც ვერაგინ ვერ წავგარომოვებ, ფაქტზე ჩვენი საკუთარი აზრი ვიქონიოთ. ერთგულად წყაოებში, ცოცხალი ინტონაციის დაჭრის უნარი, ცოცხალი ინტონაციისა, რომელიც მეტყველებდა, ყოფითი მუსიკიდან მოდის, ინტონაციისა, რომელიც ესტრადაში, სხვათა შორის სხვა ჟანრებიდანაც ჩამოერთვება—საწინდარია სიხის, ორიგინალის, შაბლონის დამოკიდება. პოპულარული შლაგერი შესაძლოა მართლაც რეპერტუარის აუცილებელი ატრიბუტია, საზოგადოებას მას კლის და აუდიტორიის იმედგაცრუება გარკვეულ რისკთანადა დაკავშირებული. მაგრამ შემსრულებლის სახეს (განურჩევლად იმისა, ცალკეულ არტისტზე ვლპაპარკობთ თუ კოლექტივზე) მისი საკუთარი ნაწარმოები ქმნის, მისი საკუთარი შემოქმედება, თუნდაც ამავე შლაგერთა მისი დამოკიდებულება. და თუ ეს სახე საინტერესოა და გამოკვეთილი, თუკი იგი მეტყველია, მაშინ მსმენელი იმასაც აიტანს, რომ ნაწილის მილოდინი არ გაუმართლდა და მის ნაცვლად სიახლეს უნარა.

საესტრადო მუსიკაში განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს ნიველირების საშოშირება. კინომ და, უფრო მოვიანებით, ტელეხედევაში, საგანტოლო პრაქტიკაში. ფირფიტების და ფორების გავრცელებამ არსებითად ყველა დაინტერესებულს შეუქმნა პირობა მუსიკალური ხელოვნების ნებისმიერ სახეობებს გასცნობოდა. ამავ დროს ამ საშუალებებში ხელი შეუწყავს ამ თუ იმ მხატვრული მოვლების ავტორიტეტის ზრდასაც და მისი მნიშვნელობის შესახებ ზავიადებული წარმოდგენების შექმნასაც კერპები და ვარსკვლავები მიაძვინის სავანად იქცა. ამავ დროს ეს მიმბაძვა ხშირად კარკატურულ ფორმებს იღებს. შედეგად ეს ესტრადაზე იმდენად ცოცხალ შემსრულებლებს არ ვხედავთ, რამდენადაც ნიღბებსა და უმკავს რებორდუქციას. ამის მიწმენი ჩვენ ამ პლენურზედაც ვიყავით. მით უფრო მტკიცეა ჩვენი სურვილი თუთიყუშური მიმბაძვის აუ ხენს ბრძოლა გამოუცხადოთ, რადგან იგი ცოცხალი შემოქმედების დაუძინებელი მტერია.

ძნელია, ძალიან ძნელია ესტრადიდან უგემოვნობის, უხამსობის, გულის გამწოწავი გრმანოტირების განდევნა. ექსპრესიის ნაცვლად აქ ხშირად ვაწყვდებით ექსტაზს ანდა მის გაუგებარ სურბოვას; სიმღერის ნაცვლად — კვილს, ანდა მის საერთო სიმოდელ აზრგამოცლილ ბუბტუტს მიკროფონში. ბოშური სიმღერისათვის დამახასიათებელი ვნებათა ღღევა ღირიკულობის საშობის როლს იჩენებს და თითქოს ჟანიკ ხრავთ რკინას, ისეთხად უზგავლენას ახდენს საესტრადო მუსიკაზე. სამწუხაროა, რომ ამ სენს ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორებიც ვერ აღუდგენ წინ, არადა, ბოშური გატაცება იერიოაც თვითმყოფადი და ფსიქოლოგიურადაც ჩვენი დროის შესაბამისი ღირიკული სახეების შექმნას წინ იდგობება. არც ფსევდოორიენტაციზმია ჩვენი ესტრადის სასიქადული თვისება, არადა, ბოლო ხანს ორიენტაციური მოცელები საკმად გააქტიურდნენ. საზოგადოდ „ფსევდო“ ყველაფერი დასაძარბისია, განურჩევლად იმისა, თუ რა მხრიდან შემოდის — სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. სტილისტური სისუფთავე ამ „ფსევდოსადაში“ იმუნტეტის გამოიშუავებას გულისხმობს.



ალბათ ესტრადის სპეცილობის უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ მე პირადად ისეთი შთაბეჭდილება მინება, რომ შაბლონისა და შტამის შირიად ესტრადული ორკესტრების ინსტრუმენტული შემადგენლობა განაპირობებს, რასაც სიმღერის ერთ მანერულ დაყვანასაც უწყობს ხელს. ამ მიხედვით მე უსაბამო-პათეტურის ვუწოდებ, რადგანაც პის ტონის მიღწევაზეა თემატური იმპულსი კი არ ანიჭებს, არამედ ხელოვნურად პროფიციენტული ემოცია შაბლონის შერქმევას გამამოტივრებელიც უწყობენ ხელს, რადგან ისინი ინსტრუმენტთა ტემპრალური თვისებების ნივთიერებას ახდენენ. თანაც ისიც აშკარაა, რომ გამამოტივრებლები გამოყენებაში ძნელად თუ ვინმე იცავედს ზომიერებას, ამიტომაც მსხვერპლთა ყური უმოწყალო იერიშების მსხვერპლი ხდება. ვფიქრობ, რომ ამჟამად ჩვენი ინსტრუმენტული ანსამბლის ტემპრალურ ფერადონებზე ძნელად დაპარაკია, რადგანაც ერთთვარეობა ორკესტრებისა და გამამოტივრებლების მსახვერად მოქმედების გამო მხოვანება არსებობდა ერთ საერთო წინიშენელზე დავიდა. სხვადასხვა ორკესტრების მხოვანება არსებითად „დარტყმითია“ (ამ ტერმინში ის იგულისხმება, რომ ორკესტრბაში დასარტყამი ინსტრუმენტები დიდ როლს თამაშობს და ბეგრის წარმოქმნის „დარტყმითი მანერაც“, რითმ-ჯგუფების ექსპანსიასთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა ინსტრუმენტებიც არსებითად ტემპრალურ-რითმულ ექსპანსიას ქმნიან, ანასთან ერთად დინამიკური კონტრასტების დიაპაზონიც საგრძნობლად შეიზღუდა. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? დროის ესთეტიკური კანონზომიერების განრანხია თუ რომელიმე გაბატონებული სტილის მიმაჯვანე? მთელი ეს თვისებები სიახლისა და თანამედროვეობის ალტერნატივა?

ფიქრობ, რომ თანამედროვე ესტრადა გვაძილებს ბავშვთა აღზრდის მთელ რიგ არატრადიციულ პრობლემებშიც გავრცევეთ. ამჟამად ძნელი დაადგენია, საიდან დაიწყო: თვით ბავშვებმა შეიფარეს ესტრადა თავდაფრეებით თუ მოსტრადლებს მოუვიდათ თავში ბედნიერი იდეა ნორჩთა მუსიკალური განათლების წარწევი ამოცანით, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ საბავშვო საესტრადო კოლექტივები სოკოსავით შრავლდება და ისინი საკმაოდ დაქინებით იკავავენ გზას დიდი საკონცერტო ასარეზოსაკენ.

მართლაც, ვინ არიან ის ბავშვები, ასე თავდავიწყებით რომ შედგომიან საესტრადო საქმიანობას? თუ მათი მონაქმნების მიხედვით ვიმსჯელებთ, ნორჩ „ესტრადისტებს“ მართლაც აქვთ კარგი მუსიკალური ნიჭი, მახვილონიერისა და რიტმულად სახასიათოს მიმართ ადრე გაღვიძებით გვ-მო, ოქმირიც ეხერხებათ და პართლაც, ადვილად ქნიან პარულად ფერადოვან და სადღესასწაულო იერის მქონე სცენურ სიტუაციას. საზოგადო ესტრადაზე შესაშური თავისუფლება ახასიათებთ და ისე ბუნებრივნი არიან, გგონება აქ აუღამათ ფეხი, ყოველგვარი შესამჩნევ ძალდატანების გარეშე ეხერხებათ სათანადო სახეები გამოსვლა, უკრავენ და მღერაან პროფესიულად საკმაოდ დახვეწილად და სპეციფიკური „სასესტრადო ინტონაციის“ გარკვეული შერქმევებით.

შეიძლება მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებსთვისაც ესტრადა ალბათ მომავალი პროფესიაა და ამიტომაც იმთავითვე შეგუება მათ დაობსტრატულ უადვილებს. ხს კი მომავალი წარმატების წარმადარი უნდა იყოს. ჩვენ ეს კარგად ვიცით — სპეციალიზაცია რაც უფრო ადრე იწყება, მით უფ-

რო ადრე გამოუმუშავდება ადამიანს აუცილებელი ჩვევებით მით უფრო უძტკიველად იქცევა პროფესია ადამიანის ნატურის ბუნებრივ მსარედ, მის არსებით ნიშნად. ესტრადა ამ მხრივ, როგორც ჩანს, გამოხატვის არ წარმოადგენს. მაგრამ კითხვა ასეც შეგვიძლია დავსვათ: ღირს თუ არა ამ საერთო კანონზომიერების დასადასტურებლად, მის საილუსტრაციოდ ესტრადა ბავშვის აღზრდის აუცილებელ პრობლემად ვაქცივით? (ალბათ გამიგებთ, რომ მე ვთვლინსხმე არა ყველა ბავშვი, არამედ ის, რომელმაც სათანადო მიდრეკილება და ნიჭი გამოამჟღავნა და ვინც საბოლოოდ „სასესტრადო კარიერისაკენ“ გადაიხება). ყველა შესაგებობი მონაცემების მიუხედავად იქნებ მაინც აჯობებდა დავეყვლია ნორჩებისათვის თავიდან არ ზიარებოდნენ საესტრადო მუსიკის საიდუმლოებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სპეცი-ალურად მინდა დავადასტურო ჩემი თავყენისკმა საესტრადო ხელოვნების ოსტატებისადმი და ისიც, რომ ესტრადის ნიშნებში შორის ბევრია ტექნიკური მსატრულა ღირსების მქონე ქმნილება.

ჩემს გულწრფელბაში უფრო მეტად რომ დავარწმუნოთ, ჩემს ნების მიუკმ კრიტიკული შენიშვნების დინებას ერთი ღირიკული პასაჟი გაუერიო. რადგან სიტყვამ მოიტანა და მე ვაღდებულ ვარ არ შმოუფთვარლო აბსტრაქტული მსკრე-ლობით და პირდაპირ დავასახლო საესტრადო ფანჩის რომელიმე თვალსაჩინო ღირებულება, მე ესარგებლობ შემ-თხვევით და რადღინიმე სიტყვამ მივეძღინე ჩვენს სასიქად-ლო საესტრადო მომღერალს ნანი ბრეგვაძეს. კანს სასიქად-ლოფებმა სილამაზე არ განავადებინებთ და განა თავისთა-ვად განუმორებელი არაა ის სითბო და ამაღლებლობა, უტყარო მსატრულა აღლო და არტიტიზმი, უშუალობა და ქალური მომიხბელობა, რომელიც მის სიმღერას გამოარჩევს?

ნანის სიმღერა გაალერსებს და შენში უუაქიშეს გრანო-ბებს შეარჩებს, მაგრამ ამ ხელოვნების საიდუმლოება სწო-რებს ის გახლავთ, რომ გრანძის სიწრფელო და სიღრმე მას-ში შერწყმულია კდემამოსილებასა და თავდაჭერილობას-თან. ნანი ემოციურია, მაგრამ იგი მუდამ ხელოვნების ფარ-გლებში რჩება, მისთვის უტხოა უკიდურესობანი. მისი სიმღერის ხასიათში ბევრი სხვადასხვა წყაროდან მომღინა-რი თავისებურება შედღაბებული, მაგრამ ხმში, თანაბე-რებით სიღრმე მიღიდასა და განუმორებელი ინდივიდუ-ლობის მქონე ხმში, თვით მამონაც ეკ, როდესაც ნანი არა-ქართულ რეპერტუარს ასრულებს, ის ენა ეღერს, რომელშიც თბილისურ სიის მუღწევეია და სამხრეთური ღამის არიბიტი დარჩნულია. ნანის ბევრი სახელოვანი წინამორბედი ჰყავდა და ალბათ უფრო მეტიც და ვინ იცის, შესაძლია, კიდევ უკმ-თესი გამგრძელებლები ეყოლება, მაგრამ ქართული ესტრა-დის ისტორიაში მან პირველმა მიაღწია სტილისტური ტეა-ლონის ნიშნებულობას.

ღიან, ის, რაც ნამდვილია — მისი უარყოფა შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ამის არავითარი სურვილი-არა მამქვ). მაგრამ (მე მაინც ჩემს კრიტიკულ შენიშვნებს ვაგაძლებ) არის ხელობა, არის პროფესიაები, რომელთა ადრე ასაკში დაუფლება ნაჩქარევი იქნებოდა. იმიტომ, რომ ყოველ ხელობას, ყოველ ხელოვნებას სინამდვილისთან თავისი საკუთარი დამოკიდებულება აქვს, იმიტომ, რომ თა-ველდ მათგანს ზნეობრივი პრობლემების საკუთარი ხედვა აქვს და ბოლოს და ბოლოს, თვითველ მათგანს თავისი საგანი



გაანჩია, ხელოვნების ამ სპეციფიკური სინამდვილის მიუღი სილახათე სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირად გაიგება. სხვათა შორის (ამ მაგალითის ისე ნუ გაიგებთ, როგორც უშუალო პარალელს და ანალოგიას) ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ზოგიერთ მაღალმატერად ფილმზე თექვსმეტ წლამდემოზარდები არ დამოშვება ცხუვ ხელოვნების სპეციფიკა.

შესაძლოა, ამ შემთხვევაში ჩემი პოზიცია სპეციფიკურია, მაგრამ პროფესიული ესტრადით ვატყებულა ბავშვები პირადად ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ. ბავშვი ბავშვად უნდა რჩებოდეს. ბავშვს თავისი საწყარო გაანჩია და თავისი სამეტყველო ენა. ბავშვთა მუსიკის მომაჯადოებელი ძალა მის უშუალობასა და გოლუბერეგობაშია (მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ), მის ემოციურ სისუფთავესა და უმწიკლობაში. აქ, ამ სპეციფიკურ სამყაროში ყველაფერი კარგია: კომედური საწყისიც და ლირიკაც, ზღაპრია, მიზანგონიც და ფაქტის კონკრეტულობაც. მაგრამ მასში ყველაზე მეტად თვით ბავშვურობა ფასობს. ბავშვურობა არ საქართველოს მორჩილობა განმარტობებს. ბავშვი შეიძლება ბავშვად ჩნდებოდეს და ეს ხელს არ შეუშლის მასში პიროვნების აღზრდას. ადამიანის განვითარების აუცილებელი პირობაა, რომ მომდევნო ასაკში გადასვლა ფორსირებულად და ხელოვნურად კი არ ხდებოდეს, არამედ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. დიან, ბავშვობაში ის მოსავალი უნდა მოიძგას, რაც მის ასაკს შეეფერება და ეს უფრო ადვილად გაუხსნის მას გზას ტექნიკური სიმწიფისაკენ და მასთან ერთად დიდი ხელოვნებისაკენ.

მისი დღევანდელი სახის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ბავშვთა ესტრადი — უფროსების ესტრადის უხერხი მიბადება. უხერხი არა შესრულების ხარისხით (რომ, მიბადებაში ბავშვებს ვინ შედრება?), არამედ იმის გამო, რომ აქ ბავშვობისა თითქმის აღარაფერი არაა შემორჩენილი. ბავშვების შთაბეჭდილების სახლია და მათზე ადვილია ზეგავლენის მოხდენა. ანა, ერთი მათ საესტრადო კოლექტივებს დააკვირდე: მათ თითქმის ყველაფერი ვადმივსებს უფროსობისაგან — რეპერტუარი, ორკესტრის შემადგენლობა და გამაძლიერებლები, საესტრადო ხელოვნების დამახასიათებელი განრები (შოუ, ინტერმედიები, ლირიკული სიუჟეტები, სპეციალური განრული ჩანარებით და სხვ) და ხშირად, იმდენად, რამდენადაც ასაკი ნებას აძლევს, შესრულების მანერაც. შემძირუნელები, როდესაც პატარა მასხიბი მღერის სპეციფიკურ სტილში: მხის გაბზნებით და ბუტბუტით, ისტრადული წამოყვირებით და ეროტიკული განცდის სიმულაციით. „შიზურის“ გამოსვლა ამ მხრივ სამაგალითო ილუსტრაციაა. იქ ერთი გოგონაა, რომელიც საკმაოდ ზუსტად და იუმორის კარგი გრძნობით ბავშვს ესტრადის ცნობილ ვარსკვლავებს. მაგრამ იმისათვის, რომ პაროდია დამაჯერებელი იყოს, შესაბამისი მასალა უნდა შევისინაზროყო. ამ მასალით უნდა განიშტეყო და მაშინ აუცილებელი დისტანციის გამოძებნა არ გაეჭირვდება. მაგრამ მე სწორედაც რომ ამ მასალის შეთვივების წინააღმდეგ ვილაშქრებ. ოპერაში „ბურატინო“ ბავშვებს საქმე ჰქონდათ ესთეტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მდარე მასალასთან, რომელშიც საკმაოდ უხვად იყო შემოყვებითი ბოზური მუსიკის დამახასიათებელი მელიდოური სახეები. მაგრამ შესრულებაში იგრძნობოდა, რომ ნორჩი მუსიკოსები თავის ამოცანას პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით მოეკიდნენ და საფუძვლიანად შეისწავლეს იგი. ამიტომ პროფესიული თვალსაზრისით „ბურატინოს“ შესრულებას წუნი

არ დაედებოდა, მაგრამ სასიხარულოა თუ არა ეს ფაქტი, ამას დარწმუნებით ვერ გეტყვით. ესტრადას რაგინდ მაღალმატერადი ღირსებები არ გააჩნდება, იგი არსებითად გასართობი განჩია. ესტრადის მიწოდება ადამიანის ფსიქოლოგიურად განტვირთვა, მისი ინტელექტუალური თუ ემოციური სტრესისაგან განთავისუფლება, მყუდრო და სასიამოვნოდ მსუბუქი ატმოსფეროს შექნა. ნუთუ ყველაფერი ეს აუცილებელია ბავშვისთვისაც?

ჩემს მიერ ხსენებული გერმანული კოლექციები მიამბობდნენ, რომ დასავლეთში ალღო აუღეს თუ რა მიზეზები უქდას საკონცერტო ორგანიზაციებს მუსიკალური ბავშვების ესტრადის ჩათრევა. ეს იკაური კომპოზიტორების სინდისზე იყოს, ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენ დამოკიდებულებას პრობლემები-სადმი, ხელოვნება და ბავშვები: სრულიად სხვა საწყისებზე ვაგებთ. მაგრამ მთელ ამ საქმეს სხვა კუთხითაც შევვიკალი შევხედოთ: ადრე ბავშვების გართობა უფროსების მოვალეობა იყო, ახლა, როგორც ჩანს, დრო დადგა ანგარიშის გასასწორებლად და ბავშვებმა თავის თავზე აიღეს არამარტო თავისი თავი გართობა, არამედ, როგორც ჩანს, უფროსებიც. ეს გართობა კი მათგან დიდ დროსა და ენერჯიას ითხოვს. თუ ეს ასეა, მაშინ ხომ არა სჯობია პირდაპირ ვადიროთ, რომ ბავშვთა „საესტრადო ინტერესი“ რალაც სხვა მხარეების ხარჯზე კმაყოფილება?

ბავშვების საესტრადო ჯგუფების წარმატებას ბევრი რამ უწყობს ხელს და სხვა მიზეზთა შორის ისიც, რომ უფროსებს უხარიათ ნორჩების ხილვა განჩირა, რომელიც თვით მათაც სასიამოვნოდ უჩქროლებს გულს. ამ წარმატებას ხელს უწყობენ საკონცერტო ორგანიზაციებიც, რომლებიც მთლად უანგაროდ არ უნდა მოქმედებდნენ და ბოლოს ამ წარმატებაში დიდი დასაშურება მიუძღვის ყოვლისშემძლე რეკლამას, თვით ისეთ ავტორიტეტულს და უნივერსალურს, როგორც ტელეკრანია. ყველაფერ ამის მოქმედი სხვა ბავშვებიც, მათი მშობლებიც და პედაგოგებიც ხდებიან. მათაც კანონიერი სურვილი ეკვივდება ერთი ასეთი დღესასწაულით თვითონაც იზუიონ. და აი ნაცნობი ნიშნების მიხედვით იქნება ახალი ანსამბლები. ყველაფერი ეს როგორ მივიღოთ, როგორც წარმატების დამადასტურებელი ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში?

ჩემი, პრინციპში ნეგატიური, დამოკიდებულება „საბავშვო ესტრადისადმი“ ისეთიანად არ უნდა გაგვიტო, თითქმის ამ სფეროში მხოლოდ უაზროვანი მოვლენების და თითქმის „ბავშვთა ესტრადას“ თავისი ცალკეული წარმატებები არ გააჩნდეს. ბევრი რამ საინტერესო ვაგინება ბავშვთა საესტრადო კოლექტივებს „ნერგება“, რომელთა ხელმძღვანელობაში იზრუნა მისთვის საბავშვო მუზიკებისათვის დამახასიათებელი იერი შეფარებულია. „შიზურის“ — პროფესიონალი ყველაზე ძლიერ კოლექტივია — აქვს თავისი დამებითი მხარეები და მთელი ამ ანსამბლის მოღვაწეობა სრულებითაც არ იმსახურებს მხოლოდ შავ საღებავებს. მაგრამ დაპატარა პრინციპზე, კანონზომიერებაზე და ამ შემთხვევაში ყველაფერი გულწრფელად უნდა ითქვას, რომ რეალიზმა სრული სისავითი წარმოვიდინა.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედების დიდალიერების აუცილებელ ნაწილად ბოლო წლებში იქცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპოზიტორთა ნაწარმოებების დემონსტრირება. ამ მხრივ გამოხატვის არც საესტრადო პლენუმში წარმომადგენდა.



აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და აჭარაშიაც საესტრადო ხელოვნება ეს-ესა ფესს იდგამს, იგი ჯერ კიდევ რეალურად არ დასტოვებია თვითმკმედლებს. იგი საჭიროებს კვალიფიციურ დახმარებას როგორც შემსრულებელთა, ასევე კომპოზიტორთა სახით.

აფხაზური „აფსინსი“ ოსური, „მონ ვარონის“ და ბათუმის კოლექტივების გამოსვლებმა ერთხელ კიდევ ცხად-საა, რომ საკუთარი ხელწერის გამოიმყვანებისათვის, ხალხურ შემოქმედებასთან შესაძლოდ მჭიდრო კავშირისათვის ბრძოლა ყოველი საესტრადო კოლექტივის სასიცოცხლო საზრუნავია. საგულისხმოა, რომ ამ კოლექტივების მიერ წარმოადგინებმა ყველა სიმღერამ, რომელიც ინტონაციური წყობით ფოლკლორული წყაროებიდან მიიღო და საშემსრულებლო მანერით ხალხურ შემოქმედებას უკავშირდებოდა, უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა, ვიდრე გადამღერებული მლაგერების წაბაძვით შეთხზულმა.

ყველა დანიტერესებული ორგანიზაციის ქმედით დახმარება არა მარტო სხნებებულ კოლექტივებს, არამედ ჩვენ მთელ ესტრადას ეპატივობს. რა უნდა ვუსაყვიცოთ თვითმკმედლების ბუდიდან ეს-ესა გამოსულ ანსამბლებს, როდესაც ისეთი პროფესიული კოლექტივიც კი, როგორც „ისისი“, ხარისხის თვალსაზრისით საკმაოდ დაუმეა და მჭირი მისი აქეთი სავალალო მდგომარეობის გავითხავიც არავინაა. განსაკუთრებით სავალალო შთაბეჭდილებას სტოვებს „ისისი“ (და არა მარტო იგი) თავისი რეპერტუარიდან და საშემსრულებლო ისტატობითაც. თუ რეპერტუარის პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივაქცევთ, ხოლო საშემსრულებლო სტაჟის საკითხისადმი კვლავ გულგრილი ჩაუვფიქრობის პოზიციას არ მოვიშვებ, მაშინ ესტრადის მომავალ პერსპექტივების შესახებ მსჯელობა აზრს დაკარავს. ესთეტიკურად სანდერესო მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც უხარისხის წინაშე საიმედო შუაგდასაში აღიმართება. უხამსობა და ღირსეული ვერ იგებება ერთმანეთს და ვერც მივალწევთ მათ მშვიდობიან თანარსებობას.

გაუმართლებელია ესტრადის საკითხებში თვით კომპოზიტორთა კავშირის პსიქური პოზიციაც. ეს უნდა ითქვას არათვითრეიტორული სულისკვეთების დასაკმაყოფილებლად, არამედ მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაბიჯების გადადგომის მხადყოფინის დასადასტურებლად. ერთადერთი, რის გაცემებაც შეეძლებოდა უკანასკნელი წლების მანძილზე (თუ მიმდინარე პლენუმს არ ჩავთვლით) — ესაა სპეციალური კონკურსი საესტრადო ნაწარმოებებზე, რომლის მოსავალიც არცთუ ისე უჭი გამოდგა. ჩვენი კომპოზიტორთა კავშირის საესტრადო სექციის წევრები ფილარმონიის, ტელეფუნდისა და რადიოს სამხატვრო სამბუქოში სხედან, მაგრამ მათ აქ საქმიანობას ჯერჯერობით ხელშეხახები შედეგები არ ჰქონია. განა თვით ცხოვრება არ გვაგრძნობინებს, რომ დროა საესტრადო სექციის მოწოდება რესპუბლიკის საესტრადო კოლექტივების მოსმენა-განხილვები, უფრო ქმედით დახმარება გაუწიოს მათ. განა ტელეფუნდის საესტრადო კოლექტივი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, თუნდაც იმიტომ, რომ მას ყველაზე ფართო აუდიტორია ჰყავს? არადა ჯერჯერობით ისიც შორსაა სრულყოფისაგან.

დრო გადის და გადაწყვეტელი პრიციპლების რიგი იზრდება საესტრადო კოლექტივების გამოიღიან კვალიფიციური ინსტრუმენტალისტების ნაკლებობას, საკმაო რაოდენობით არა გვაყავს არანაირების სპეციალისტები, ხოლო ვინც

გვაყავს, ხშირად რაღაც ერთხელ და სამუდამოდ გამოიმყვანებულნი შტამბით მუშაობს, ასე რომ, სხვადასხვა ნაწარმოებების ორეკტრობა საორდდ ერთფეროვანია. იმ კომპოზიტორთა რაოდენობაც, რომელიც საესტრადო განხში მუშაობს, არასაკმარისია, ვერ აუღის იმ შესაზად მოთხოვნას, რომელიც ამ მუსიკაზე არსებობს (ეს გასაკვირი არაა, რადგან საზოგადოდა, საესტრადო ნაწარმოები დღემოილვა და რეპერტუარი მუდმივ განახლებას ითხოვს). რადგანაც პროფესიონალების საქმეს ვერ აუღიან, ასპარეზზე ნახევრადპროფესიონალები და დილენტებიც მობრავლდნენ. სხვათა, შორის, ნიჭიერი მუსიკოსები მათ შორისაც გვხვდება და ჩვენი მოვლეობაა შეძლებისდაგვარად დავემართოთ მათ თავისი ამოცანა კვალიფიციურად გადაწყვიტონ. ლანძღვა-გინებით და ასპარეზიდან განდევნის მუკართი ვერაფერს ვერ მივალწევთ — მათ თანამშრომლობას თვით წარმოება ითხოვს და მოედით მხოლოდ მათ ნუ გადავებრავლებთ ამ განრის მდგომარეობაში არსებულ ნაკლოვანებებს — ეს ჩვენ არავითარ შედეგათს არ მოვაცემს. ის კი არა, ჩვენ ესტრადას უკვე სპეციალისტი მუსიკოსმოდენებიც ესპიკორება, რომელნიც პრესაშიც და ტელეფუნდის ეკრანიდან კვალიფიციურად გააშუქებენ ამ განრის მტკივნეულსა და აქტუალურ საკითხებს, მაღაჯერებელი სიტყვით გაუწვევენ პროპაგანდას მის რეალურ მიმწვევებს, თავის საპატო მისიას შეასრულებენ საესტრადო ნუსიკისადმი გემოვნების განვითარებაში.

სხვათა შორის, ყველა ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მუსიკალური-საგანმანათლებლო სისტემის ორიგინალური. დღესდღეობით კი მუსიკალური ხელოვნების არკერი თანრი ისე არაა დამოკიდებული პირადი ინიციატივისა და თვითინიციისაგან, როგორც საესტრადო. ჩვენ კი კარგი საესტრადო კომპოზიტორები და შემსრულებლები გვაყავს, რომელთაც ღირსეული ცვლის აღზრდა შეუძლიათ. დროა შევექცეათ მათ პირობები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მისია შეასრულონ მუსიკალური სასწავლებლების, თეატრალური-ტორიის ბაზაზე.

ესტრადას რომ ბევრი გადაუტრელი პრობლემა აწუხებს, ამასი ჩვენ მისდას წლების მანძილზე ქედამდღური დამოკიდებულების მოსავალს ვიძიებ. მუსიკოს ე. წ. სეროზულ განრებთან შედარებით ესტრადა მუდამ არცთუ ისე საყვარელი გერის როლს ყაბლებდებოდა. აიღეთ თუნდაც საბჭოთა მუსიკის ისტორიისადმი მიძღვნილი სოლიდური გამოკვლევები. აქც დაუმუშავდა მცირე ყურადღება ეთიხბა ესტრადას. ამიტომ დღესდღეობით ამ განრის ავტორიტეტი ცოტა არ იყოს, შეუღალულია და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიფილი სირულით ვერ წარმოვიგადგინებ. დიხს, გარკვეული დისპროპორცია არსებობს ესტრადის ზემოქმედებასა და მისი ძალის შეგრძნებას შორის. როგორცაე თავისთავად ნაგულისხმვად მიანიათ, რომ მუსიკის ნაშრომი რანდები სიმფონიების და ინსტრუმენტული კონცერტების, ორატორიების და ოპერების ავტორები არიან, ხოლო საუცხოო საესტრადო სიმღერას, თვით იმ შემთხვევაშიც, თუკი იგი წლების მანძილზე უფროსოფის წრეების სათაყვანია, გქმნა-რიტი შემოქმედების ნაყოფად მაინც არ მიჩინვენ, უფრო დაბალი რანგის მოღვენად სთვლიან.

სამწუხარო კია. ჩვენ სრული საფუძვლით გვაქვს მთელი რიგი საესტრადო ნაწარმოებები ვიამყო, და კუთვნილი მივუზღოთ ან განრში მომუშავე კომპოზიტორებს. მართლაც, ქართული კომპოზიტორების წვლილი საესტრადო განრში





თვალსაჩინოა და ერთმუნელ მუსიკაში მან ბევრი ახალი თვისება შემოიტანა. ცხადია, ყველა იმ კომპოზიტორის დასახელება გაცეცხრდება, რომელთა ნაწარმოებებიც იგულისხმება ამ შემხვევებაში, მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ არილი კარესულიძე, რეჟა თლიძე, გიორგი კარბაძე, სახდრო მირიანაშვილი, დავით ლორთქიფანიძე, შოთა ხილარიძე, ლილი იაშვილი, გურამ ბზვანელი, ბაძინა კვერცხელი, ვაჟა ყახიძე, ვაჟა აზარაშვილი, ჯანსუღ კახიძე, ალექსანდრე რაქვიანიძე, სერგო ჟვანიანი, ხიდარ გიგაური, ხუხუ დუღაშვილი, ნუნუ გაბუხია, გივი ციციშვილი, შოია დიაცაშვილი, სხვადასხვა დროს ამ ქანონი თავისი წვლილი შეიტანეს ალექსი მაჭავარიანმა, სულხან ცინცაძემ, თორ გორდელმა, რეჟა გაბინაძემ, ფელიქს ღვინჯიანი და სხვ.

მაგრამ საქმე მხოლოდ დასახელებებით არაა, არამედ იმაში, რომ ჩვენი ესტრადის მრავალი თაობის წარმომადგენელთა შრომამ თვითმყოფადი კულტურის თვითმყოფადი ქვარის ჩამოყალიბება-განვითარება შეუწყო ხელი, რომელიც მკვიდროდა დაკავშირებული ხალხური მუკის ცხოველყოფილ ტრადიციებთან და ჩვენი მუსიკალური ყუ-ჯს ყოველდღიურობასთან, რომელიც ჩვენთვის დამახასიათებელი მუსიციუბის სახით იდგება და ამავე დროს სტილიზირებად სულ უფრო ქმედით კავშირებს ამყარებს ინტერნაციონალურ ესტრადის გამოცდილებასთან. ხელაღებით არცერთი ამგვარი კონტაქტის უარყოფა არ შეიძლება, რადგანც საბოლოო ჯამში ყველაფერი ხომ იმაზე დამოკიდებული, თუ ესა თუ ის ხელშეწყობი კონკრეტულად როგორ გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ ამოცანას და კიდევ უფრო მეტად იმაზე, თუ რა ამოცანა დგას მის წინაშე.

ესტრადის უფლება და მოვალეობა სილამაზე დაამკვიდროს, კეთილი და ზნეობრივად ამაღლებული გრძობა შთაუნერგოს მსმენელს, მისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი იყოს დაე, ესტრადამ თავისი ჟანრის შესაბამისად სიყვარულს უმღეროს, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ეს სასიყვარულო გრძობა წმინდა და ამაღლებული იყოს, რომ იგი ნაღვლივ განცდისთან, წმინდა ადამიანური სულიცხვეთების გამოვლენასთან იყოს დაკავშირებული, რომ თავისი გულწრფელობით აჭერებდეს ადამიანს, მისაბამი მაგალითს ქმნიდეს მისთვის. ესტრადის უფლება და მოვალეობაა გაითვალისწინოს ადამიანი, ფსიქოლოგიურად განტვირთოს იგი. თამაშის ელემენტი ხელოვნების არსში იგულისხმება, იგი წარმოშობის უნარის გამოვლენაა. ჩვენ მხოლოდ იმას მოვიწადინებთ, რომ ეს თამაში დროის ფლანგვა კი არ იყოს, არამედ დახას და სხვა „ტალღაზე გადადარა“, კი არ აბრუნდეს მას, არამედ საშუალებას აღძვედეს მას გარე, ნიჟიერი სამყაროში დატბუქს, რომელიც შესაძლოა ყოველდღიური საქმიანობის პირობებში ადამიანის ყურადღების მიღმა რჩება, ვერ მონაწილეობს მის ცხოვრებისეულ ცდვაში. თუ ეს მართლაც თამაშია, მაშინ მან ძალდაუტანებლად და თავისებურად უნდა უბიძგოს ადამიანის ფარულ სასიცოცხლო ძალებს, სინამდვილის ახალი მხარეები აგრძობიანის მას. ესტრადი კი არ უნდა უპირისპირდებოდეს ინტელექტუალური ცხოვრების სხვა სფეროებს, არამედ ავსებდეს იმას, რომელსაც ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკავებს. მას თავისი აზრი და თავისი გამართლება უნდა ჰქონდეს.

1977 წლის 27 და 28 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, რომელ-

მაც იმსჯელა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე. პლენუმზე განიხილეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შემდგომ პერიოდში და აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ყველა ეს საკითხი ისეთ სფეროს ეხება, რომელიც თითქმის ძალიან შორსაა მუსიკალური კულტურის პრობლემებისაგან. მის წინაშე მდგარი ამოცანებისაგან.

და ამის მიუხედავად, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ცენტრალური კომიტეტის სამუშაოში და ორგანიზაციული საკითხებისადმი მიძღვნილ პლენუმს წითელი ზოლიანი დასაძვება ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობის შესახებ. მთელი პლენუმი შეფერადებული იყო იმაზე ზრუნვით, რომ შრომელ ადამიანს მაქსიმალურად ხელშეწყობი პირობები შეექმნას შრომისა და განათლებისათვის, თავისი სულიერი და მათ შორის ესპექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კომუნისტური პარტია გვიანდაც ენერჯიას ამოცნებს ადამიანის აზროვნების პირობები გაუმჯობესებას, იღვწის, რომ საბჭოთა ადამიანებს ყოფა გაუმჯობესდეთ, რომ ყოველივე იმის ხარისხი, რასაც ადამიანი თავისი შრომის გასამრჯელოდ იღებს, ამაღლდეს. ამ პრობლემის გადაწყვეტა მუსიკალური ცხოვრების დონის აწევას გულისხმობს. ასევე უერიოზულად უნდა ზრუნავდნენ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ესტრადის მუშაკნი.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ესტრადის ხარისხისათვის. იმისათვის, რომ, როგორც ითქვა, ესტრადამ ჩვენს ყოფაში სილამაზე შემოიტანოს, რომ იგი თვით იყოს სულიერად ამაღლებული და ღამაში. ჩვენ, რასაკვირველია, სრულებითაც არ გვმართებს ქანრის სპეციფიკის უგულებელყოფა. პირიქით, ამოცანა სწორედ ისაა, რომ ამ ქანრის ძლიერი მხარეებით ვისარგებლოთ. უნდა გამოვიყენოთ ესტრადის უნარი დიდი აუდიტორიის მოზიდვისა. ჩვენ არ უნდა ვმარცხდებოდეთ საშუალო მსმენელთან გემოვნების საკითხებში უთანხმოებისას. პირიქით, ჩვენმა მუსიკოსებმა, ესტრადის ქანრში მომუშავე კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა უნდა მტკიცედ და ამავე დროს შესაფერისი ელასტურობით იმოქმედონ ამ მსმენელის თავის მხარეზე გადმოსაბრებლად. უნდა შთაუენერგოთ მას კარგის სურვილი და სიყვარული, არ უნდა დავიშორეთ ენერჯია მისი გემოვნების დასახეველა, იმისათვის, რომ იგი ესთეტკურად დრისკულს ეწიაროს. ამაშია ჩვენი დროის, ჩვენი იდეოლოგიის მოთხოვნა. ამაში გამოიხატება ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესი.



# ირაკლი თოიძის ნაწარმოებთა გაეროსენაზე

ლეილა თაბუკაშვილი

რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ირაკლი თოიძის ნაწარმოებთა ვრცელმა გამოფენამ, რომელიც საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიმართა, დამთავლიერებელთა წინაშე წარმოადგინა ქართული საბჭოთა მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალმხრივი ოსტატი.

ირაკლი თოიძის შემოქმედებითი გზის დასაწყისი ემთხვევა ძირეული, რევოლუციური გარდატეხის ხანას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და, როგორც თანამედროვეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ყოველი რეალისტი ხელოვანის ქმნილებებში, მის სურათებშიც აირეკლა დროის სულისკვეთება, მისი მაჯისცემა, მხატვრული ტენდენციები.

დაწყებული პირველივე ქმნილებებიდან, ახალგაზრდა მხატვარი თავისი დროის შუაგულშია და აქტიურად, მღელვარედ ეხმაურება მოვლენებს ასალი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც შვილი მოსე თოიძისა, მამის ხელმძღვანელობით გზაგაკვალული, იმთავითვე მტკიცედ დადგა დიდი, რეალისტური ხელოვნების მყარ საფუძველზე. მამის ხელმძღვანელობით მან ჯერ კიდევ თბილი-

სის სამხატვრო აკადემიაში შესვლამდე გაიარა „აკადემიური სკოლა“ და პირველი პერსონალური გამოფენაც კი გამართა, რომელზეც სრულიად ახალგაზრდა ირაკლი თოიძე უკვე გამოჩნდა როგორც პროფესიულად მოწიფებული და შემოქმედებითად ბევრის აღმთქმელი მხატვარი. ახლახან თბილისის სურათების გალერეაში გამართულმა პერსონალურმა გამოფენამ შესაძლებლობა მოგვცა თვალი გაგვედევნებინა მხატვრის მთელი ვრცელი გზისათვის, დაწყებული მისი პირველივე ნამუშევრებიდან. სწორედ ამ საწყისი პერიოდის ნაწარმოებებიდან ყალბიდება ირაკლი თოიძე მრავალმხრივ ოსტატად — ფერმწერად და ფართო ინტერესების მქონე გრაფიკოსად: წიგნის ილუსტრაცია, პლაკატი, დაზგური პორტრეტი თუ თემატური კომპოზიცია მხატვრის შემოქმედებაში იმთავითვე იმკვიდრებს ფართო ადგილს.

მამასთან ერთად ჭაბუკი თოიძე ბევრს მოგზაურობს საქართველოში და ამ მოგზაურობის მიზანია არა ლამაზი პეიზაჟური ხედვის აღგებვა, ან ქანრულ-ყოფითი სცენების ფიქსირება, არამედ ხალხის ცხოვრების გაცნობა, ამ ცხოვრების ავტარების შეფასება საკუთარი პოზიციებიდან. ასე იბადება ცხოვრებისეული, სიცოცხლე-

რი სიმახვილით აღსავსე ნახატები და სურათები. 1920 წელს შესრულებული ერთ-ერთი ნახატი „ალშფიოთბა“ (ფანქარი) ზოგადად გამოხატავს ხალხის ბრძოლას უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, გამოხატავს დროის სულიკვეთებას — ამბოხს, რევოლუციურ ატმოსფეროს: კლდის ქიმზე შემდგარი ახალგაზრდა, კუნთმაგარი გლეხი მზადაა უზარმაზარი ლოდით გასრისოს მტერი...

ცისტურ ენას, რაც უთუოდ გაპირობებულია იმით, რომ შემოქმედს არ სურს გულგრილი დარჩეს სოციალური მოვლენებისადმი, იგი იაწრაფვის გამოხატვის მეტრძოლი ხალხის სულიკვეთება, მხარში ამოუდგეს მათ სამართლიან, რევოლუციურ შერკინებაში ჩაგვრასა და ბოროტებათან, ახალი ყოფის დასამკვიდრებლად.

ახალგაზრდა მხატვარს ტილოებზე გადააქვს ცხოვრებისეული — ყოფითი სურათებიც. გამო-



ბელადის მოწოდება

დაჩაგრული კლასის წარმომადგენელთა მძლავრი საპროტესტო შემაღლება, მისი ძალა და ძლიერება ირ. თოიძის ნამუშევრებში უპირისპირდება დასაღუპად განწირულ ექსპლოატატორთა კლასის წარმომადგენლებს. ეს იდეური ჩანაფიქრი განსაკუთრებული ემოციური გამოხსახელობითაა ზორცმესხმული პლაკატებში, რომელზეც მხატვარი გატაცებით მუშაობს თავიდანვე. ამ ეპარში ირაკლი თოიძე პპოევებს სათემელის გამოსხატვისთვის განსაკუთრებით მახვილ, პუბლი-

ფენაზე წარმოდგენილი იყო 1920 წელს შესრულებული „კინტო“ — ძველი თბილისის ქუჩა მისი კოლორიტული მკვიდრით. ტილო დაწერილია მუქ მოყავისფრო გამაში, თვით მოსე თოიძის ადრინდელი პერიოდის სურათებისათვის რომ არის დამახასიათებელი (გავისცნოთ „მცხეთობა“ „დედის პორტრეტი“, „ეგრავლი“ და სხვ.), და არა მხოლოდ კოლორიტის მხრივ, საერთოდ, მხატვრული აზროვნებისა და სტილის

მხრიაც ირ. თოიძის ამ პერიოდის ნაწარმოებებში მოხედავთ თოიძის სკოლის ტრადიციას მისდევს.

ამავე წლებშია შექმნილი (1920-1925) რიგი მეტყველი პორტრეტებისა. მხატვრის თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი ქალების ეს პორტრეტები, ასევე მუქ და გამჭვირვალე ოქროსფერ-ყავისფერ გამაში დაწერილი, ხასიათდება მოდელის გამოირჩეული გარეგნობის, ქალურობის და კდემამოსილების გადმოცემით. არის ცდა მათი შინაგანი სამყაროს გახსნისაც. მხატვრის დის — ალექსანდრა თოიძის, თამარ ციციშვილის, თამარ თოიძის, თინა ვირსალაძის ფერწერული პორტრეტები ავტორის ამგვარ თვალთახედვას ცხადყოფს. ეს პორტრეტები თუმცა განსხვავებულია ფერწერულ-კომპოზიციური ინტერპრეტაციით, მაგრამ საერთო სტილისტიკა შემოქმედების ერთ გარკვეულ პერიოდს მიაკუთვნებს მათ, მაშინ, როდესაც ბოლო დროის პორტრეტული თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებები ესოდენ თვალნათლივად მიანიშნებს დიდ მონაკვეთს, ამ ქმნილებებს რომ ამორებს ერთმანეთისგან.

მოდელის გარეგნობა, მისი ხასიათი თოიძეს კარნახობს სხვადასხვაგვარად ააგოს როგორც საერთო, ისე ფერადოვანი და მუქ-ჩრდილის კომპოზიცია. მხატვრის დის — ალექსანდრა თოიძის პორტრეტი, რომელიც ადრინდელი პერიოდის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწარმოებს წარმოადგენს, ახალგაზრდა მხატვრის უკვე მომწიფებულ ოსტატობას ცხადყოფს. ფიგურის მოძრაობა იმგვარია, რომ იგი რამდენადმე დიაგონალურადაა ჩაწერილი სასურათო სიბრტყეში. ეს მოძრაობა, ამავე დროს, უშუალოა და ბუნებრივი, ხაზს უსვამს ქალურ სინაზს, სიკაცულს და ფიქრიათობას. შავი ხავერდის ღრმად გულამოჭრილი კაბისა და ოქროსფერ-რუხ ტონლობაში გადაწყვეტილი ფონის ფერთა გარემოცვაში ანათებს ქალის სახის, ყელის, გულმკერდისა და ხელების სითეთრე. საერთო დიაგონალურ კომპოზიციას, ლაქების პლასტიკურ განაწილებას თითქმის უპირისპირდება და ხაზს უსვამს სურათის ჩარჩოს მოხაზულობა ქალის ფიგურის უკან.


მხატვრულ-მასებრივი და კოლორისტული გააზრების მხრივ რამდენადმე ენათესავება ერთმანეთს „თამარის პორტრეტი“ და „თ. ციციშვილის პორტრეტი“. ორივე ეს ტილო, როგორც შესრულების მანერით, ისე მოდელთა პოზებით ასოციაციას იწვევს ევროპული კლასიკის ნიმუშებთან.

ქალური კდემამოსილება გამოსჭვივის „თამარის“ ხელების მოძრაობაში. შავი კაბით მოსილი ქალის ფიგურა გამობატულია ოქროსფერ-



„დედასამშობლო გვიძახის“


ავტოპორტრეტი





მოსე თოიძის პორტრეტი

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი. 1922 წ.



რუხი ორნამენტული ფარდის ფონზე. ფერმკრთალ სახეზე და ხელებზე გამჭვირვალე ცივი ტონები ჭარბობს და ეს სიფერმკრთალე პარმონიაშია ქალის დაფიქრებულ, ნაღვლიან იერთან.

შუქ-ჩრდილის უფრო მეტადი კონტრასტებითაა გადაწყვეტილი ნ. თოიძისა და თ. ვირსალაძის პორტრეტები. ჩამუქებული ფონიდან მკაფიოდ გამოიყოფა ქალთა სახეები, რომლებიც ნათელი, სხვიოსანი ფერებითაა მოდელირებული.

ქართველი ქალის სილამაზე — გარეგნული თუ შინაგანი — ირ. თოიძის მარად შთაბამონებელია. ამაზე შეტყვევებს მხატვრის სულ სხვადასხვა პერიოდის — უახლეს კმნილებამდე — პორტრეტული თუ თემატური ნაწარმოებები, ისტორიული პიროვნებების თუ ჩვენს თანამედროვეების სახეები. მიღვაწენი, ხელოვანნი, მეცნიერნი, მწერლები და პოეტები — ქალთა სახეების ეს ვრცელი გაღვრა ჩვენს თვალწინ გადმოშლის მათ სულიერ მშვენიერებას და ეს შინაგანი მომხიბვლელობა აირეკლება გარეგნულ იერშიც. ქართველ ქალთა ზოგადი სახეებია აღბეჭდილი ტილოებზე „სერაფიტა“, „მზითივია“, „ლეენდა ოქროს საწმისზე“, მცირე ზომის ჟანრულ-პორტრეტულ კომპოზიციებში, რომლებიც მრავალრიცხოვანად იყო წარმოდგენილი გამოფენაზე.

პორტრეტული ნამუშევრების დიდი ნაწილი კომპოზიციურად საღადაა გადაწყვეტილი, მხატვარი ხშირ შემთხვევაში მიზნად არ ისახავს პორტრეტის — სურათის შექმნას, რთული სახეობრივ-კომპოზიციური ამოცანის გადაწყვეტას, თუმცა ამგვარი ხასიათის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი ექსპოზიციაში („მეუღლის პორტრეტი“, მოსე თოიძის, ა. კორინის პორტრეტები და სხვ.).

მოსე თოიძე გამოსახულია შემოქმედების პროცესში. პალიტრით ხელში იგი მოლოტრეტის წინ ჩამოიჯდარა. რბილი, ფიქრიანი გამომეტყველება, სიღინჯე, რაც ასე დამახასიათებელი იყო ფუნჯის ამ დიდოსტატისთვის, ტილოზე ღრმა სიმართლითაა გადატანილი.

მხატვრულად კიდევ უფრო საინტერესოა ცნობილი რუსი პორტრეტისტის ა. კორინის პორტრეტი, რომელიც პასტელითაა განხორციელებული. ამ ნაწარმოებში უკვე ნათელია ის გარდატეხა, რაც ირ. თოიძის ბოლო ათწლეულების შემოქმედებისათვის საერთოდაა ნიშანდობლივი. ეს არის სწრაფვა ემოციური ფერადონებისაკენ, შუქისკენ, ფერწერული ტექნიკის მეტი სილამდე და თავისუფლება იგრძნობა შედარებით ახალ და უახლეს ნამუშევრებში. ეს თავისუფლება, ნახატის ფლობა, შინაგანი ექსპრესიის გადმოცე-

მისაკენ ლტოლვა სულ უფრო თვალნათლივია ირ. თოძის არა მარტო ფერწერაში, არამედ გრაფიკული მასალებით განხორციელებულ ნამუშევრებში, იქნება ეს დაზგური ნაწარმოები, პლაკატი თუ ილუსტრაცია.

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის პორტრეტი თუმცა იმავე ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნება (1922), რომელსაც კლასიკურ-აკადემიურ სტილში განხორციელებული ქალთა პორტრეტები, მაგრამ იგი გადაწყვეტილი და დაწერილია სულ სხვაგვარად. ფართო მონასმები, ეტიუდური თავისუფლება, არა გარკვეული პოზა, არამედ მეტი ბუნებრიობა თვით მოდელის მდგომარეობის გადმოცემისას, შუქისა და ჩრდილის ცხოველხატული მონაცვლეობა მიუთითებს იმაზე, რომ მხატვარმა შეგნებულად თქვა უარი იმგვარ მხატვრულ სტილზე, რაც თვით ამ კონკრეტული სახის შექმნის ამოცანას ნაკლებ უპასუხებდა. სულის მღელვარება, შემოქმედებითი ტემპერამენტი, რის გარეშეც ნიკოლოზ კანდელაკის პირვნების წარმოდგენა ძნელია, მხატვარმა არა მხოლოდ ფიგურის მოძრაობას და პოზაში გამოხატა, არამედ ფუნჯით და ფერით მოდელირებაშიც. კანდელაკის პორტრეტში გამოჩნდა კონკრეტული მხატვრული ამოცანისადმი არა დოგმატიკური, არამედ გააზრებული შემოქმედებითი მიდგომა, რაც იმათვეთვე ასახათებდა ირ. თოძის, როგორც რეალისტური მსოფლმხედველობის ხელოვანს.

როცა ირ. თოძიმზე ვლასარაკობთ, როგორც პორტრეტისტზე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი ჯერ კიდევ ადრინდელი ამ ქანრის ნამუშევრები, შესრულებული ქალაღზე ფანქრით. პერსონალური გამოფენის ექსპოზიციაზე ყურადღება მიიქცია მცირე ზომის ნახატებზეც. ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია ნიჭიერი ქართველი მოქანდაკე, ირ. თოძის თანაკურსელი თბილისის სამხატვრო აკადემიიდან — ნინო წერეთელი (1922), რომელიც ძალიან ადრე გამოავლიდა ქართველ მხატვართა რიგებს. თოძისეულ ნახატზე იგი ძალზე ცოცხლად, სულიერი და გარეგნული ინდივიდუალურ კონკრეტული ნიშნებითაა აღბეჭდილი და გრძობით, რომ ეს მეტად პოეტური სულის საინტერესო შემოქმედი სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო.

პორტრეტული დახასიათების მხრივ ასევე მახვილია და გვიხილავს ფანქრითვე შესრულებული ნახატი „ე. ვირსალაძე“, გულღია, კეთილი ბუნების მოშიზობლავი და ჭკვიანი ახალგაზრდა ქართველი ქალის პროფილი მნახველებს წარმოუდგენს ცნობილ მეცნიერს ელენე ვირსალაძეს. საერთოდ, ბევრი ჩვენი გამოჩენილი ხელოვანისა



ნახატი



ლი სტურუას პორტრეტი


თუ მეცნიერის ახალგაზრდული სახე შემოგინახა ირ. თოიძის ფუნჯმა და ფანქარმა: თამარ ციციშვილი და ალექსანდრა თოიძე (მხატვრის და); თინა და ელენე ვირსალაძეები, ნიკოლოზ კანდელაკი და სხვ.

ქალების, გოგონების ბევრი პორტრეტი იზიდავდა თვალს გამოფენაზე. მათ შორისაა ჩვენთვის კარგად ცნობილი სახეებიც და „უცნობიც“, რომელთა გარეგნობასა თუ ხასიათში მხატვარს სანტერესო მასალა უპოვია ტილოზე გადასატანად. ძნელია ამ მრავალრიცხოვანი პორტრე-

პორტრეტი“, „გოგონას პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“ და მთელი რიგი სხვა ნამუშევრებისა, ზეთით, პასტელითა თუ სხვა გრაფიკული მასალით განხორციელებულთ.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შეიძლება ნამუშევრების უფრო მკაცრად შერჩევა და ექსპოზიციის განტვირთვა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისაგან. ვფიქრობთ, მხატვრის ოსტატობა მაშინ უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა.

ირ. თოიძის თემატურ კომპოზიციებში ნაკლებ ჩანს მხატვრის ევოლუცია. ეს, ალბათ, აიხსნება



ტებიდან თუნდაც მცირეზე შეჩერება (აქ არ ვგულისხმობთ მხოლოდ ქალთა პორტრეტებს), მაგრამ მხატვრის განსაკუთრებული შთაგონების შედეგად მაინც მივიჩნევთ ზოგიერთს. „ქალიშვილის პორტრეტი“ (1972) — მხატვრის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარი მოწმობს ირ. თოიძის არა მხოლოდ ოსტატობის დახვეწას პასტელის ტექნიკაში, არამედ საერთოდ, შემოქმედებითი აზროვნების, პოეტურობის გაღრმავებას. იასამინისფერი გამის პარზონიულობა, შეხამებული თვით ამ სათნო გოგონას მომიჯნაველ გარეგნობასთან, დაფიქრებულ სახესთან, ემოციურს და შთაბეჭდვას ხდის ამ სურათს. მხატვრულად გამომსახველია აგრეთვე „გაეციშვილის

იმიო, რომ ისინი თითქმის ერთ ეტაპს მოიცავენ და სტილისტურადვე ერთი გარკვეული ხელწერის მატარებლები არიან. გამოჩნაკლის წარმოადგენს ისევ ადრინდელი ტილოები, როგორიცაა „კინტო“ (1920), „რევოლუციური კარნავალი“ (1923) და სხვ. „ილიძის ნათურა“, „ხმა ოქტომბრისა“, „აჯანყება ღუმელში“, „ზოია“, „განთავისუფლება“, „ბელადის მოწოდება“, ტრიპტიქი „სამშობლოს თაყვანისცემა“ და სხვა — ეს ის ტილოებია, რომლებშიც წარმოსახულია სურათები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, დაწყებული რევოლუციური ქარტისების დროიდან იდიი სამამულე ომისა და შემდგომ პერიოდიამდე. ექსპონირებული ფერწერული თე-

მატური ტილოები შესრულებულია 1927-59 წლებში და მათში ერთგვარად უპირატესობა ენიჭება თხრობითობას, თემის ჟანრულ ინტერპრეტაციას, რაც საერთოდ იყო დამახასიათებელი ამ პერიოდის ფერწერული სურათებისათვის. დიდი ტილო „ბელადის მოწოდება“ (1946) გვიხატავს ვ. ი. ლენინის ისტორიულ გამოსვლას პეტერბურგში, ფინეთის სადგურზე 1917 წელს. მხატვარი ცდილობს დოკუმენტური სიმართლით, დამაჯერებლად გახსნას ხალხის წარმომადგენელთა

წარმომადგენს და კარგადაა ცნობილი. დამოვლიერებლეს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ამ ნამუშევრების დედნებს, როგორც ფერად, ისე ერთ ფერში (შავი ფანქრით) შესრულებულ ილუსტრაციებს.

გამოფენაზე ექსპონირებული იყო პოპულარული პლაკატი „დედასამშობლო მოგიწოდებს!“, რომელიც მხატვარმა დიდი სამამულო ომის პერიოდში შექმნა. ღრმა შთამბეჭდავი ძალით გამოირჩევა, აგრეთვე სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ამავე ჟანრის ნაწარმოებები, ციკლები

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია  
„არსენას ლექსის“ ილუსტრაცია



ნინო წერეთელი

სახეები, შექმნას რევოლუციის დიდი ბელადის ცოცხალი სახე.

გამოფენაზე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ირ. თოიძე — წიგნის ილუსტრატორი და პლაკატის ოსტატი. ე. ნინოშვილის „ქრისტინეთის“ შესრულებული ადრინდელი ილუსტრაციები უკვე მოწმობს მხატვრის მიერ ილუსტრირების სპეციფიკური გრაფიკული ენის შერჩევას, სახეების ფსიქოლოგიური სიღრმით გააზრებას. ფართოდ დაასურათა მხატვარმა „საქართველოს ისტორია“, „არსენას ლექსი“, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ირ. თოიძისეული ილუსტრაციები, რომელიც მრავალ გამოცემაშია შესული, მის ერთ-ერთ თვალსაჩინო, კაპიტალურ ნაშრომს

დაზღუერი ფურცლებისა, რომლებიც ასახავს ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ესკიზები გ. კილაძის ბალეტისათვის „სინათლე“, მცირე ზომის ჟანრული და პეიზაჟური კომპოზიციები. პეიზაჟურ სურათებს შორის, რომლებიც მცირერიცხოვანად იყო გამოფენაზე, გამოირჩეოდა პასტელით განხორციელებული პეიზაჟი „შომიღვიმე“.

ირ. თოიძის ამ მრავალრიცხოვანმა და მრავალფეროვანმა ნაწარმოებებმა ცხადყო მხატვრის ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი. ცხადყო ის წვლილი, რაც მას მიუძღვის ქართული სახეითი ხელოვნების განვითარებაში.





# ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“

## მოსკოვის თეატრის

### სცენაზე

ირინა შელია

ქარაიშვილი მწერლის ნოდარ დუმბაძის შემოქმედება დიდი ხანია შეიყვარა რუსმა მკითხველმა. მოსკოვის სცენებსა და ეკრანებზე არაერთხელ უჩვენებიათ ამ შესანიშნავი მწერლის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლები და ფილმები. და აი, სულ ახლახან მოსკოველი მაყურებელი კვლავ შეხვდა ნოდარ დუმბაძეს — რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ლევ დუროვმა მაღაია ბრონაიას თეატრის სცენაზე დადგა სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა“, ნოდარ დუმბაძის როზანის „თეთრი ბაირალების“ მიხედვით.


დღი ხანია „საბრალდებო დასკვნამ“ მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ქართული თეატრების რეპერტუარში. როგორ წაიკითხეს ეს ნაწარმოები მოსკოვის სცენაზე?

...დადრბაზში შესული მაყურებლის თვალწინ იშლება ციხის პირველი საკნის სურათი. ორსართულიან საწოლებზე სძინავთ მოკრუნჩხულ, ბალიშებში თეფარგულ საკნის ბინადართ. რამბის გასწვრივ ჩამწვრილებული ფესისცემლები მოჩანს, რვა სრულიად განსხვავებული წყვილი. თითქოს ამ პატარა დამახასიათებელი შტრიხით მაყურებელს განაწყობენ თავიდანვე იფიქროს იმ ადამიანებზე, ვისაც ეს უხეში, ტალახიანი ჩექმები, ეს ძალზე გაპრიალებული მოდური შავი ფესისცემელი და დაუდევრად მიყრილი ლურჯი კეტები ეკუთვნის.

და ამ საკანში ზედამხედველს შემოჰყავს ახალი პატიმარი — ძალზე მორცხვი, მეტად ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა. და გამოჩნდება თუ არა საკან-სცენაზე ვინ იცის, აქ როგორ მოხვედრილი ეს ნათელთვალებიანი, გულუბრყვილო ბიჭი, მაშინვე მიხვდებით, რომ ის ნამდვილად უღანაშულოა და აი, სწორედ ამ წუთიდან ის მაყურებელიც კი, რომელსაც არა აქვს წაკითხული როზანის, ხვდება, რომ უფრო საინტერესო რამეს ნახავს, ვიდრე ჩვეულებრივი კრიმინალური ამბავია. ამ კარგად დამუშავებული დასაწყისით სპექტაკლის ავტორებმა თითქოს თავიდანვე განსაზღვრეს ნაწარმოების თავიანთობური ჩანაფიქრი და ყურადღება გაამახვილეს მის ფსიქოლოგიურ მსარეზე. თანდათანობით სრულიად უცხო ადამიანების მიერ ატეხილ უაზრო ჩხუბში შემთხვევით მოხვედრილი, და ასევე უაზრო მკვლელბაში ეჭვმიტანილი სტუდენტის ზაზა ნაკაშიძის საშუალებით იშლება ამბავი რვა ერთმანეთისაგან განსხვავებული და სხვადასხვანაირად დამახინჯებული ადამიანისა. ვისი და რა მიზეზით? მხოლოდ იოლი ცხოვრების სურვილით? მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ეგროფილდებული „კრიმინალისტური მიდრეკილებებით?“ თუ სულ ახლახან შექმნილი რაღაც საერთო მწვავე სიტუაციით, რომელსაც როზანის ავტორმა ასეთი მნიშვნელობა მიანიჭა და საშუაროზე გამოიტანა? ნოდარ დუმ-

ბაძის რომანში ვხვდებით ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო შტრიხებს, რომლებიც მთლიანობაში მაინც ქნიან ამ საერთო ფონის „ვეგრძნე“-ბას. ავიღოთ თუნდაც ორი დეტალი — დარბაზისკელი, ხნიერი ეკონომისტი, ისიდორე სალარიძე, რომელმაც წინასწარი განზრახვის გარეშე შემთხვევით ნიკოლა თავისი სიძე, როცა იგი გალემილი აბუჩად იგდებდა მის ღვიძლ ქალიშვილს. ეს გამოცდილებით დაბრტყენული, განათლებული კაცი, რომელიც იტანჯება თავისი ნამოქმედართ, ფიქრობს თავის თავზე და საკნის ამხანაგებზე, გარდაცვლილი სიძის ცუდად აწყობილ ცხოვრებაზე, უცებ ხვდება, რომ აქ, საკანში, ადამიანის გარდაქმნის, ან უფრო სწორად, გადაკარგების ისტორია, წყლის ორი წვეთივით ჰგავს იმ ამბავს, რაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეემთხვა წყნარ და მოკრძალებულ ახალგაზრდა კაცს, როგორც იყო თავიდან მისი სიძე. აქ, საკანში, მის გჯრდით ნარზე წევს შოშია გოგოლაძე (გ. ლიამპე), ნამუსგარეცხილი წამგლეჯი და სახელმწიფო ქონების ლაბტაცებელი. შოშია ასეთი არ დაბადებულა და არც ასე უცხოვრია. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ოცდაათი წლის ასაკამდე მას ერთი კაპიციკი ზედმეტე არ აუღია. რა უხილავი, დასლართული ძაფებით ისინი დაკავშირებული შოშისა დანაშაული, ისიდორე სალარიძის სიძის დაცემა და ადამიანთა ის უსამსი ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც ამხედრდა რესტორანში დამთვრალი ვინმე აკაკი ხარაბაძე, რომლის გამო ციხეში აღმოჩნდა სრულიად უდანაშაული ზაზა ნაკაშიძე? რომანის ავტორისათვის ეს მხარე პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო. როგორც აღვნიშნე: სპექტაკლის ავტორებმა გმირების ფსიქოლოგიურ ანალიზზე გაამახვილეს ყურადღება. თუ ღრმად ჩავეუკირდებით, ეს გამართლებულია. საბუნდევროდ, დრომ კორექტივები შეიტანა იმ საზოგადოებაში, რომელიც ნ. დუმბაძემ ამხილა მახვილი სატირით. დარბაზო-გადსაკაცობრიო პრობლემებით დატვირთული მხატვრული სახეები — სწორედ ამის გამოკვარება უნდოდათ დამდგმელ რეჟისორსა და აქტიორებს, ამ სპექტაკლში რამდენიმე კოლორიტული დასამახსოვრებელი სახის შემქმნელებს.

პროზაული ნაწარმოების დრამატურგის ენაზე „გადატანისას“ აუცილებლად იქმნება მთელი რიგი სირთულეები, რაც განპირობებულია სცენის მოთხოვნადებებით. კიდევ უფრო რთულია საკითხი, როცა ეს ნაწარმოები ამასთან ერთად, სხვა ენიდან ითარგმნება, მით უმეტეს, იუ ავტორის ეხა ესოდენ თავისებურია და ტიპური კოლორიტით დამძიმებული, როგორც ნოდარ დუმ-



სცენები სპექტაკლდან

ბაქსთანაა. ლიტერატურულ კრიტიკაში, რომელიც თარგმნის თეორიას შვისწავლის, იუმორას ენობრივ ვარიაციებთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებულად განიხილება. ამჟამად მთარგმნელებმა ძირითადად უკვე უარი თქვეს გაუბრალოების ტენდენციასზე, რადგან ეს იყო ორიგინალის სპეციფიკური დიალექტიკური და ინტონაციური თავისებურებების ბრმად გადატანა, ასევე უარი თქვეს ენაში, რომელზედაც ითარგმნება ნაწარმოები, მათი საეჭვო ანალოგიების შეცვლაზედაც. ამ თემას შემთხვევით არ შეეხებოდა სკან. ლ. დუროვის სპექტაკლში „საბრალდებო დავა“, ჩემი აზრით, ეს პრობლემა ძალზე კარგად არის გადაჭრილი. მთელი სპექტაკლის განმავლობაში არც დამდგმელი რეჟისორი და არც

მატულობს და აღწევს მკვეთრად გამონათქვამ ფორმას მხოლოდ აქტში. ჩემი აზრით, რეჟისორის მნიშვნელოვან მიგნებად მიმართა კარგად დადგმული ცეკვა — თავისებური მარში, რომელიც საზას დედასთან (ი. კარინჩევი) შეხვედრის დროს თავდაპირველად თითქოს ფონის მოვალეობას ასრულებს. დრამატულმა სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია — თანმიმდევრულად წყდება ბედი ადამიანებისა, რომელთა საქმის ძიება ჯერ არ დამთავრებულა. საუბარმა, საკუთარი ცხოვრების ანალიზმა, იმ ადამიანთა ცხოვრების ანალიზმა, რომლებიც ბედმა ერთად შეკაცარა, აიძულა ისინი ბევრ რამეზე დაფიქრებულებიყვნენ, ბევრი რამ ახლებურად გაეაზრებინათ. და რაც მთავარია, ჩაწვდომოდნენ ცხოვრებას, თუნდაც



აქტიორები ერთხელაც არ აპკოლიან ცდუნებას, გაუმარტივებინათ თავიანთი ამოცანა იმ მისწრაფებით, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იხე იხვიათად გვხვდება ეროვნული ენობრივი კოლორიტით მკვეთრად გამოხატული ნაწარმოებების დადგმისას — „ფონს გასულიყვნენ“ კუთხური სასაუბრო ენისა და ინტონაციის ამ სპეციფიკური თავისებურებებით.


ქართული მწერლის ნაწარმოების კოლორიტი და დამახასიათებელი თავისებურებანი სპექტაკლში სხვა უფრო ღრმად და უფრო გონივრულად ჩაფიქრებული საშუალებებით არის გადმოცემული. დუმბაძის თხრობის რიტმი და მაჯისცემა გადატანილია სპექტაკლის რიტმში, რაც პირველივე შედარებით პასიური სცენებიდან თანდათან

ჯერ მხოლოდ აქ, თუნდაც ჯერ მხოლოდ ამ საკნის კონკრეტულ სიტუაციაში ეგრძნობ მხარაჭერა ადამიანის საერთო სიხარულსა და საერთო მწუხარებაში. ერთდროულად მჭიდროდ არის გადახლართული გაწვდილი ხელები, მკაცრი სახეები ადამიანებისა, რომლებმაც მსჯავრი გამოუტანეს თავიანთ შეცდომებსა და თავიანთ საქციელს. პლასტიკურად დამთავრებული, ძუნწად შესრულებული სურათი ამ ნაღვლიანი ცეკვისა, რომელშიც იგრძნობა თავმკაცრული, იდეული ძალა, უეცრად გააცოცხლა სცენაზე რომანის ჯაყაცურმა. მკაცრმა კოლორიტმა. ეს სცენა ორგანულად შეესისხლტორცა მთელი სპექტაკლის რიტმს, რასაც რეჟისორმა განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა. ყველაზე მწვავე, დაძაბულ

წუთებში, სინდისისა და აზრის გაღვივების წუთებში, ადამიანი უპირისპირდება თავის შინაგან „მეს“. ვინც ნებადართულ მიჯნას გადაბიჯა, ასე თუ ისე დაარღვია დადგენილი ნორმა, მისთვის დგება ანგარიშის გასწორების საათი. და შემზარათია არა მარტო და არა იმდენად გარეგანი სასჯელი, რამდენადაც ეს მკაცრი, ვეღარაფრით შელამაზებული გასამართლებს საკუთარი თავისა.

ნოდარ დუმბაძის სიტყვა ისე უხვად არის დაჯილდოებული იუმორით, რომ მისი ნაწარმოებების თეატრალური და საცერანო ინტერპრეტაციები ხშირად ვერ გაუჩინებენ ცდუნებას, ამ ნაწარმოებების მსუბუქად და თამაშ-თამაშით წაკითხვისა, მაშინ, როდესაც, უფრო ღრმად თუ გაეცინებოდა, ვნახავთ, რომ მწერლის მსოფლმხედველობა

ფინალი. როცა თავდაპირველად ამ თითქოსდა უწყინარი ხუმრობის მაყურებელი, საკანში ყველაზე უფროსი ისილირე სალაროიქი (რსფსრ დამს. არტ. ი. კასტრელი) ნარიდან ღინჯად წამოდგება. თანდათან ხმას აუმაღლებს და ყოველ მათგანს მკაცრად ეუბნება — „შენც ნადირალა ხარ“ — ამით იგი ქურდებს და მკვლელებს, დამტყებლებსა და ფალსიფიკატორებს კი არ მიმართავს, არამედ ადამიანს ყოველ მათგანში. ეს მრისხანე სიტყვები თითქოს მოგვიწოდებენ, რომ შეუძლებელია იყო ნადირალა „ხუმრობით“, რომ სინდისთან კომპრომისი მუდამ უსინდისობაა და კრახის დასაწყისი. და ამას რომ ხაზი გაესვას, ისეე მთავრდება სპექტაკლის ნერვული რიტმი დასეპირებული, დამუშავებული მოძრაობებით — დიდ




სცენები სპექტაკლდან

მკაცრია და შეურიგებელი ყოველივე იმისადმი, რასაც, ჩვენი აზრით, ასეთი დახვეწილი მახვილსიტყვიანობით დასციინა ავტორი და მისი გმირები. ამისი ზუსტი გააზრება ლ. დუროვის სპექტაკლის უდავო ღირსებად მიმაჩნია. უეცრად შეცვალოს შექმნილი ატმოსფერო ყველაზე უფრო მახვილგონივრული სიტყვებით და აიძულოს მაყურებელი, ღრმად ჩაუფიქრდეს სპექტაკლის ღრამატულ არსს — რევისორის პრინციპული პოზიციაა. თითქმის ტრაგიკულ დამაბუღობამდე მივიდა სპექტაკლში ერთი შეხედვით თითქოს, ყველაზე უფრო იუმორისტული ეპიზოდის — ალიმენტის ურჩი გადამხდელისა და თავის მამაკაცურ ღირსებაში მეტისმეტად დაჯერებული ზ. ჭიიშვილის (ა. პოსელიოვი) გათამაშების სცენის

სისწრაფით აქეთ-იქით დაარბენინებენ სკამებს, ახარუნებენ თუნუკის ქილებს — თოს კედელში გამოკეტილი ასაკსრული ადამიანების უბადრუკ სათამაშოებს.

სპექტაკლის ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს ორ ძირითად მომენტზე, რაც გარკვევით არის გამოკვეთილი ნ. დუმბაძის რომანში. ერთი მხრივ, ეს დანაშაულისა და სასჯელის ძველსძველი პრობლემაა, ხოლო მეორე მხრივ — ფსიქოლოგიური ანალიზი ადამიანის პიროვნებისა, რომელიც საკუთარ წინააღმდეგობებშია გახლართული, მის გარშემო არსებული სინამდვილე კონფლიქტამდე მიჰყავს. მაინც როგორ ხდება ეს? — იკითხავს მაყურებელი. საკანში ცხრა პატიმარია და თითქმის ყველა „ცოდვილი ანგე-



სცენა სპექტაკლდან

ლოზია<sup>14</sup>, რომლებმაც შემთხვევით, თითქმის იძულებით გადალაგეს საზღვარი, ხოლო ზოგიერთი მათგანი უბრალო მსხვერპლია სიმაართისათვის ბრძოლაში დამარცხებული. იმ შინაგანი სურვილების ანალიზის დროს, რამაც, პირველ რიგში, განსაზღვრა შესაძლებლობა და დასაშვების საზღვრები, სპექტაკლის შემქმნელებისთვის ისევე, როგორც რომანის ავტორისთვის, მთავარი იყო ყურადღება გამამხვილებინათ ადამიანის სულიერი სტრუქტურის იმ მხარეზე, რომელიც გადამწყვეტ მომენტში უკიდურესი სიტუაციით განსაზღვრავს მომავალში სიკეთესთან და ჭეშმარიტებასთან მიახლოების შესაძლებლობას. ყოველივე, რაც გარე სამყაროში, საკნის მიღმა ხდება — ზაზას დედასთან შეხვედრა იქნება ეს თუ საუბარი გამოძიებულთან, რეჟისორთან შემთხვევით როდი გადაიყვანა პოეტურ განზომილებაში, რითაც რომანის ავტორმა გადმოგვცა ზაზას სიზმრები. რეალურია, ფსიქოლოგიურად რეალური, მოქმედებისა და აზრის თანმიმდევრობის ურთიერთობანი და ურთიერთ-შეფასებანი იმ ადამიანებისა, ვინც ბედითა და კანონით ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მკაცრი თვითანალიზის, ღირებულებათა გადაფასების დროს, როცა ზემოთ ამოტიკტივდება ადამიანის სულში დამალული ყოველივე ნათელი და ბნელი. რომელი გამიმარჯვებს? დაე, ჯერჯერობით ეს ქვეცნობიერად, სიზმარში გადაწყდეს. ასეთ სიზმრებ-

ში არის რწმენა შესაძლებლობისა, არა, შესაძლებლობისა კი არა, ადამიანის სულის სიღრმეში ჩაბუდეული კეთილი საწყისის რწმენა. თუნდაც მკაცრი გამოცდის ყველაზე ურთულესი გზით. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით დამაჯერებლად ელერს სპექტაკლის ფინალი. „დედა!“ — ყვირის ზაზა ნაკაშიძე. და შემდეგ ასევე — დედა — დედა — დედას — ყვირილით თავ-თავისი ნარიდან წამოხტება საკნის ყველა ბინადრი. მამაკაცთა შემადრწუნებელი, საერთო უმწუბოა. ტანჯული სულის ძახილია, რომელიც დასაბამია თავიდან უმძიმესი, მაგრამ აუცილებელი ლტოლვისათვის თვისუფლებისაკენ და სხვა, კიდევ უფრო მთავარი — სულიერი თვისუფლებისკენ.

რაც შეეხება ნოდარ ღუმბაძის მკვეთრად დამახასიათებელი სახეების სცენურ გარდასახვას, აქ აქტიორულ მიღწევებთან ერთად, დროდადრო რაღაც სხვაგვარი წაიკობაც ჩნდება. კარგად არის სპექტაკლში დამუშავებული ზაზას (ა. კურაპოვი) სახე. აქტიორმა შესლო ენეუნებინა თავისი გმირის განვითარება და დაეკავალება.

სამწუხაროდ, ინსცენირებაში (ავტორისუბელი თარგმანი გ. აგამირზიანისა) რამდენადმე ღარიბად გამოიყურება ჭიჭიკო გოგოლი, რომლის როლს ორ სხვადასხვა შემადგენლობაში თავისებურად საინტერესოდ ხსნიან აქტიორები ე. კანეფსკი და ა. მარტინოვი. უდავოდ, აქტიორულ გამარჯვებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ გიგლა მებურიშვილისა (ი. ბაგინიანი) და შოშია გოგოლაძის (გ. ლიაბე) როლების შესრულებას. ქურდის, რეციდივისტის ლიონა დედვარიანის (გ. სმირნიტსკი) მოჩვენებითი დარღმამდობისა და ყოყმობის მიღმა იმალება სათითო სული, რომელსაც რცხენია საკუთარი თავისა და თავისი თავქარიანობისა. შესაძლებელია, აქტიორმა ზედმეტად გაარომანტიულა თავისი გმირის სახე. გაიხსენეთ მისი პოეტური აფეთქება ნუნუ ექთანთან (ე. პრუდნიკოვა) სცენაში. მაგრამ სწორედ ამ საშუალებით, შენარჩუნებულ იქნა ლიონას სახის სტრუქტურის ფსიქოლოგიური მითლიანობა, რაც ასე დეტალურად არის დამუშავებული რომანში და მნიშვნელოვნად შეცინებული ინსცენირებაში.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ დეტალურია, რომელიც სრულებით არ ამკირებენ მითლიანობაში სპექტაკლის ღირსებებს. სპექტაკლის ავტორების გარკვეული პოზიციის, პიუსის იდეებისა და სახეების ღრმა ფსიქოლოგიური დამუშავება, მშენებრად გამოიხატა მაყურებლის რეაქციაში. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მაყურებელთა დარბაზში, ფოიეში, გასახდელთან ისმოდა ხმამაღალი საუბარი და იყო გაცხოველებული მსჯელობა პიუსაში წამოჭრილი პრობლემებზე. ასეთი წარმატება იშვიათად ხვდებათ წილად სპექტაკლის ავტორებს. დღევანდელი გამოცდილი მაყურებელი პროფესიულ-კრიტიკულად მსჯელობს ნაზანი სპექტაკლის ღირსებებსა და ნა-



კლოვანებზე, მას, ესოდენ გატაცებულს, ასე უბრალოდ ვერ გააკვირვებ განსახილველი საკითხების არსის გააზრებით.

მაყურებელმა, რომელიც იცნობს ლიტერატურულ ორიგინალს, შეიძლება რადანცინარად გაამტყუნოს სპექტაკლის ავტორები, რომ არ იგრძნობა ნ. დუმპაძის დაუცხვრადი იუმორის მჭკფარე ატმოსფერო. ხოლო თუ ჩაუფიქრდება, იგი მაღლობს გადაუნდის მით. კრიტიკოსები და ლიტერატორები რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების თეატრალიზაციას ხშირად ბრალს სდებენ ავტორის ღრმა მსოფლმხედველური პრობლემების გამარტივებაში. ლ. დუროვის სპექტაკლი თითქოს სხვა-დასხვა შეხედულებებს თავს ამწევს თავის ტანდენციას, გამოავლინოს, გაანალიზოს და ფსიქოლოგიურად განაზოგადოს სოციალური და მორალური პრობლემები, რომანის აზრობრივი და სიუჟეტური სტრუქტურა მთლიანად გადაიტანოს მწერლის ველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი აზრების ღრმა მინარეხებაში.

მინდა ყურადღება გავამახვილო, ჩემი აზრით, კიდევ ერთ, არანაკლებ მნიშვნელოვან, შტრისზე, რაც სპექტაკლის დადგმისას შეიძლება სრულიად უმნიშვნელო იყოს, როგორც ცალკეული მხატვრული მოვლენა. მაგრამ როცა იმ თეატრში, რომელსაც ნათლად გამოკვეთილი მიდრეკილება აქვს განსაზღვრული სტილისადმი, რაფინირებული ინტელექტუალისთვის ატმოსფეროსადმი და ესთეტიკური სრულქმნილებისადმი, მთელი სირთულით იბადება მხატვრული ჩანაფიქრი სპექტაკლის ცოტა დამძიმებული და განსაკუთრებით მკაცრი გადაწყვეტისა, ამ პოზიციის არჩევანი მოწმობს სხვა ამოცანებისადმი შესამჩნევ მისწრაფებას. სრულებით არ ვაპირებ დაეუპირისპირო ეს ნაკადი თეატრში დამკვიდრებულ ტრადიციებს, როგორც რაღაც დისონანსი, რომელიც წარმოიშობა დამახასიათებელი მხატვრული სახის საწინააღმდეგოდ. პირიქით, ლ. დუროვის მხატვრული ხელწერის ნიშნები მთელი სისრულით და ნათლად გამოძვლავდება მის მიერ შექმნილი აქტიორული ნამუშევრების გალერეაში, აშკარად გამოვლინდა მისი პირველი დადგმის რეჟისორული თვითგამოსატყვის სპეციფიკაში. შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ სპექტაკლს, საბრალდებო დასკვნის“ ღირსებებზე და მტიკინეულ მხარებზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა — რეჟისორმა შესძლო ჩაწვდომობა ნ. დუმპაძის რომანის სიღრმესა და მნიშვნელობას, სპექტაკლს რიტმით, მისი ფსიქოლოგიურად დატვირთული ატმოსფეროთი გადმოეცა თავისი ძალზე დამახასიათებელი, ნათელი შემოქმედებითი ტემპერამენტი. სცენური კომპოზიციების პლასტიკურ სურათს, სპექტაკლის დინამიკურ რიტმს, ნაწარმოების ავტორისა და დამდგმელი რეჟისორის პიროვნებისა და მსოფლმხედრების აშკარა კვალი აჩვენებია.



# „მთების გუჯი“ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე

ლილი გვარამაძე

ანდრია ბალანჩინის ბალეტი „მთების გული“ 30-იანი წლების მიწურულში დაიბადა და იმთავითვე მოიპოვა ფართო აღიარება. იგი დიდი წარმატებით იდგმებოდა ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრის სცენაზე. მერე კი, გაუგებარი მიზეზების გამო, ხანგრძლივი დროით შეწყდა მისი სცენური სიცოცხლე. და აი, მრავალწლიანი დუმბილის შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალში კვლავ აედგრა ა. ბალანჩინაძის მშვენიერი მუსიკა, კვლავ გაცოცხლდნენ მისი გმირების (მანი-ფე, ჯარჯი, ზაალი) პოეტური სახეები. ამით ქუთაისის თეატრმა თავს იდო უაღრესად საპასუხისმგებლო და კეთილშობილი მისია, რომლის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბალეტმეისტერ ბექარ მონავარდისაშვილს. მართა-



ლია, იგი მუშაობის პროცესში მრავალ სირთულეს წააწყდა, მაგრამ მაინც შეძლო თავისებური, საინტერესო და შთამბეჭდავი სპექტაკლის შექმნა. სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნიდა თვით ქუთაისის თეატრის საბალეტო დასი, რომელშიც ჯერ კიდევ მეტისმეტად ცოტაა პროფესიულ მოცეკვავეთა რიცხვი. რაღა თქმა უნდა, ასეთი ვითარება ანგარიშის გაწვევას თხოვლობდა ბალეტმეისტრის მხრიდან, რის გამოც მან მრავალჯერ შეცვალა თავისი ქორეოგრაფიული შთანაფიქრი. და მაინც, მოცეკვავეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებულმა შემოქმედებითმა ამოცანებმა რიგ შემთხვევებში დასახურებული წარმატება მოუტანეს ბალეტმეისტერს.

კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის თანხმობით ბ. მონაგარდისაშვილმა თეატრს შესთავაზა თავისი დრამატურგიული რედაქცია. მან ბალეტიდან ამოიღო ზოგიერთი მოქმედი პირი, ყოფითი დეტალები, რომლებიც ამძიმებდნენ სპექტაკლს და სტოვებდნენ ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას. ამით ბ. მონაგარდისაშვილმა სიუჟეტური ხაზის განვითარებას მიანიჭა მეტი სისხნარტე, სასოვანება. ბალეტმეისტრის წარმატებად მიმაჩნია მასიური ცეკვები, რომლებიც მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებენ სპექტაკლში. ასეთია „ხორუმი“ (II მოქმედება), რომელიც ხალხს მოუწოდებს ბრძოლისაკენ უსამართლობის და უსუსულობის წინააღმდეგ, ასეთია ბალეტის ფინალური ცეკვა — „ხორუმი“ რემინისცენცია გამარჯვებულთა სასაიუმო სვლას რომ გამოხატავს. არანაკლებ საინტერესო და შთამბეჭდავია „მთიულური“, გადაწყვეტილი საცეკვაო პოლიფონიის პრინციპით. შთამბეჭდავია ორთაბრძოლა — ჯარჯისა და ზაალის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება, რომელიც ვაჟთა ჯგუფის (მასში გაერთიანდნენ ნიჭიერი მოცეკვავეები — რეპეტიტორი ე. გუმბრეიძე) გარემოცვაში მიმდინარეობს. პლასტიკურ დიალოგს უფრო მეტად ამძაფრებს ვაჟთა ანტურაჟის ქორეოგრაფიკები. ბ. მონაგარდისაშვილმა გამიზნულად გამოიყოს ამ ორი ცეკვის კულმინაციური მახვილები და ამით სიმკვეთრე მიანიჭა სპექტაკლის საკვანძო მომენტებს.

თითქმის ყველა ცეკვა თავისებურად და საინტერესოდაა დადგმული. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი ქალთა ცეკვა „დავლური“ დაირებით მეორე მოქმედების პირველ სურათში, ქალთა მიერ შესრულებული ცეკვა „ნარნარი“ (მესამე მოქმედება), რომელშიც ბალეტმეისტრმა გამოიყვანა სოლისტიც, მშვენივრად რომ ცეკვავს ფეხის წვერებზე, საინტერესოდაა წარმოდგენილი „ფერული“ (პირველი მოქმედება), პატარა



სცენა სპექტაკლთან. ქარჯი — ა. იუსუპოვი, მანიე — ტ. კახიძე

ბიჭის მონაწილეობით, რომელიც მოხდენილად ასრულებს „ეკრულის“ ილუტებს.

მთავარი როლების — მანიეისა და ჯარჯის შემსრულებლებმა — თ. კახიძემ და ა. იუსუპოვმა წარმატებით დასძლიეს სიძნელეები ბალეტმეისტრის მიერ შემოთავაზებული საკვანძო რთული საცეკვაო პარტიკურისას. სასიამოვნო ანსამბლი შექმნეს მანიეის მეგობარმა გოგონებმა პირველი მოქმედების ვარიაციებში და ცეკვაში „სამაია“. თავად ზაალის როლს ასრულებს თ. ჩიკაიძე.

ფერსასველ და ემოციურად ძვლნარა ორკესტრი დირიჟორ რევაზ ზურცილავას ხელმძღვანელობით. მსატარმა უშანგი იმერლიშვილმა სპექტაკლი კოლორიტულად და სახიერად გააფორმა. თუმცა სასურველი იქნებოდა კოსტუმების ფერა-

სცენა სპექტაკლთან



დოვანი გამის უფრო ორგანული, ჰარმონიული დაკავშირება სპექტაკლის დეკორაციულ ფონთან. გამომსახველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მოქმედების დეკორაციები. შთამბეჭდავია აგრეთვე მეორე და მესამე მოქმედების შემდეგი სცენების — მთაში და ხანძარი თავად ზაალის ციხე-დარბაზში — მხატვრული გაფორმება. სამწუხაროდ, მეტისმეტად პასიურია ქუთაისის თეატრის სინათლის აპარატურა, რის გამოც იკარგება მხატვრული გაფორმების არა ერთი დეტალი.

ბალეტ „მთების გულის“ პრემიერამ დიდი აღმავლობით ჩაიარა. ქუთაისელმა მსყურებელმა სპექტაკლი ძალიან კარგად მიიღო. ასეთი რთული და დიდი წარმოდგენის წარმატება იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისის თეატრში სისტემატურად უნდა იდგმებოდეს საბალეტო ნაწარმოებები. ამ ამოცანის განხორციელებისთვის თეატრს სჭირდება მთავარი ბალეტმეისტერი, პროფესიულად მომზადებული კადრები. ამისთვის კი თვით ქუთაისში უნდა მოხდეს ნიჭიერი მოზარდების შერჩევა ქორეოგრაფიული სასწავლებლისათვის, რომლის დამთავრებისთანავე ისინი მოღვაწეობას განაგრძობენ მშობლიური თეატრის საბალეტო დასში.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალს დიდი მომავალი აქვს. ამას მოწმობს ისეთი საინტერესო სპექტაკლები, როგორცაა პუჩინის „ტოსკა“ და ბალანჩინაძის „მთების გული“. მჯერა, რომ ახლო მომავალში ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრე გადაიქცევა ჩვენი რესპუბლიკის წამყვან შემოქმედებით კოლექტივად, ქართული მუსიკალური კულტურის შესანიშნავ კერად.



სცენები სპექტაკლიდან





# იტალიური შობაგეჟდილებები

ელგუჯა ამაშუკელი

ჩამნი მესხერება, შეიძლება ითქვას, მძაფრი დადებითი და უარყოფითი ემოციების დანალექია. შემოქმედება ამ დანალექის მატერიალიზება და მისი საწყისი გრძნობაა. გონება ანალიზებს, აწესრიგებს შობაგეჟდილებათა ქაოსს და მას ეპოქის ესთეტიკურ შეხედულებებს უმორჩილებს. დრო საკუთარი რიტმით კონკრეტულ კითხვებს სვამს პიროვნების წინაშე და ასეთსავე კონკრეტულ პასუხს ითხოვს მისგან. ადამიანის ზე-აწველი მგრძობილობა, საწყისი შემოქმედებისა, ყოველთვის განპირობებულია დროის ფაქტორით და იგი თანაბარი ძალით მოქმედებს, როგორც ნაწარმოების შექმნის, ასევე მას აღქმა-შეფასების პროცესზე. აწმყო წარსულის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას ყოველთვის აქტუალური, თავისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, სჭერტს და აფასებს, და ჩვენი დამოკიდებულებაც გასული საუკუნეების ხელოვნებისადმი დღევანდლობის რიტმითაა ორიენტირებული. ჩემი, როგორც მხატვრის, მიმართება წარსულის ხელოვნებასთან ასეთივეა და ამ პოზიციიდან ვუყურებდი ყველა შედეგს, რომლებიც იტალიური აღორძინების ეპოქამ მისცა კაცობრიობას.

თანამედროვეობის დიდ მოქანდაკეს — ჭენრი მურს, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ნათქვამი აქვს: „ჩემი ოცნება შექმნა ქანდაკება, რომლის დასატკაც შეუძლებელი იქნება“. ვფიქრობ, ეს გამონათქვამი, სიმბოლურად, ტემპარიტი ხელოვნების მარადიულ ღირებულებასზე მიგვანიშნებს, ვინაიდან მარადიულია ის, რაც ყოველთვის ახალია და საინტერესო, რაც უსასრულოდ გიზიდავს სიღრმისაყვად და გიჩვენებს ადრე შენთვის უხილავ წახანაგებს. შექმნა ქანდაკება, რომლის დასატკაც შეუძლებელია, ნიშნავს შექმნა ნაწარმოები, რომლის ყველა რაკურსი თანაბარი მხატვრული ღირებულებისა იქნება (ნახატს მხოლოდ ერთი რაკურსი აქვს) და მისი პლასტიკური ღირსებაც ბოლომდე შეუცნობელი. თუ დღემდე ადამიანი აღფრთოვანებულია და ამავე დროს გაკვირვებულიც ეტრუსკულ თუ ელინურ ღირსებებზე ამოტიფრული უფაქიზები და უშეგინიერესი ხასიო, ან ფლორენციელი მოზაიკით, ეგვიპტური,

ასირიული თუ ბერძნული პლასტიკით და არქიტექტურით, ეს აღფრთოვანება, უპირველეს ყოვლისა, არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ფაქტორებითაა განპირობებული, არამედ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობის უსაზღვრობითაც. რა სასიცოცხლო ენერჯია დატყვევებული მკვდარ მასალაში, რომ დღემდე არ დაუვარგავს მის სხივებს ძალა და სიბოთ, — აი კითხვა, რომელზეც საუკუნეებია ეძებს ადამიანი პასუხს.

ვინაიდან შობაგეჟდილება ყოველთვის სუბიექტურია (ერთი და იგივე ფაქტი ადამიანებში ხშირად განსხვავებულ ემოციებს აღძრავს, ხშირად პარადოქსალურად ურთიერთსაწინააღმდეგოსაც), ამიტომ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ იმ მოვლენებზე შევჩერებ, რომლებმაც მიქელანჯელოს ქვეყანაში მოულოდნელად აღმავრთოვანა ან განხშიზა. მართალია, მხატვრული თუ მუსიკალური შობაგეჟდილება სიტყვებით ძნელად გადმოიყვამ, მაგრამ მაინც შეგვედები სიტყვებით ავსხნა ჩენი დადებითი თუ უარყოფითი ემოციებს მიზეზები. იტალია ორჯერ მოვიანახლე. თუ პირველი შობაგეჟდილება იყო ზედაპირული, იმპრეაიონისტული, მეორედ საშუალება მქონდა ორმოცი დღის მანძილზე უფრო ახლოს გავცნობოდი ამ ქვეყნის კულტურას, მის ყოფას.


ყველაზე დიდი შობაგეჟდილება ჩემზე რომში ეტრუსკული ხელოვნების მუზეუმმა მოახდინა. ეტრურია, ანუ ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ ეტრუსკები VII, VI საუკუნეებში: ჩ. წ. აღრიცხვამდე, მდებარეობდა იტალიის დასავლეთ სანაპიროზე, ახლანდელი ტოსკანის ტერიტორიაზე, თუმცა ეტრუსკების კვალს უფრო ადრეც ვხვდებით ბალკანეთის, საბერძნეთის, ეგვიპტის ტერიტორიაზე. მკითხველის ყურადღებას არ შევარჩებ ამ ხალხის ისტორიულ-სოციალურ რაობაზე, მე მხოლოდ მისი ხელოვნების ხილვით მიღებულ შობაგეჟდილებზე მინდა ვისაუბრო.

მუზეუმში გამოფენილი ბრინჯაოს, თქრის და ტურაკოტის მცირე ზომის ქანდაკებები, ფრესკები სამარხების კედლებზე, მიცვლებულთა სკულპტურული პორტრეტები, ბრწყინვალე

კერამიკა, ტრაკოტის ლარნაკებზე ამოტივფურული განუმეორებელი კომპოზიციები მნახველის დიდ ინტერესს აღძრავს დღემდე ამოუსწნელი საიდუმლოებით მოსილი ხალხთა ხელოვნებისადმი. მუზეუმში ვიხილვ ცნობილი ეტრუსკული ქანდაკების „ძუ ლომის“ ასლი, შესრულებული VI საუკუნეში ჩ. წ. აღრიცხვამდე. მისი დედანი რომის კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება. არც ასლი და არც დედანში რომისა და რომულის გამოსახულებები არ არის. როგორც ცნობილია, ისინი კომპოზიციაში XVI საუკუნეში შეიტანეს, უფრო სწორად, ალფონსეს, ვინაიდან დედანში დაკარგული აღმოჩნდა. მხატვრული სიმკაცრით, ხაზგასმული კონსტრუქციებით, სკულპტურულობით ეს ქანდაკება, ისე როგორც სხვა ეტრუსკული კომპოზიციები, უდიდესა შობამტივობას ახდენს მნახველზე. ჩემს აღფრთოვანებას ზოგჯერ გაკვირვება სცვლიდა, ვინაიდან ვგრძნობდი, — რაც შემდგომ კომპოზიციის შემწილა, ვერ აცდენია ეტრუსკების მომწესხველ გაუღუნას და ჰშირად ეს გავლენა იმდენად ძლიერია, რომ დაუკერებლად გგვიჩვენებს მათ შორის არსებული საუკუნოვანი შუალედები.

მარკუს ავრელიუსის მინუმენტის ავტორს შესაძლოა კარგად სცნობოდა ელინური საბერძნეთის თუ ეტრუსკული ხელოვნება, ან რომელი არქიტექტორებს — მათი სამშენებლო ისტატობა (მსოფლიო ხელოვნების ისტორია არ უარყოფს ეტრუსკული სამშენებლო და საინჟინრო ხელოვნების გავლენას რომანულ არქიტექტურაზე, — ქალაქთა დაგეგმარება, ნაგებობათა შიდა განათების, სინათლის წყაროს ორიენტაცია და სხვ.). ეს გავლენა აშკარად იგრძნობა ორეიტუმო, პერუჯაში, სუტრიაში და სხვა ქალაქებში. ეტრუსკების ხელოვნებას მსოფლიო მოგვიანებით გავლენა არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, მანამდე კი მათ შემოქმედებაზე რომელი ასლებით სჯავლობდნენ. პირველი გათხრები იტალიაში XVI საუკუნეში ჩატარდა, მაგრამ მაშინ აღმოჩენილი „მეწისქვეშა რომი“, — სამარხების ნიშნები, კატაკომბები, შენობათა შორის გასასვლლები და სხვა მაინც ძუნწლ მტყვევლედა ძველი რომის ხელოვნების ისტორიაზე. მეცხრამეტე საუკუნის 30-იან, 40-იან წლებში კორინთოში, ჩერვეტოში თუ ეტრურის სხვა ცენტრებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ელინურმა კერამიკამ და სამარხების კვლდების ფრესკებმა ნათელი მოჰფინა ეტრუსკების დიდ კულტურულ წარსულს. ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საბერძნეთში, ეგვიპტეში, ასურეთ-ბაბილონში თუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში გათხრებმა მსოფლიოს ყურადღების არეში მოაქცია მათი დიდი ისტორიული წარსული, დაიწყო ახალი ერა მსოფლიოს ხელოვნებათმცოდნეობაში. თუ წარსულის დიდ მხატვრულ მითოლოგიას შექმლო გავლენა მოხდინა შემდგომ თაობათა ხელოვნებაზე (ვევლისსმობთ გათხრების შედეგად მიღებულ კულტურულ ინფორმაციას), ეს გავლენა შეინიშნება მთელ საუკუნის მხატვართა შემოქმედებაშიც: პიკასო, მატისი, მური, ერნი და სხვ. საკვირველია ეტრუსკების გავლენა აღორძინების ეპოქის ხელოვნებაზე, საკვირველია, ვინაიდან, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, XVI საუკუნეში ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრებამდე ეტრუსკების ხელოვნება და ელინური საბერძნეთი მსოფლიოსათვის არ იყო მხატვრულად აღმოჩენილი. ასეა თუ ისე, დაკვირვებული თვალი ადვილად ამჩნევს აღორძინების ეპოქის მხატვრებზე ელინური და ეტრუსკული ხელოვნების დიდ გავლენას. რაც შეეხება ტერაკოტის ლარნაკებზე და ქოთნებზე ამოკაწრული კომპოზიციებს, უფრო ფაქიზი და დახვეწილი ხაზი არ შემხვედრია არცე-

ე. ამაშუკელას  
ჩანახატები



ვენეცია, უფიცის გალერეა



ვენეცია, რეატოს ხიდი

პოპეი





ფლორენცია

ფლორენცია, პონტ-დე-კო



ვენეცია



რთი სხვა ეპოქის არცერთი მხატვრის შემოქმედებაშიც არაა ბილია, რომ განვითარება გავლენის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ განვითარება ესთეტიკურად ყოველივეს აღმაგებელი ხასიათის არ არის. ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დავაგარწმუნებ ეტრუსკების მუზეუმის ახლოს განვლილ ვიქტორ ბეკატის, ასირიულ, თუ საბერძნეთის ელენურ კულტურასთან ერთად, ეტრუსკების ხელოვნებაც ის ბუმბერაზი მწვერვალია, რომელსაც რაც უფრო უახლოვდება ადამიანის თვალს და გონება დროსა და სივრცეში, მით უფრო ბოლომდე შეეცნობელი და გრანდიოზული ეჩვენება იგი.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ნეაპოლის ნაციონალურმა გალერეამ, კერძოდ, აქ გამოფენილმა ფლორენციულმა მოხაზვებმა ნაწარმოები ღრმად ფერწერულია ამ სიტყვის საკეთილყოფილი გაგებით (საერთო კოლორიტი, ფერის სიღრმე, ნახევარტონები, უფაქიფსი ნიუანსები, რეფლექსები და სხვ.) ურთულესი კომპოზიციები, დაწვეული პატარა ზომის „პასტორალით“ და დამთავრებული „ალექსანდრე მაკედონელის დარბოსთან ბრძოლის“ ვებერთულა კომპოზიციით თამაშად შეიძლება აღორძინების ხანის ფერწერული შედეგების რიცხვს მივაკუთვნოთ. მუზეუმში ფართოდაა წარმოდგენილი რაფაელის, ტიციანის, ტინტორეტოს, პიერო დელა ფრანჩესკას და სხვათა დახვეწილი ნამუშევრები.

იტალიური რენესანსის მამამთავრების — ჩიმაბუეს, ჯოტოს, მასაჩოს და სხვათა შემოქმედებას ადრე რეპროდუქციებით ვიცნობდი. თუ მათი ნამუშევრები, შედარებით, ჩემთვის ნაენობი იყო და ასე თუ ისე მქონდა გარკვეული წარმოდგენა მათ შემოქმედებაზე, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის დუჩოს, სიმონე მარტინის, ამბროჯო ლორენცეტის მხატვრული მემკვიდრეობა ქალაქ სიენაში და ბენეჯო გოცოლის, დომენიკო ვენეციანოს და არეტინოს უზარმაზარი ფრესკები (4x6 მეტრი), ოცამდე ნამუშევარი ქ პიზის კათედრალში სიენის ტაძარში შეხვედია იტალიელ ხელოვნებისმცოდნე ფრანჩესკო ვიტრუსს, რომელიც 1974 წელს გაეცანა იტალიაში ჩემი პირველი მოგზაურობისას. ჯერ კიდევ მაშინ მან სიენის ეკლესიის მუზეუმის საცავებში მე და ჩემს ქართველ კოლეგებს — მხატვრებს ზურაბ კაპანაძეს, ნუგზარ მემმარიაშვილს და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ელენჯა ხინთიბიძეს გავაცნო დუჩოს, ნიკოლო პიზანოს და იაკოპო დელა კვერჩას დიდი მემკვიდრეობა, ამჯერად კი მან დეტალურად დავგათვალიერებინა სიენის ტაძრის მუზეუმში, სადაც უხვადაა გამოფენილი სიენის ფერწერული სკოლის ფუძემდებლების — დუჩოს, სიმონე მარტინის, ამბროჯო ლორენცეტის, პინტურჩიკოს და სხვათა შემოქმედება.

უცნაური ყოფილა დუჩოს ბიოგრაფია, ისევე, როგორც ჩვენი ნიკო ფირსოვანისა. არავინ იცის, სად გარდაიცვალა დუჩო, სად მარხია და დარჩა თუ არა მას შთამომავალი. საოცრად თბილი და მომხიბლავია მისი ფერწერის კოლორიტი, ოქროსფერთან შერეული თბილი წითლით შესრულებული სურათები „ღვთისმშობელი წმინდანთა შორის“. კომპოზიციები ახალი აღტიქიდან და სხვა (ძირითადად ხე) სრულიად განსხვავებული და თავისებური ქმნილებებია. სიენის ფერწერული სკოლის მეორე დიდი წარმომადგენელია ამბროჯო ლორენცეტი. პირველი, რაც მნახველის თვალს იპყრობს მისი შემოქმედების გაცნობისას, უკა ხაზის სიფაქიზე, ზომიერი დეკორატიულობა, პეისაჟის, ლანდშაფტის ფორმის იმპროვიზაციის მოულოდნელი აბსტრაქტიზება. როცა ვაკვირდებოდი ტოსკანის, უმბრიის თუ იტალიის სხვა მიდამოების ლანდშაფტს, აწყა-



რად ვგრძნობდი ლორენცეტის მხატვრული ფორმის დიდ ში-  
ნაგან სიმართლეს.

განსაკუთრებით მაინტერესებდა ქალაქი პაღუა. ჯერ კიდევ  
სტუდენტობის დროს ჩემი ოცნება იყო მსოფლიო მინიმუმ-  
ტური პლასტიკის შედევრის — დონატელოს „გატამელატას“  
ნახვა. პაღუა საუკუნეებია იზიდავს ყველა მხატვარს და მოქან-  
დაკეს, მათ თვალს, რომელთაც მეტ-ნაკლებად ძალუძთ იგრ-  
ძინონ იტალიური რენესანსის ერთ-ერთი მამამთავრის ჯოტოს,  
ანდრეა მანტენიას, ტიციანის, დონატელოს და სხვათა მძალი  
ხელოვნება. პაღუაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მხატ-  
ვრები: ანდრეა დელ კასტანიო, ფილიპო ლიპი, პაოლო უჩილო,  
ჯიოვანო ბელინი, დონატელო და სხვები; მეცნიერები — გა-  
ლილეო გალილეი, კოპერნიკი, პოეტი და ფილოსოფოსი ტო-  
რკვატო ტასო, დრამატურგი გოლოდონი, უდიდესი იტალიელი  
პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა და სხვები. მართალია, ამერიკე-  
ულმა ყუმბარამ სერიოზულად დააზიანა პაღუაში ერომიტანის  
ეკლესია, მაგრამ ანდრეა მანტენიას მიერ მოხატული ფრეს-  
კების გადარჩენილი ნაწილი სრულ წარმოდგენას აძლევს მხა-  
ხველს ამ მხატვრის ხელწერაზე. მისი ფრესკები „წმინდა მა-  
რიამის ამაღლება“, „წმინდა იაკობის წახება“ დიდი შინაგანი  
დრამატუზმით შესრულებული ნაწარმოებებია. ასიზის წმინდა  
ფრანჩესკოს ეკლესიის შემდეგ მხოტო ყველაზე უფრო ფართოდ  
წარმოდგენილია პაღუაში, ეკლესიაში „კაპელა არენაზე“,  
ისე, როგორც ასიზში, აქაც მისი ფრესკები განუმეორებელია  
ჰაეროვნებით, ფერთი, მუქიკაღურებით.

დღე სანტოს მოედანზე, უსარმაზარი ბაზილიკის წინ, მა-  
ღალ კვარცხობივზე, ტაძრის ასიმეტრიულად, მის დიაციონალ-  
ზე დგას დონატელოს მიერ შესრულებული კანდიდიერის  
„ერაზმო და ნარნის“, იგივე „გატამელატას“ ფართად ცნო-  
ბილი მონუმენტი. დიდია მისი მხატვრული ეფექტი. როგორც  
პლასტიკური, ისე სიუჟეტობრივი. ქანდაკება პარმონიულადაა  
ჩართული მოედნის რთულ არქიტექტურულ გარემოში და, შე-  
იძლება ითქვას, მისი ძირითადი მართკონუსებელი ელემენტია.  
მე ჯერ არ შემიხედრია ადამიანი, რომელსაც საშუალება ჰქო-  
ნიდა არეკობა, ამ ურბინოში პიერი დელა ფრანჩესკის ფრე-  
სკების ნატურაში ხილვისა და აღტაცებისად არ დაარჩენილიყო.  
იმდენად მოულოდნელია რეპროდუქციების შემდეგ მისი  
ფერთი ენოციური შემოქმედების ძალა, რომ მას აღიქვამ  
როგორც სრულიად ახალ, ადრე შენათვის უცნობ ნაწარმოებს.  
ფორმი, ფორმი, დიდი შინაგანი დრამატუზმით იგი ყველა  
იტალიელი მხატვრისაგან ძალზე განსხვავებულია და მისი  
შორეული დანათესავება, ჩემი აზრით, მხოლოდ დომენიკო  
ვენეციანოსთან შეიძლება.

არეკოში, წმინდა ფრანჩესკოს ეკლესიაში მის მიერ შესრუ-  
ლებული „იმპერატორ ირაკლის გამარჯვება“, „სახელი  
დღეოდგენის და სლომოინის შეხვედრა“ და აგრეთვე ეკლესია მრავ-  
ალი კომპოზიცია. ფერადოვნებით, სკალპტურულ ნახატით,  
დიდი ექსპრესიით და ეპიკურობით შესრულებული მხედრთა,  
მეომართა ფიგურებით, სპარძლო დროშების ფერადოვნა რი-  
ტში, კოლორიტ მართლაც განუმეორებელია. მისი ფერწერა  
იმდენად რბილი, თბილი და ჰაეროვანია, რომ პასტელის  
შთაბეჭდილებას სტოვებს. შესაძლებელია ეს საუკუნეების  
ბრალიკა, ცნობილია, დრო ხშირად ნაწარმოებს საკუთარი  
„აქტმოსფერული კოლორიტი“ მისაგან.

ქალაქ პრატოში დიდი ხანი არ არის, რაც ცენტრალურ  
მოედანზე დიდგა თანამედროვეობის გამოჩენილი მოქანდაკის  
პეტრი მურის მარმარილოს დიდი დეკორატიული ქანდაკება.

ეს ნამუშევარი, რომლის ზომა დაახლოებით სამი-ოთხე-  
მეტრია, დადგმულია მწვანე პარტურში, ყოველგვარი პიქტურ-  
ლის გარეშე და იგი მშვენიერად ავსებს მოედნის დიდ სიერ-  
ცეს.

შეიძლება ითქვას, რომ ფილიპო ლიპის შემოქმედება ყვე-  
ლაზე სრულად პრატოში წმინდა დომენიკოს ეკლესიაში წარ-  
მოდგენილია. მის მიერ მოხატული ეკლესიის საკუთრებელი  
სრულ წარმოდგენას იძლევა ფილიპო ლიპის სტილისტურ და  
მხატვრულ თავისებურებაზე, მის ფაქტზე და დახვეწილ ფერსა  
და ხასზე.

რამდენიმე სიტყვა ქალაქ ასიზე. მართალია, ჯოტო ასი-  
ში უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი, ვიდრე პაღუაში, მაგრამ  
მის ფრესკებს წმინდა ფრანჩესკოს ეკლესიაში აქ აღარ შევე-  
ხები. ასიში იტალიის ყველაზე უფრო კოლორიტული, თავისებ-  
ური (მხატვრული) ქალაქია. ამ ქალაქში, სადაც საოცარი პა-  
რმონიულობითაა შერწყმული ერთმანეთთან ლანდშაფტი და  
არქიტექტურა, ადამიანი თითქოს შუასაუკუნეების ცხოვრები-  
სათვის დამახასიათებელ რიტმში ხედება, იმ დროის ესთეტიკო-  
გიური განწყობილება ეუფლება. თანამედროვე საუკუნის კა-  
ლენდრის შემთხვევით ცაზე გამოჩენილი თვითმფრინავი ამ  
მანქანა თუ შეგახსენებს. ასიში შეიძლება ეწოდოს „ქალაქი-  
ქანდაკება“, სადაც შუასაუკუნეების ციხე-კოშკებს, ვაწრო, კო-  
ლორიტულ ქუჩებს, თაღებს პარმონიულად ამთლიანებს ნეა-  
პოლიტანური ყვეთილი ფერის ქვა, რომლითაც ნაგებია მთელი  
ქალაქი.

ნეაპოლის ნახვა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, ალბათ ამის  
მიზეზი ის სასიამოვნო ასოციაციები გახლდათ, რომელთაც  
ჩემი ბავშვობაში ნეაპოლიტანური სიმღერები, პომპეი, ვეზუვი-  
თი თუ იტალიური ნეორომანტიკური ფილმები მამაებდნენ.  
ასეა თუ ისე, აუღლებებლად არც ამ ქალაქში შევსულვარ. პი-  
რველი შთაბეჭდილება მოულოდნელი იყო. მართალია, ანტი-  
სანიტარია სამხრეთის ქალაქების საერთო სენა, მაგრამ ნეა-  
პოლი ამ მხრივ მაინც გამოირჩევა იტალიის სხვა ქალაქების-  
საგან. გრჩება შთაბეჭდილება მენავგეთა მორიგი გაფიცვისა  
(რაც ხშირია იტალიაში). ნეაპოლის მთავარ ღირსშესანიშნო-  
ბადა მე მისი ნეაპოლიტანური, კაპო დე მონტეს მუზეუმი მი-  
მანჩია, რომელიც თავისი უნიკალური ექსპონატებით შეგვიძ-  
ლია გვერდზე დავუყვებით მსოფლიოს რომელიც მუსეუმსა გნე-  
ბათ. ფლორენციული მოზაიკა, პომპეის ფრესკები, ანტიკური  
ხანის მხატვრული ძეგლები, რაფაელის, ტიციანის, ტინტორე-  
ტის, პიერი დელა ფრანჩესკის და სხვათა შედევრები ამ მუ-  
ზეუმს განსაკუთრებულ წინმგწლობას ანიჭებს. ჩემთვის მო-  
ულოდნელი იყო XVIII-XIX საუკუნის იტალიელი ოსტატ-  
ტების — ჯუზეპე კამინოს, ბერნარდო ვალენტინოს და სხვათა  
ნამუშევრების ხილვა. ეს მხატვრები ცნობილი რუს მხატვრე-  
ბის — რეპინის, შიშკინის, ვერეშჩაგინის, ლეგეჩანის მასწავ-  
ლებლად თუ არა, სულაერ მამებად შეიძლება მივიჩნიოთ, ისე  
დიდია მათ შორის ნაეციფიკური, სტილისტური თუ პროფე-  
სიული სკოლის ნათესაობა.

ნეაპოლიდან 15-20 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს  
ქალაქი პომპეი, რომლის ტრაგიკული ბედი საყოველთაოდაა  
ცნობილი (ველკანმა ვეზუვიმ ერთ დამეში მოლიანად მისპო-  
ეი), ამიტომ მეიხსევლის ყურადღების მე მის სტორიაზე  
აღარ შევეჩერებ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევეხები მი-  
სტერიების ვილის მობატულობას, რამდენადაც ეს: პომპეის  
სანახებს შორის, ჩემის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ადგილი  
უჭირავს. ეს ფრესკები თავისი კოლორიტით, ფორმის სპეცი-

ფიკური თავისებურებით იტალიის ფრესკული ხელოვნების სხვა ძეგლებისაგან სრულიად განსხვავებულია. მისტიკრიების ვილის მხატვრობამ მე გამასენა ვან-უოვის წირილი თავისი ძმის — თეოსადმი: „მე აღტაცებული ვარ არა მხოლოდ წითელი ფერის ინტენსივობით ისეთ გარემოში, სადაც ადამიანებს ყოველდღიურად უხდებოდა ყოფნა, არამედ მისი მისტიკური საიდუმლოებითაც“. კომპოზიციები, რომლებიც ძირითადად დიონისეს მისტიკური კულტურის თემაზეა შესრულებული (მისი სახელწოდება — „მისტიკრიების ვილა“ აქედან წარმოსდგება), უძველესი და უნიკალურია პირველი საუკუნის მხატვრობაში მხატვრული, პროფესიული დონით. ბაქანალიის კომპოზიციამო მოცეკვავე ქალის ცნობილი ფიგურა მაღალი ესთეტიზმის, ნახატის სკულპტურული სისასიის იდეალური ნიმუშია.

ადამიანს იტალიაზე სრული წარმოდგენა ვერ შექმნიდა ვენეციის გარეშე. ამ ქალაქში გატარებული რვა დღე საკმარისი აღმოჩნდა მისი საფუძვლიანი გაცნობისათვის, თუმცა სიტყვა „საფუძვლიანი“ ცხადია, პირობითია და ის ამ ქალაქში პირველად მოხვედრილი მოგზაურის დროის რეგამენტს გულსიმბოძს. თვალში საცემია ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი სიმუდროვე, რჩები. ერთადერთი ცენტრალური ქუჩა. „ვია რეალტო“ ვენეციის მკვიდრთ ალბათ დღეში მრავალჯერ ახვედრებს ერთმანეთს და მათაც ისღა დარჩენიათ, როგორც ახლობლები ან კარგი ნაცნობები ერთმანეთს ისე დაელაპარაკონ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ეს ასე ჩანს რაც შეეხება ქალაქის ვეზოტიკას, მის არსებობა და გონდოლორების ალბათ თანამედროვე ცვილიზაცია მათ სულ მალე ვეზოტიკურ იმპიათობად გადააქცევს. არსებში საკუთარი „მანქანები“ უფრო მეტად დასრიალებენ, ვიდრე გონდოლები.

მე მსოფლიოს ბევრი დიდი ქალაქის მოედნები მინახავს. მაგრამ მხატვრული, ემოციური თვალსაზრისით „სან-მარკოს“ მოედანი თავისებურია და უნიკალური. ეს მოედანი „არქიტექტურული სტილისტური მულოდითი“ დიდ მუსიკალურ ნაწარმოებს მავონებს. ამიტომ შეუძლებელია მისგან მიღებულ ესთეტიკური შთაბეჭდილების სიტყვებით გადმოცემა. დიდ იტალიელი მხატვრების — ტინტორეტოს, ვერონეზეს, ტიციანის და სხვათა შედევრებს კიდევ რომ არ შეხედეს აქ ადამიან-ქალაქის მუზეუმებსა თუ ტაძარში, ვეროკის კოლეონის დიდებული ცხენოსნის მონუმენტიც იკმარებდა ვენეციის, მისი, როგორც დიდი ქალაქ-მუზეუმის, მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. ამ ქანდაკების მხატვრული, პლასტიკური ღირებულება განუზომლად დიდია და, აგი, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ კაპიტოლიუმის ზოვდანზე აღმართულ მარკუს ავრელიუსის და პაულუს დონატელის გატამელატას შეიძლება შევადაროთ.

ვიდრე შევხებოდე იტალიის ქანდაკებას, მის ძველსა თუ თანამედროვე მონუმენტურ პლაკატს, მინდა მკითხველს გავუზიარო აზრი იმაზე, თუ რა განაპირობებს დღეს ნაწარმოებამო იმეტიტურ აღქმა-შეფასებას.

იტალიაში შესვდებით თითქმის ყველა აქობის ძეგლს, რომელთა მხატვრულ-იდუური ნაწარ-თვისებები განსხვავებულია და ზოგ შემთხვევაში რადიკალურად ურთიერთდაპირისპირებულიც. რომში, ფლორენციაში, ვენეციაში, ნეაპოლში თუ იტალიის სხვა ქალაქებში მოხვედრილი ადამიანი, ძველების სახით თითქმის ერთდროულად ისმენს განსხვავებული ხასიათისა და კანონის, ფორმისა და რიტმის მუსიკალურ მულოდ-



სინენს კათედრალი

ვენეცია. სან მარკოს მოედანი



ფლორენცია. სანტა მარია დელ ფიორე





ებს. ცხადია, მათი ესთეტიკური ზემოქმედების საცდელ ხელოვნებაზე, პროფესიონალზე და რიგით მაყურებელზე განსხვავებულია. არაპროფესიონალი მაყურებელი უფრო ადვილად, უფრო უშუალოდ აღქვამს ირგვლივ ყველაფერს, მათ შორის ქანდაკებასაც, ვიდრე პროფესიონალი, რადენადაც დიდიტანტის შეფასების კრიტერიუმი ძირითადად მის ემოციურ ხაზფხვდელს ეყრდნობა და დროის ესთეტიკურ-საკეთილშობილო ფაქტორი აღქვამის მის არ უშლის. ამიტომაც ხშირად არ გვიკვირს თუ იტალიაში მოგზაურობიდან დაბრუნებული რომელიმე რიგითი ტურისტი ადფორთვანებით ლაპარაკობს ხოლმე ყველაფერზე. დაწყებული მიქელანჯელოს „სიქსტეს კაპელის“ მოხატულობით და დამთავრებული ბერნინის „ტრავის შადრვანით“, ბენეწუტო ჩელინის „პერსონების და საკონის „ვიქტორ ემანუელის“ მოხუშენებით. მას სრულებით არ უშლის ხელს ამ ნაწარმოებთა განსხვავებულება „პლასტიკური პარტიტურა“, ადვილად ირთვება ერთი განწყობილებიდან მეორეში, რადგან, ძირითადად, მისი დამოკიდებულება ამ ნაწარმოებთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლოკატორულია“, თხრობითია. პროფესიონალი კი ნაწარმოებში უმთავრესად პეტრეს და ანაბალტოს მის პლასტიკურ-გენეტიკურ ნიშან-თვისებებს, ექვს ლოგიკურ კავშირს უფრო ადრეულ ესთეტიკურ ფაქტთან და, აქედან გამომდინარე, მისი შეფასების კრიტერიუმი დროის ესთეტიკური ფაქტორითაა განპირობებული. ამდენად, სკულპტურული ნაწარმოების თიბეტიკური შეფასებისათვის, გრძობასთან ერთად, დღეს აუცილებელია გონითი თვალის, ანალიზის უნარი და ეპოქის „პლასტიკური ცხოვრების“ სრული ინფორმაცია, რათა იგრძნო, თუ რატომაა კანონისა და ტორეგალდსენის მხატვრული ფორმა ბერძნებთან შედარებით „უნიციტელში“, ცვივი, არ რატომ აკლია სიბოთ მილესის „გაზაფხული“ მაილის „ილდე ფრანსთან“ შედარებით და რატომ ხუნძკავს არაბს და კაზუსა ქანდაკებები „ჟანგბადის ბლინებით“ ჰქნის მურის ნამუშევრებთან შედარებით. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო ჩვენი დამოკიდებულება იტალიის ძველ თუ ახალ პლასტიკურ ნიმუშებსადმი უფრო კრიტიკული იყო, ვიდრე ემოციური. რომში და იტალიის სხვა იდი ქალაქებში, ჩემდა მოულოდნელად, გაცილებით მეტი აღმოჩნდა უსტკი და უსახო ქანდაკება, ვიდრე მე წარმომიდგინა. ფლორენციაში, სინიორის მოედანზე გენიალური მიქელანჯელოს, ბენეწუტოს, დონატლოს და სხვათა გვერდით უხვადაა ბაზო ნადნდლის, ჯან ბალონისა და სხვათა არაემოციური ქანდაკებები; რომში, კამპიტოლიუმის მოედანზე ბრწყინვალე მინერვა აგრელიუსის პიუმენტის წინ, სასახლე ტარბუნის კოლა დი რიენცოს და სხვათა დაბალმხატვრული კომპოზიციები, ვიქტორ ემანუელის პიმპეზური მონუმენტის მიელა ანამბლი და სხვ. როგორც ჩანს, ყველან და ყველა დროს არ კეთდებოდა და დღესაც არ კეთდება თანაბარი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქალაქ პრატომი, ცენტრალურ მოედანზე დეს ჰქნის მისი საკმოდ დიდი ზომის, თავისუფალ თემასზე შესრულებული დეკორატიული მონუმენტი (მასალა — თიერი მარმარილო), მსგავსი კომპოზიცია მის მიერვე ბრინჯაოში შესრულებული მინახავს ქალაქ ტორინტოს მუნიციპალიტეტის წინ (კანადაში). ერთად და მეორედ მშენებლის ერეგვის ირგვლივ სივრცეს და მოედნების მაორგანიზებელ ელემენტებს წარმოადგენს.

მურის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ცხრილში ყოველი, სასეს და ძლიერი ფორმა, იგი საოცრად ადამიანურია და ინტიმური, ამიტომ მის ქანდაკებებს განსაკუთრებული სიმეულდრევე და სიბოთ შეაქვთ იმ გარემოში, სადაც დგანან. გავისსნეთ პარიზში, იუნესკოს შენობის წინ დადგმული კომპოზიცია, ფლორენციის ნაციონალური გალერეის უბოში და მათეს ეკლესიის წინ დადგმული ქანდაკებები და სხვ.

თანამედროვე იტალიელ მოქანდაკეთა შორის დღეს ფართოდ არიან ცნობილი ჯაკომო მანცუ, მარინო მარინი, მესინა, ემილი გრეკო, ჯაკომეტი და სხვ.

უფროის გალერეის წინ, არ არის დიდი ხანი, რაც დაიდა მარინო მარინის კომპოზიცია „ქალის ტორსი“. ჩემი აზრით, ეს ქანდაკება, არც მარინო მარინის საუკეთესო ნამუშევარია და მხატვრულადც და სიფრცობივადც სინიორის მოედნის ერთ-ერთი დისონანსია. ჯაკომო მანცუს შემოქმედებას იტალიის თითქმის ყველა ქალაქის მუზეუმში შესვლებით, საკმაო რაოდენობით აქვს ქანდაკებები დადგმული სივრცეშიც, მაგრამ ჩემის აზრით, მანცუ მინცუ კამერული ხასიათის მოქანდაკეა და მისი ნამუშევრები: „კარდამოსნა“, „ინგეს პორტრეტი“, „ფონსინო პასტორიო“, „ქალიშვილი“ და სხვები უფრო საინტერესო არიან, ვიდრე მისივე „მშვიდობის მონუმენტი“ ვენეციაში, „კარდინალის ქანდაკება“ და წმინდა პეტრეს ტაძრის კარბეის კომპოზიციები რომში. რომის ახალ აერონომი „ლევიზაროდ და ვინის“ ტერიტორიაზე დგას მხატვრის მონუმენტი (ვის სახელსაც ეს აერონომი ატარებს). მონუმენტი ეკლექტიკურია, ტანი ზედმეტად აბსტრაგირებულია, პირობითი თავი რეალისტურია და ზედმეტად კონკრეტული. მონუმენტი სიფრცობივადაც არ არის მყარი, ქანაობს, მასის სიმძიმის ცენტრი დახრალია. ერთი სიტყვით, ქანდაკება არ მომეწონა, ვფიქრობ, აქ გამოირეცხა სუბიექტური ფაქტორი — ქანდაკება შესრულებულია დაბალ პროფესიულ დონეზე.

რომის თანამედროვე ხელოვნების მუსეუმი ვენეციის, ნეაპოლის და იტალიის სხვა ქალაქების მუსეუმში შესუვთან შედარებით ხალხმრავალია. ამ მუსეუმისაგან მიღებული ჩემი შთაბეჭდილება უფრო ინფორმაციული ხასიათისა იყო, ვიდრე ემოციური. ალბათ იმიტომ, რომ ძლიერად ვიყავი მონუსუსული გიტაკანის, გერუსკების, ბორგუსეს, დორიას თუ სხვა მუსეუმების შდევრებით. არეცოს, სინის, პადუას, ასიზის, ფლორენციის, ნეაპოლის თუ სხვა ქალაქების მუსეუმების ექსპონატები; დროის მიცრე მონაკვეთში (ორ-სამ საათში) ვერ შეკვილი ემოციური გადართვა. იმიტომ, ვფიქრობ, ამ მუსეუმში ჩემი დამოკიდებულება ისეთი მხატვრებისადმიც კი, როგორებიცაა კანდინსკი, შავალი, რუო, სირონი, მირო, ბოიონი, სვერინი, მორანი, კლეი და სხვები, ნეიტრალური, არაობიექტური, არაემოციური იყო, ამ შთაბეჭდილებების საპირისპიროდ, რომელიც ამ ედრე, პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუსეუმში განვიცადე ამ რამდენიმე წლის წინათ ამ მხატვრების და კიდევ სხვა თანამედროვე შემოქმედთა ნამუშევრების გაყნობისას.



რომის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები შეხვდებით ჩვენი საუკუნის მხატვრობის ყველა „იზმის“, ყველა მიმდინარეობის შემოქმედს: აბსტრაქციონიზმის მამამთავარს კანდინსკის და კინეტიკის აპოლოგებს ნაუმ გაბოს, სიურეალისტ სალვადორე დალის და პოპარტისტ ოლდენბურგს, ერთი სიტყვით, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა მიმართულების წარმომადგენელს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი საინტერესო მოვლენა: მუზეუმის სპეციალურ პატარა დარბაზში უნებურად დაფიქრებას ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებაზე თუ ცალკეულ მიმდინარეობებზე. გამორჩენილი ხელოვნებისმცოდნეები კიბხულბენ ლექციებს და იქვე პასუხობენ ყველა ხელოვნების მიყვარულისა თუ უბრალოდ ცნობისმოყვარე დამთვალიერებლის კითხვებს, მე და მოქანდაკე ირაკლი ოჩიაური დავსწარით დიაფილმ-ლექციას. ენის არცოდნას არ შეუშლია ჩვენთვის ხელი, რომ მივხვდეთლითვით ლექციის თემას, რომელიც ესებოდა ზოგადად აბსტრაქციონიზმს, როგორც ფილოსოფიურ-ეთიკური მიმდინარეობა და კერძოდ, მისი მამამთავრის ვასილ კანდინსკის შემოქმედებას. იქვე გვერდიით დარბაზში, პარალელურად, მასწავლებელი პირველი-მეორე კლასის მოსწავლეებისათვის კიბხულბენ ლექციას ხუან მიროს შემოქმედებაზე. მსგავს სცენას წაგაწყდით ფლორენციამო; უფიცი გალერეაში და ვატიკანში. უფიციში, გვრთუწოდებულ ბოტიჩელის დარბაზში იმპროვიზებულ შეხვედრათან (საკუთარ სახატავ დაფუტთან), სასკოლო ჩანთებზე ისდნენ რვა-ათი წლის ბავშვები და მასწავლებელი მათ ბოტიჩელის სურათზე „ვენერას დაბადებაზე“ და მის ავტორზე ესაუბრებოდა. ამ სცენამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მართლაც, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულიერი აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის გაუღვიძო მას პატარაობიდანვე მშვენიერებისაკენ სწრაფვა და აგრძობიზონი მთელი ცხოვრების მანძილზე მისი წვდომის აუცილებლობა. აღბთ მაშინ ადამიანი უფრო ადვილად და მალე ჩაწვდება კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმისა და სიყვარულის არსს და მას აღარ გაუძნლდება იპოვოს სილამაზე და მშვენიერება იქ, სადაც სხვა მას ვერც აჩნწვენს.

შთაბეჭდილებები რომის სიქსტეს კაპელის მოხატულობაზე უფიცი გალერეაზე, ვილა ბორგესეს მუზეუმზე და ფლორენციის სინიორის მოედნის ანსამბლეზე მე გაუუზარებ ურნალ „განთიადის“ მკითხველებს 1975 წლის მეორე ნახევარში, მაგრამ აქ მანძი მინდა გაკვიმეორ: საკმარისია ნახო სიქსტეს კაპელის მიქელანჯელოსეული მოხატულობა ვატიკანში, „ბოტიჩელის“, „გაზაფხულის ალგორია“ ფლორენციამო, უფიცი მუზეუმში. მარკუს აგრელიუსის მუნუმენტი კაპიტოლიუმის მოედანზე რომში, რომ დარწმუნდენ თუ რაოდენ დიდია ეტრუსკული ხელოვნების შედგომის „ძუ მგლის“ მხატვრული და სიმბოლური მნიშვნელობა ქვეყნისათვის, რომელმაც არა ერთი და ორი რომი და რომული აღუზარდა მსოფლიოს პროგრესულ სამყაროს მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ბოტიჩელის თუ სხვა ტიტანების სახით.



აღმამინებსა და მათ მიერ შექმნილ ნივთებს შორის არსებობს ურღვევი ობიექტური კავშირები. საგნების სამყარო ასახავს ადამიანურ სამყაროს, მასში არიკვლება ადამიანთა სოციალური დამოკიდებულებანი. თავის კლასზე, ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებაზე რეალობას სწორედ საგნობრივ გარემოში პპოვებს. საგნობრივი გარემო, როგორც მთლიანობა, ბევრად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებისეული მოღაწეობის საშუალებებსა და ფორმებს. იგი გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე, რამდენდაც მოქმედებს ყოველდღიურად გრძნობაზე, ხილო გრძნობათა შემწეობით ადამიანის გონებაზე, მის ფსევულობით ორიენტიციებასა და განწყობაზე. ამავე დროს, იგი აქტიურად ზემოქმედებს ადამიანური დამოკიდებულებების სასიათზე, თამაშობს კატალიზატორის როლს.

ცალკეული ნივთებისა და ნივთობრივი კომპლექსების ემპირიული აღწერისა და ფუნქციური ანალიზის პარალელურად დენ ინტერესს იწვევს ნივთების სოციალური არის კვლევა, უზრადღების გამახვილება საგნობრივი გარემოს სოციოკულტურულ მახასიათებლებზე, ნივთის განხილვა ესთეტიკურ, სემიოტიკურ და სოციოკულტურულ ასპექტში.

კაცობრიობამ, როგორც ამას დიხაინის საბჭოთა მკვლევარი ალექსანდრე რაიბუშინი აღნიშნავს თავის ნაშრომებში, შექმნა კომუნიკაციის განსაკუთრებული საგნობრივი ფორმები. ასეთია, ნავალითად, ადამიანის ჩაცმულობა, რომელიც თავის უტილიტარულ ფუნქციასთან ერთად, იძლევა სპეციალურ ინფორმაციას მისი პატრიონის სოციალურ ან პროფესიულ მიკუთვნებაზე. (წოდებრივი ჩაცმულობა, სამხედრო ფორმა, სხვადასხვა უნიფორმა), ან მისი ცხოვრების განსაკუთრებულ სიტუციაზე (საზღვიო ან სამკოლიკარიო ჩაცმულობა). ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს ქუჩების, საცხოვრებლის მოწყობა.

ინფორმაციის და მასობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური წყაროების (პრესა, რადიო, ტელევიზია) რეკლამეკური განვითარების მიუხედავად, თანამედროვე ადამიანი სხვა საშუალებებთან ერთად, გარემოში ორიენტაციისათვის კვლავ მიმართავს საგნებისაკენ მიღებულ ვიზუალურ ინფორმაციას. საგნები ასრულებენ ორიენტირის როლს.

სოციალური სიმბოლიზმი, როგორც ამას განმარტავენ საბჭოთა ფილოსოფოსები ე. ი. ბასინი და ვ. კ. კარსონო — ეს არის სოციალური დამოკიდებულებათა რეგულაცია სიმბოლური კულტურული ფორმებით (ჩვენს შემთხვევაში ეს საგნობრივი გარემოა). სოციალური სიმბოლიზმის სფეროში ადამიანის ყოველი მოქმედება იღებს რიტუალურ, პრესტიჟულ-სიმბოლურ აზრს.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში სოციალური სიმბოლიზმი საგნობრივი დამოკიდებულებების კვლავწარმოების მექანიზმად გვევლინება. სხვადასხვა ჯგუფებს შორის სოციალური დისტანციების ფიქსირების მიზანს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ემსახურება ცხოვრების განსაზღვრული სტილის დამკვიდრება — ადამიანისა და მისი გარემომცველი საგნობრივი სამყაროს ურთიერთმოქმედების სიმბოლური მოდელი.

ცხოვრების სტილი ემსახურება არსებული სოციალური ჯგუფების განმტკიცებას, მათ შორის ხილული საზღვრების

# ადამიანისა და საზნის დამოკიდებულების

## ზოგიერთი ასპექტი

მიხეილ სოლოვიოვი, ნოდარ სუმბაძე

გატარებას. საგნები აქ გვევლინება საზოგადოებაში ადამიანის ადგილის ზუსტ მაჩვენებლად.

საგნობრივი გარემო განსაზღვრავს ადამიანის, ან სოციალური ჯგუფის ერთგვარ „შესაძლებლობათა კიბეს“. ამ კიბის ქვედა საფეხურზე მდგომი ჯგუფის წარმომადგენელი ცდილობს თავისი სოციალური სტატუსის ამაღლებას. „ცხოვრების სტილის შეცვლის“ ერთადერთი საშუალებად მას ევლინება ნივთობრივი სამყაროს არსებული კომპლექტის განახლება, გადახალისება. ყოველი ნაყიდი ნივთი ჯაჭვური რეაქციით მოასწავებს შემდეგს. რაღაც მომენტებისათვის ნივთობრივი კომპლექსი იცვება. ადამიანი უტოლდება საზოგადოებრივ სტანდარტს. მაგრამ აქ საქმეში ერევა მოდის ახალი ტალღა, რომელიც რეკლამაზე დაყრდნობით კვლავ თავიდან იწყებს ამ პროცესს.

მსგავსად მებადურის ცოლისა „მებადურისა და ოქროს თევზის“ ცნობილ ზღაპარში, ადამიანი მუდმივად დაუკმაყოფილებელი გრძნობებისა და სურვილების ტყვეობაშია, რასაც შედეგად მიზნ რეალური სამყაროს გაღარბება მოსდევს. ნივთების გაღმერთებას ბურჟუაზულ საზოგადოებაში მოჰყვება ნივთის სოციალური დანიშნულების მისპობა, მისა გადაქცევა საშუალებიდან მიზნად.

„ჩვენ ვაწარმოებთ ნივთებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ადამიანები, და ადამიანებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც ნივთები“ — ამბობს ერის ფროიდი.

ნივთებს ადამიანზე ზემოქმედების დიდი ძალა გააჩნიათ. ადამიანი გარემოცულია ნივთებით, რომლებიც უნდა ემსახუროს მას, გაუადვილონ ცხოვრება, დახმარონ ბუნების დამორჩილებაში. ერთ დროს ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციის შემანარჩუნებელი და მაგიური კულტის ხელშემწყობი ნივთების მოკრძალებულმა ნომენკლატურამ დღეს გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია.

სასიცოცხლო საჭირო სამომხმარებლო ნივთებთან ერთად, იზრდება ადამიანის დასვენების, ესთეტიკური ტკბობის, ინფორმაციის მისაღები ნივთების რაოდენობა.

ადამიანს აქვს ბუნებრივი სუბიექტური მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად იქმნება ახალი ნივთები, ნივთთა წყება.

მოთხოვნილებების დიფერენციაცია განაპირობებს საჭიროების რაოდენობებზე ზრდას, რასაც თავის მხრივ მოჰყვება ახალ მოთხოვნილებათა წარმოქმნა და ასე უსასრულოდ.

თუ როგორ ახსურდამდე შეიძლება მივიყვანოს ასეთმა სისტემამ, კარგად ჩანს მოსკოვში, დიხაინის IX კონგრესზე

მიყვანილი მაგალითებიდან: პარიზში მომხმარებელს სთავაზობენ ერთი და იმავე დანიშნულების 236 სახის ჩაქუჩს, ამსტერდამში — 500 მოდლის ტელევიზორის, აშშ-ში 21336 ტიპის სკამს. ეს პროცესი, რომელსაც საფუძვლად უდევს ფუნქციისა და ფორმის მიხედვით ასორტიმენტის მრავალფეროვნების გონივრული იდეა, მაგრამ უზომოდ მიკერტოფირებულია კერძომესაკუთრული კონკურენციით, განაპირობებს საგანთა რიცხვის გიგანტურ ზრდას. სხვადასხვა სახის ინფორმაციით გატენილი სამყაროში საგნობრივი ქაოსი ქმნის დისკომფორტს და იწყებს მიველ რიგ უარყოფით სოციალურ მოვლენას.

საგნები ადამიანის მეგობრებიდან მისი დემონები ხდებიან. დასავლეთში, კრძმობენ რა ნივთობრივი სამყაროს აგრესიულობას, ცდილობენ რაიმე საშუალებით აღაგონონ ეს პროცესი. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს ერთჯერადი და ხანმოკლე ხმარების ნივთების წარმოება, რომლებსაც თავისი ეკონომიური საფუძველიც აქვთ: როდესაც წარმოების ინდუსტრიალსაცია ამცირებს პროდუქციის საწარმოო ღირებულებას, სარემონტო სამუშაოები კი ატარებენ კუსტარულ ხასიათს, დგება მომენტი, როცა ეკონომიური ინტერესების უფრო გამართლებულია შევიდინოთ ახალი საქონელი, ვიდრე გაავრცოინოთ ძველი. მეორეს მხრივ, ტექნიკური პროგრესი განაპირობებს საგნების სწრაფ მორალურ დაძველებას. მესამეც — ახალი არაპროგრამირებული მოთხოვნილების წარმოშობა აზრს უკარგავს დიდძალი თანხების დაბანდებას სტაბილური პროდუქციის წარმოებაზე. ხანმოკლე ხმარების ნივთების წარმოებაში თითქოსდა დადებითი როლი უნდა ითამაშოს საგნობრივი ფექციონიზმის პრობლემის დაძლევაში, მაგრამ რეალურად ჩნდება ახალი ფექციონი — იწყება საგნების სწრაფი ცვლის პროცესი, რაც დღეს პრესტიჟული შეფასების ახალ კრიტერიუმად გვევლინება.

ნივთების მხარვეზობა ერთად, ხანმოკლე ხმარების ნივთების წარმოებას უარყოფითიც ახლავს, რაც გამოისატება ბუნებრივი რესურსების უმოწყალო გაფლანგვაში, მოხმარების შემდეგ კი ეს საგნები გარემოს გატუქვანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად იქცევა.

საგნებთან ადამიანის დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად ამარტყვებს გაქირავების ზედმიწევნით დამუშავებული თანამედროვე სისტემა. რეკლუკიამ საგანთა გაქირავების სისტემაში კიდევ უფრო მამყირო ადამიანის საგანთან ურთიერთობის ხანგრძლივობა, მაგრამ დამოკიდებულებათა ექვემდებარება ვერ სპობს კაპიტალისტური სამყაროსათვის დაბამიან-





თველ საგნობრივი გარემოს ანტიგონიზმს ადამიანის მიმართ, რაც შეუძლებელია მარტო დიხაიანის მეთოდებით, სინამდვილე გვარწმუნებს, რომ სასოვადღობის გარდაქმნა დაფუძნებულია მხოლოდ სოციალურ-ეკონომიური ტრექტურის გარდაქმნაზე.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ არსებობს სამი ხერხი, რათა აიძულე ადამიანი წმენდებულ იქნეს: ძალადობა, მიშწილი და მოთხოვნილებათა ხელახლება ზრდა. კაპიტალიზმის საწყისი ფაზისათვის დამახასიათებელი მიშწილი და ძალადობა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში გადაიზარდა ექსპლუატაციის უფრო დახვეწილ ფორმაში — მოთხოვნილებათა ესკალაციაში, რომლის მიზანი პროდუქციის გასაღება და მუშაობის სტიმულირებაა. მოთხოვნილების ხელფერხი ესკალაცია იწვევს სასაქონლო ფექციზმს, საგნობრივი გარემოს პიპერტროფიულ ზრდას და მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებს. ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მანამდე, სანამ არ დაიბეჭდა კომუნისმის უბაღლისი ფაზა, სოციალისტური მოთხოვნა ვეკაცრეს უმკაცრეს სასოვადღობას და სახელმწიფოს მხრიდან მოხმარებისა და შრომის ოდენობაზე, სოციალისტურ სასოვადღობაში შექმნილია სამრწველო ასორტიმენტის შემუშავებისა და ურთიერთობათა სისტემების პროექტირების უნიკალური შესაძლებლობები. სოციალისტური ურთიერთობანი განათავისუფლებულია მოგებაზე კვირთქსაკუთრული ორიენტაციისაგან, რაც წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების, წარმოებისა და მოხმარების პარამიონული კავშირის საფუძველს.

გასასაღებელი პროდუქციის ფუნქცია ჩვენთან სცილდება გასაღების თვითმიზნს და მომხმარებლის პიროვნების უორმირების ერთ-ერთ საშუალებად იქცევა.

სოციალისტური სასოვადღობა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას საგნობრივი გარემოს ორგანიზებისათვის.

ჩვენს პირობებში დიხაიანი უნდა მოქმედებდეს როგორც სამრწველო ნაკეთობათა საიმომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებისა და ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საშუალება, აგრეთვე როგორც სამრწველო და მოხმარების სფეროების ოპტიმალური ურთიერთდამოკიდებულებების მარეგულირებელი.

ამ ამოცანის შესრულებაში დიხაიანი უნდა იყენებდეს მოდას, რომელიც ნათლად ასახავს სასოვადღობაში მიმდინარე სოციალ-კულტურულ პროცესებს. ინფორმაცია ამ პროცესების შესახებ კოდირებულია უტალიტარული საგნების გრძობადა-აქმით ფორმაში.

შუამდ თანამედროვე ეტაპზე საყოველთაო, ყოვლისმომცველი მოვლების ხასიათი მიიღო. მიოდის გლობალურ ბუნებას ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და როგორც მისი შედეგი, კომუნეციაციის საშუალებათა ინტენსიური განვითარება. ძნელია მოიძებნოს სასოვადღობებში ცხოვრების სფერო, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით არ ექნებოდეს მიდის გავლენა. მოდა წარმოადგენს იდეოლოგიური ზეგავლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მისი მეშვეობით რეგულირდება სასოვადღობის მოთხოვნილებანი, მკვიდრდება მაღალსეთეტიკური გემოვნება, იქმნება სასოვადღობის ოიუურ-ფსიქოლოგიური სახე. მიოდის სწორად წარმართვით უნდა ეფერხილიყო მომხმარებელურ ფსიქოლოგიას, რომელიც დიდ მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს ჩვენს სასოვადღობას.

ბურჟუაზიულ სასოვადღობაში დიდძალი თანხმობით დება საგნებისა და, საერთოდ, ცხოვრების წესის რეკლამა. მიოდის ინდუსტრია ძალზე მაღალპროფესიულ დონეზეა. სწორედ ეს მომენტი გვახდლებლებს უფრო ავამაღლოთ ჩვენი მრწველობის პროდუქციის ხარისხი და ამით რეკლამა გავუკეთოთ ჩვენს გარემომცველ საგნობრივ გარემოს, რომელიც ჩვენი ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ აკრძალვებლი დ ინსტრუქციების საშუალებით დაძლიებული მომხმარებელი შეიძინოს რეკონდენებული ნივთები. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთ მიდგომას მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგები მოჰყვება. ჩვენი ამოცანაა ავირჩიოთ უფრო რთული გზა და სასოვადღობის სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური და ესთეტიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, კომპლექსურად შევისწავლოთ მიოდის, რეკლამის, ოპტიმალური ასორტიმენტისა და საგნობრივი გარემოს ფორმირების სხვა სოციალური პრობლემები.

სხეული. ახალი დროის თვით სასეკულარუად კოლორისტული  
ფერწერაც კი ვერ იძლეოდა ფერის, სახელოვანი როგორც ფერის  
ხელოვნებას, რამეთუ კოლორისტს აქ სულ სხვა ამოცანა ჰქონდა  
ვადამწევეტი — ეკვდა და ეკვდა ვადღრმეებთან მონავანი ცხო-  
ვრება ადამიანის სუბიექტისა, და ადამიანის სულის უსასრულო  
შესეკა. მხოლოდ ანტიკურობაში არ არის ფერი არც ფსიქიური  
სქემა, არც სუბიექტურ-ადამიანური პროცესი, არც სულიერი  
სიმბოლო. ფერი იქ უბრალოდ ფერი, უბრალოდ ფერი და რამდე სანგა-  
ნიშობლიანი სავნობობა და ფიქტურობა. არ, რამდე იყო  
ანტიკური სულტურა მოხატული და რამდე იყო, რომ ქანდე-  
ბეშისა და შერბუნების შეფერადება მანამ ცულ ეგვერდებდა არ  
თვლებოდა, არამედ პირიქით, იგი იყო შედეგი მხატვრის შემო-  
ქნელობითი ნების უმაღლესი, უღრმესი და უფაქიუხი მიღწე-  
ვებისა.

მაგრამ როცა ასე ვხსენებოთ, შვიდობა მერევე ევლერეო-  
ბაში გადავირდებო და გადავიპირბო. კარგად უნდა გასაზრდეს  
რომ სხეულის წარმოებასა და სულის აბსტრაქტულ-ამაღლებული  
სიღამაშის შეფერადება მინიერი ფერებით არ ნიშნავს სიღამაშის  
დამწახს მიწერი ასსოლტურტიკაში, წრადლობად ადამიანურ  
ყოფაში. ვიმეგობრე, აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს მთელი ამ  
აბსტრაქტულ-ამაღლებული სულიერი კეთილშობილების განდ-  
ვებრებას. ხომ მაინც ფაქტად რჩება, რომ თუ ანტიკურ მარმარო-  
ლებებს ვადავკობთ საღამაშებს, ისინი ისეთად ვარმოვადგენან,  
როგორცა ახლა ვხვდავთ ჩვენს მუხედვებას და აღმარობაში. ეს  
იმას ნიშნავს, რომ დასავლეთევერობული სიღამაშე, რომისულ  
ჩვეულებრივად ყველა ხედავს ანტიკურ სულტურაში, არა  
მარტო საერთოდ არ არსებულა ამ სულტურაში, არამედ მხო-  
ლოდ მისი აბსტრაქტული მომენტა, ერთი მხარეა, ყველა დანარ-  
ჩინნად ხელოვნებად გამოყოფილი. ევროპელი ადამიანი ეს  
ყოველთვის ასე ეკიდებოდა ანტიკურობას, ის არასოდეს „აღორ-  
ძინებდა“ ანტიკურობას მთლიანად, და დიდი ხნის წინათ საქარ-  
ეო კულტურის ზუსტი აღორძინება და გაყოცხება შეუძლე-  
სულად იქნებოდა ციკლობობის ისტორიისათვის, რომელიც უკ-  
ლოვების წინ მიღის და არც ძალბუნ მთლიანად დაუბრუნდეს შე-  
მიცნების ძელს. მირჩინს „ბადრის მტყარცნელი“ და პოლილე-  
ტურა „შუბოხანი“, თუკი მათ ზედმეწევეტი და მთლიანად „ავადორ-  
ძინებენ“, აღმათ, არაკვის დაიბრუნებდა ახალ დროში, რომ-  
მელიც ანტიკურობისთვის უცხო სულიერ მოძალებებშია დანიჭ-  
ებული ეს „კვადრატული“ დროგორიბის, მიხედვებად მთელი მისი  
„სიამაშისა“ და ეს აღდგომოვნებულ ბადრის მტყარცნელი, მ-  
უხედავად მისი სპირალურსახოვანი სიერცილობისა, ვერ უახ-



ლოდებიან დღევანდელი ცხოვრების სულიერ, კულტურულ, სა-  
ჯგუფობრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში. აღორ-  
ძინება „აღორძინება“ არა თავად ამ ქმნილებას (დირიჟებისა-  
თვის ეს ქმნილება მოსაყენი და უფროდ იქნებოდა), არამედ  
მაის უკვლავ დასული და საერთადადმანირ აბსტრაქტულ მხა-  
რს. აი, რაგონაა, რომ უკვანია ერთმანდა უარყოფენ და უარ-  
ყოფენ ანტიურ პოლიტიკის, რომელიც, რა თქმა უნდა, ევრო-  
პული აბსტრაქტულ-სულიერი გომეგნებისათვის მისტიცხად, პერ-  
ტიურია და აბტენტული იყო.

ეს მხოლოდ პოლიტიკის მიმართ არ მოხდარა, ჩვენ ანტი-  
კურობიდან ვიღებთ მის გომეგნებას, მაგრამ ამის იქით უკვე აღარ  
ვფიქრობ, რომ მანკაუროს საწყისი — კვადრატული, კუთვრი კი—  
წაგრძობლება სწორკუთხედი. ჩვენ ვისარგებებით აბტიურად იფი-  
ცი იმის შესახებ, რომ მატერია იყოფა ატომებად, მაგრამ, დე-  
მორკრება მსგავსად როდეს ვამბობთ, რომ არსებობს მრავალი, მრუ-  
დუ, კაუქსისებრი, დავიბილილი და ა. შ. ატომები. ჩვენ ვსწავლობთ  
კომორ ელემენტებს, მაგრამ დღევანდელი ქიმიისთვის სასალო-  
ვამენტების ანტიური დაყოფა მიწად, წყლად, მკრად და ცეც-  
ხლად ზუსტად ასევე ევროპულ დემოკრატიკონგრესებსა და ლიბერა-  
ლებს უკველოფის იზიდავდა რეპორტიული არსებობის იდეა,  
რომელიც აღმოსავლური დემოკრატიის შემდეგ პირველად ანტიურ  
სამართლო განხორციელდა. ფრანგ რევოლუციონერებს უფარდა  
ანტიური დემოკრატიული საბჭოების მოუხვევა და „იბაძევა“, მა-  
გრამ აქაც ანტიურობიდან იღვდნენ მხოლოდ შოულებ და განე-  
გებულ იდებს და არა იმ იდებს უკვლა ისტორიულ „საღებავს“: ამ  
აღმანებებს ავიწყდებოდათ, ან არ უნდოდათ სკონდნოთ, რომ ან-  
ტიური დემოკრატია მონაშობილებული იყო და უფკარო მონაა  
ბრბობი, რომელიც მხოლოდ სახლები და მტესალები ჰქონ-  
და (მსგავსად შინაური ცხოველების). ანტიურებს უქმნილდე თა-  
ვისუფალ მონაშობის, ფაქტიურად წარმოადგენდნენ ეკონომიურ  
ბაზას. ამ მონაწილეობდნენ პოლიტიკაში, არ ჰქონდათ მოქალაქე-  
ობრივი უფლებები და მხოლოდ ფიკარბას ქმნიდნენ „თავისუფ-  
ლად შობილითის“. განა ასეთი არა სურდა ბურჟუაზიულ რე-  
ვოლუციის დასავლეთში? აი, საბჭოელი კი ანტიური მცვალი!

ზუსტად ასევე, აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპულს კუ-  
ლტურამ სახეობილი დივიზა, რომ ანტიური დემოკრატია განახი-  
ბრებენ უკვლავ სახილარო მანერებებს: მანერებებისობის,  
ქვეან გრძობის, იხი ბელეგონობას და გაყენებლობას. ეს დე-  
მორკრება ერთმანეთს ატუებენ და მუდამ ერთმანეთს ჰკანენ, ილან-  
დებიან, ჰკრობავენ, ჩხობავენ, ფარკალიანობენ, მმარკალიანობენ,  
აღმანებებს ერთმანეთს უსისხლები, ზოცავენ და ა. შ. კრულ  
გრძობნობა ან თაოგოდან აღორძინება აღილი ის, რაც იყო უკვ-  
ლავ მშვენიერი, უკვლავ კეთილშობილური, უკვლავ დიდებუ-  
ლი, გასხიგონებულ-მგრძობილობითი, დივიწყებს, რომ ამოლინ  
ბელეგდერული მანაშავალია, რომ იგი საკუთარი საბოუნებისათვის  
აღმანებებს ისრები ზოცავს, სამაგვიროდ, დამახსოვრებს, რომ  
იგი ახლავარდა, აღნაგი და ლამაზია, რომ მას ამშვენებს ჟიკოს-  
ფერი იმა, რომ ის ხელეფუნება მოყვარული და მფარველია. ვი-  
ნკლემანა, რაც ატეცებით აღიღებდა ჰაბუკი ამოლინ ბელე-  
დერების გახუფელისობს სილამაზეს, ვერ შეინახა თუნდეს ის  
მეფანტური მანერობა და მოჩვენებითი პარადობა, რომ-  
ელსაც ჩვენ მასში დღეს აშკარად ვგრძობთ, რომელიც ვგაიჟო-  
ვდებ, რომ მასში უკვე არამარტო კლასიკა, არამედ კლასიკიზმიც  
დაინახოთ. დივიწყებს, რომ მერმესი არამადა და ონანშითი  
რეანის ხალხს, რომ „მუშაურე დედა“ დემორკრატიის მისულ იაზმა  
დახმარავდა მსჭურბორების მუხობით, ხლო აფრდილეთ უკვლა  
მტყვის მფარველია და თავადც, მეტი რომ არ ვთქვათ, დიდი  
მრუთია. მაგრამ, სამაგვიროდ, ჩვენ უსახიშნავად ძაღვები ჩაწე-  
ვდით ლისიეს გაირიღებულ მერმესის დასაბულად შვიდ, ნების-  
ყოფით აბტედლი, ერთი წაით უქანის სილამაზეს, აგრეთვე ფი-  
სურად ვიგრძნობთ სიდილად დემორკრატიის ნახი და ჩავარდნილი უკრი-  
მადები, მისი ღრმად ჩაირული თვლები, მისი იდევ მუშუბული  
ქუთუთობი, უსაზღვრო სიკეთე და კაცუნა, ენითოქმედი თე-  
ნიერება მისი ხეობისა და ბაგებისა და ნათელი სიწმინდე მისი  
შუბლისა. სა მიითი ეფმდერთი დიორამების ჰრაკტიკულს უფ-  
როდეთ კნდლებს დიბილს, რაცა ის წინასწარ ტეხებს ზღაწი-  
ნანაობის მოსაღდდელი ბედიერებები და საერთოდ, რა ილად-  
გადავაქიყო უკვლა დემორკრატიის სილამაზედ, ნათელ, უტკრილო

ტეხობად, უტრუბლი იდეალისა და საყოველთაო მშვენიერებეს  
ნათელ მითად უკვარტერა, რომ აღორძინებას აქვეყნებდა  
დაშლა უკვლა „საღებავი“, დივიწყებს მისცა უკველი  
ქუქიანი, გულისმარევი, უღირსი, მითლი ამ კრელი და ავირახს-  
ნილად გრძობის დიდიან მხოლოდ მისი განეგნებული სტრუ-  
ტურა აილი, მხოლოდ ის, რაც სულა, გლვიც და შელამაზებლი  
იყო, ის რაც არ ენითარობდა ბურჟუაზიულ მრადს და უკვე-  
დევ ეს არ დიდებულ და მონარკონი ბაწურად, ან კიდევ უფო-  
ლეს, სალონურ და მომზობილად საშვენისად და სახავში თო-  
კინების კომოდია აქცია.

ზუსტად ასეთია ანტიური სულტურასთან ჩვენი დამოკიდ-  
ებლობა. ჩვენ აფფორგანებელი ვართ ანტიური სულტურის  
სილამაზით, სირმით, აბსტრაქტულ-მაღლებული დიდებულები-  
თა და კეთილშობილებით, მაგრამ ჩვენ უფალბელეუვათი პოლი-  
ტიკაში, რომელიც ისევე სასალოლად და დაურტერად გრჩენენ  
ბა, როგორც ცოფრ არა წარმოიღვდა (ანმრტილობად, ხოლო 10-  
ისა უმარტეს მხოლოდ სრულქმნილობად,  
და მაინც, ანტიურობას ასე ესმის თავისი გომეგნია, თავისი  
არითმეტიკა, თავისი ატომისტიკა. ანტიური მშვემენების ისტორი-  
კოსო თავის ნამშვენიერებში უნდა ასახოს სახლებობის, თუნდაც  
ცნობილობის, მაგრამ სამაგვიროდ, სწორედ რომ საკეთილური  
ბუნება ანტიურობისა. ანტიური გომეგნისა და არითმეტიკა უნდა  
მშვემენებს სწორედ ამ უსწარმოებლობითურა. ანტიური სულ-  
ტურა კი მთელი მისი კრელი პოლიტიკითი. და თუ აბსტრაქტულ-  
პოლიტიკობული სულიერი სისახე და სიზიდავ, საღებავები რომც  
წარმოიღა, აქ მაინც რება, მაშინ, ცხადია, რომ წაუხლოლდეც ეს  
საღებავები არ უფილად ანტიური ქანდაკებების ერთადერთი მშვე-  
ნება, არამედ მხოლოდ ერთი მომენტია ამ მშვემენებისა, რადგან-  
იერი მონაგანი კონტურია, რადგან იური და აბსტრაქტული მონაზაზია.  
ცოცხალი აღმანაწი სხეული უნდა ავილით მთელი მისი პოლი-  
ტიკითია და ფერადგანი სხეულებითი. თუნდაც ეს ვეაქლ-  
დვდეს საღებავების მფარვლად სიკრულად და საქირა ამ ფერადგან-  
ის ქანსალობის მიღმა დივანახო მისი უღრტეწველი და ზეაღად აბ-  
სტრაქტულ-სულიერი საფუძვლები. მხოლოდ მაშინ ჩაეყრება სა-  
ფუძული ანტიური პლასტიკის სწორ გაგებას.

მაშ ასე, ვაუალებთ ჩვენს მორავ თუხის.  
IX. ის, რასაც ჩვენ ვხედავთ მუშეგნების და აღმობების  
უფალბელი თორი მარკალიანო ქანდაკებში, ანტიური კი არა,  
დასავლეთევროპული, აღორძინების სილამაზე, რადგან ეს სილა-  
მაზე მხოლოდ ანტიური სილამაზის აბსტრაქტული მომენტია და  
აზარალი კონტურია, რომელიც მოითხოვს კრელი და ქანსაბრი  
მგრძობილობისა და ფერადგანებით იმეგვრად აღვხედოს, რომ ამ  
სილამაზეს თავისთავად მნიშვნელობა კი არ ჰქონდეს, არამედ  
წარმოადგენდეს სწორედ ამ უკანასკნელი, მთლიანი სხეულებრივი  
ცხოველების იდეას.

მნიშვნელოვანი ფაქტები უფლებს არ ვეაქლდვენ, რომ უფა-  
ლი თერამარკალიანო ქანდაკების სილამაზე ანტიური სილამა-  
ზედ ჩაეთვლით, ამ სილამაზეში არაანტიური აბსტრაქტულ-მაღ-  
ლებული კეთილშობილებს სულის, რომელიც გრძობილობის  
კრული ქანსად ისწრაფვის უსხეული ფორმების ცივად უტრის  
მუშეგნებას სამარკალიანო... ამ უფალი თერამარკალიანო სილა-  
მაზის უღრტეწველ კერტობობაში არ არის ქემსარტიკად ან-  
ტიური სიშველად, აქ მნიშვნევა განდგომა იღვლა მზარევი და  
რომანტული ნაველი სუბიექტისა, რომელიც თავისი თავის ამა-  
რა დარჩენილი. საქირა, რომ მიწას მივსალოლდეთ ეს აბსტრა-  
ქტული სულიერება საქირა, იგი ავჯსით მიწერი ფერებით,  
ისე, რომ არ ვითარობით ხახასა, კრელი, მფარვლა ტინები. უფ-  
რი მარტივად რომ ვთქვათ, საქირა კი აბსტრაქტული სულიერება  
ეპკითო სხეულებად, ანუ სამგანზომილებიან და პოლიტიკობულ  
ხელეფლებად, რამეთუ ჩვენი მუშეგნებისა და აღმობების თორი  
მარკალიანოს უფალი ქანდაკებათა სილამაზე სხეულის კი არა,  
სულის სილამაზეა. იგი არაა სამგანზომილებიანი, არამედ უფალი-  
მილები, უსასრულიდ რომანტიკული, ეს სილამაზე დასავლეთ-  
ევროპულია და არა ანტიური. იგი თვითარბამეგული სუბიექ-  
ტის ნაველით არის დასახეს.

დასასრულად, ჩაკი მოიგობილეთ ანტიური სულტურების სხე-  
ულოვანა პრინციპი, უნდა მიუბრუნდეთ იმას, რაც საფუძვლად  
უდებს საერთოდ მთელ ანტიურ ხელეგნებას. სხეულის, ვითარცა

სხეულის ასახვა რატომაც კონსტრუქციული პრინციპი მთელი ანტიკური სკულპტურისა და მთელი ანტიკური ხელოვნებისა? რატომ გახდა ერთბაშად ვახანები, რომ აღამაინაში პირველბარისხოვანი მნიშვნელობა მხოლოდ სხეულის ენიჭება და არა თავად მას მთლიანობაში? რატომ მოხდა, რომ თვით ცნება ადამიანისა, არსებითად უსასრულო და უკვდა კულტურაში სხვადასხვანაირი, აქ ავებული აღმოჩნდა მხოლოდ ადამიანური სხეულის ტიპით, თუნდაც ეს ტიპი შესანიშნავად იყოს ორგანიზებული და დამოუკიდებლად გაფორმებული? აქ არ გავიმორჩებთ მონათმფლობელურ ფორმაციაზე ჩვენს წინარე მსკელობებს, მხოლოდ ჩამოვყავილებით იმ კუმბარიტებას, რომელიც ჩვენთვის ამოსავალი წერტილი იყო ანტიკურობაში „ადამიანური“ ხელოვნების ანალიზის დროს. ჩვენც ამ ფორმულით უნდა დავამთავროთ მთელი საოქმედი.

X. ანტიკური სკულპტურის „ადამიანურობა“, რაც გულისხმობს ადამიანური სხეულის სიმეტრიას, მის სივრცისუფლ და წონად ხილვას, მისი ქვევის რიტმს, პოზას, ეხსტს და საერთოდ საკუთარი თავის ფლობას, იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანურობა აღმოცენდა მონათმფლობელური ფორმაციის საფუძველზე, წარმოების იმ მონური საშუალებების საფუძველზე, როცა მწარმოებელი იყო ცოცხალი და ვახუთიერებული ადამიანური სხეული, ორგანიზებული და წარმართული მისი ფიზიკურ-უფუთაო შესაძლებლობების შესაბამისად.

სწორედ ამ საერთო და განცენებული პრინციპს ვაკონკრეტებდით ანტიკური სკულპტურის აქ შემოთავაზებული ესთეტიკური შეფასებით.

შინაშენი:

1. Th. Yecht — «Bulletin de correspondance hellenique», 1890, 361; Th. Ballhorn. — «Zeitschrift für bildende Kunst», 1893, S. 261—267.

2. A. Conze, Über die Darstellung des menschlichen Auges in der antiken Sculptur. — «Sitzungsberichte der Kaiserlichen Preussischen Akademie der Wissenschaften», 1892, 47.

3. პოპულარული გამოცემებით თუ შემოფიფარგლებით, ფერადიანი დორიული ორდერის ნიმუშები შეიძლება ნახოთ წიგნში — «Lübke — Semrau Die Kunst der Altertums» ტაბულა თავში, ან 3. პ. გენდლინს წიგნში — «История искусства», თ. I, Спб., 1907, ტაბ. III, ან კიდევ — «Denkmäler der Klassischen Altertums», hrsg. von A. Baumeister, 1888, t. III, (46 ტაბულა, განსაკუთრებით კარგი ნახატია). ამ უკანასკნელ გამოცემაში (იხ. 1335-1343 გვ). უფრო დაწვრილებითაა საუბარი პოლიქრომაზე ანტიკურ არქიტექტურაში. რეინარტის ალბომში შეკმლიათ ნახთ ფერადიანი რეკონსტრუქცია (სხვათა შორის, საკმაო) ევინის ტაძრის დასავლეთი მხარისა. არქიტექტურის პოლიქრომაზე იხ. შრომები ზემპერისა და გეტორფისა, აგრეთვე S. Durm, Poluchrome und Konstruktive Details der griechischen Bankunst, Berlin, 1880; S. Durm, Über die natürliche rostbraune Färbung des Mramors an den Bauen der Akropolis in Athen. — «Zeitschrift für Bauswesen», 1847; I. Fenger, Dorische Pelichromie, Berlin, 1896.

4. Ганс Шмид, Техника античной фрески и энкаустики. Предисл. проф. Н. М. Чернышова. Пер. А. Н. Тихомирова, М., 1934, 23, 88.

თარგმნა ჯუშუბარ თითქაიამ.



# ორი მესაბჳრის ბამიჳენა

ელენე თულაშვილი

შხსრეთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენიობის საგამოფენი დარბაზში გაიმართა მხატვარ ქალთა — გუგა მიქაძისა და მანანა თავაძის სამუშევრების გამოფენა. რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, მოქანდაკე გუგა მიქაძის შემოგონებების კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, ხოლო მანანა თავაძე, პროფესიით არქიტექტორი, გამოფენაზე მხატვრული აპლიკაციის მეტად საინტერესო და მრავალრიცხოვანი ნიმუშებით წარმოვიდგა. პოეტური ბარელიეფური კომპოზიციები და ფერადოვანი, გამომგონებლობით აღბეჭდილი, ქსოვილია ნაჭრებით „შეხსული“ ფარდაგ-გობელენები, „კონტრასტულად“ მეზობლობდნენ და ამით თითქოს ავსებდნენ კიდევ ერთმანეთს, ხაზს უსვამდნენ ამ ორი, სრულიად განსხვავებული დარგის არა მხოლოდ სპეციფიკურად გამომსახველი მხატვრული ენის თავისებურებას, არამედ წარმოაჩენდნენ იმ ამოცანებსაც, დაზგურ და გამოყენებით ხელოვნებას რომ განასხვავებს ერთმანეთისგან.

არსებობენ „ნივთები თავისთავად“, რომლებიც არ ექვემდებარებიან აღწერას, სიტყვებით გადმოცემას. ისინი უნდა იხილო, ეს ითქმის სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა მიმართაც.



გუგა მიქაძის სკულპტურულ-რეგულირებული ნამუშევრების პლასტიკური წყობა თითქოს შორეული საუკუნეების ქართულ მხატვართა ნააზრევს ემინანება. „...ძველ ხელოვნათა ხედა ისეთივე ძლიერი და ისეთივე გულწრფელი იყო, როგორადაც შშვენიერი“ (ენგრი). კლდეზე გამოკვეთილი უძველესი გამოსახულებანი, ასურეთ-ბაბილონისა და ეგვიპტური რელიეფების მხატვრული ძალა, თანამედროვეობის მასვილი კუთხებიდან დანახული და ამის საფუძველზე შექმნილი კლასიკური მემკვიდრეობის მრავალსახეობა გვაგრძობინებს დროთა და ხალხთა მჭიდრო ურთიერთკავშირს.



გუგა მიქაძის შემოქმედებითი ძიებანი ქართული რელიეფის ხელოვნებაში პოულობს ამოსავალს. ესთეტიკურად სხვადასხვა და სტილისტურად ერთიმეორის გამომრიცხავი მხატვრული მიდგომის შერწყმის საფუძველზე შეიქმნა. ორიგინალური, მკაფიო ეროვნული კოლორით აღბეჭდილი ნაწარმოებები. „ეროვნული — ეს თვით ტალანტის ბუნებაა, გულწრფელ შემოქმედთან იგი განუყოფელია“. — არ შეიძლება არ დავეანახოთ ლადო გუდიაშვილის ამ თვალსაზრისს. ქართული ტაძრების და ეკლესიების ბარელიეფები, ჭედური ჯვრები და ფრესკები, ხეზე და ქვაზე კვეთილობანი და სხვა — ყოველივე ეს უბიძგებს მხატვარს ახალი, თანამედროვე თვალსაზრისით შეხედოს წარსულს, ამასთან ეგზოტიკური ეროვნული ატრიბუტების მექანიკური გადამღერება როდი მოაზრდინოს, არამედ ხალხური სული ჩააქოვოს ნაწარმოებში. კონცეფცია ყოფიერების მარადიული წლიური ბრუნვისა, სიცოცხლის ამოუწურავი ძალა თავისებურ გააზრებას ჰპოვებს მო-



ვახი  
როველი  
შემოღვაშია  
ჰასტორალი

ქანდაკას მსოფლმეგრძნებაში. სეანური კომინ  
„ლილო“ ჟღერს ზეგრ მის რელიეფში. ერთ-  
ერთ ნამუშევარში ადამიანები ხელგაპყრობილნი  
შეასარიან სიცოცხლეს, მზეს, მისი მანათობე-  
ლი სხივების ნაკადს... თითქმის ყველა ბარე-  
ლიეფში შეხედებით შრის სიმბოლოს, და მხატვ-  
რის კიდევ ერთი საყვარელი, ყველაზე უფრო  
ხშირად გამოყენებული სიმბოლო სიცოცხლი-  
სა — ბროწეულია. ვახთან და „სიცოცხლის  
ხესთან“ ერთად იგი ერთ-ერთ სიმბოლოურ „აქ-  
სესურს“ წარმოადგენს მოქანდაკის კომპოზი-  
ციებში. ამგვარი ხერხი, რომელიც ბევრ ნამუ-  
შევარში მეორდება, წარმოსახვის სიღარიბეს  
კი არ მიეწერება, არამედ გარკვეულ შემოქმედე-  
ბით მიზანდასახულებად უნდა მივიჩნათ. მხატ-  
ვარი მას მიმართავს მავთული განწყობილუ-  
ბის გასაძლიერებლად და მიუთითებს კავშირზე  
ხალხურ ხელოვნებასთან, რომლისთვისაც სტი-  
ლისტურად სწორედ სიმბოლიკაა ნიშანდობლი-  
ვი.

ხალხური ხელოვნების ინტონაციებს უწყობს  
ხმას ცხოვრებისეული სურათების წარმოსახვი-  
სას კომპოზიციაში ცხოველთა და ფრინველთა  
მონაწილეობა. ისინი ყველგან არიან: ცხენე-  
ბის ფლოტებს ქვეშ უმიშრად დაბოიჯებენ ნაირ-  
ნაირი ფრინველები, კუდქოცინა ძაღლები...  
ჭკვიანურად იმზირებიან ხარები, ცხოვრების კე-  
თოდ საწყისს რომ განასახიერებენ. მხატვრის  
სიყვარულია ჩაქსოვილი ყველაფერში, რაც კი  
ციცხლობს და სულდგმულობს. მოქანდაკე გე-  
ლაპარაკება სიცოცხლის ყოველდღიურ, ჩვეუ-  
ლებრივ სიხარულზე, უბრალო ადამიანურ  
გრძნობებზე. მის ნამუშევრებში ვერ შეხედებით  
ამაღლებულ პათოსს, გარეგნულ ჰეროიკულ-


ბას, ვერც ნალექებს, სევდის რაიმე ნიშანწყალს.  
ჩვენს თვალწინაა ბედნიერი ადამიანებს ბედნი-  
ერი სამყარო. ისინი თავდავიწყებით შრომობენ,  
ერწყვიან ბუნებას, მყარად დგანან მშობლიურ  
მიწაზე, რომელიც უყვართ და აფასებენ თავიანთ  
ადვილს მასზე. ამიტომაც ამ ადამიანებს თავიყე-  
ბური დინჯი ზემოერთა ახასიათებთ.

„ადამიანის სხეულის სიღამაზე მის სიმშვი-  
დემია... რაც უფრო სადაა ხაზები და ფორმე-  
ბი, მით უფრო მეტია სიღამაზე და ძალა“. ენ-  
გრის ეს სიტყვები გვახსენდება, როცა გუჯა მი-  
ქაძის რელიეფებს ვუშვრთ. მხატვარი ფაქი-  
ზად გრძნობს ამ ქანის სპეციფიკას. იგი მუ-  
შაობს ყველა მის სახეობაში: მონუმენტურ, და-  
ზგურ და დეკორატიულ ბარელიეფზე.

მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის მოქან-  
დაკის ხელწერისათვის ერთ-ერთი სახსიათაა  
მონუმენტური ხასიათის ბარელიეფი „მიჯნუ-  
რობა“. ცხენებზე ამხედრებულია ქალ-ვაგი. რი-  
ტმულად მიბოიჯებენ ბედაურები. მიწაზე მჯდა-  
რი ჩიტი და ორნამენტულად დახლართული  
ტოტები ანელეს მათ მოძრაობას. გ. მიქაძის  
ნამუშევრებისათვის საერთოდ ნიშანდობლივია  
სტიტიკა, მაგრამ ამ სტიტიკაში გახსნილი და  
გადმოცემულია ცხოვრებისეული სიმაჩრთლე,  
გრძნობათა სწორფელე. კომპოზიციები პირო-  
ბითადაა გადაწყვეტილი, თვით ფიგურების,  
სხეულის მოძრაობა სშირად პირობითია, ხაზ-  
გასმულია რიტმი. ფორმები მოცულობითია და  
ეს მოცულობითობა ილუზიურია. ეფექტი მიღ-  
წულია ფორმის მკაფიო და დრმა კონტურე-  
ლი მონახაზითა და თავშეკავებული ტონირე-  
ბით, ყავისფრის ხან გაბაიებითა და ხანაც გამ-  
კერივებით.

ამ ბარელიეფთან სტილისტურად ახლოსაა  
„მეცხოველობა“, რომელიც მონუმენტური  
პლასტიკის ყველა კანონს პასუხობს. ეს არის  
ფრიზი, სადც რიტმი იქმნება მოძრაობის ძი-  
რითად მოტივას განმეორებით, სიმეტრია კი  
მიღწევა არა ადამიანთა ზუსტი გამოსახულე-  
ბებითა და განლაგებით წინა პლანზე, არამედ  
მათი სილუეტების მსგავსებით. მეორე პლან-  
ზე ხარების ფიგურებია, რომლებიც, ასე-  
ვე, მაღალი რელიეფითაა დამუშავებული. ამ  
ნაწარმოებში განსაკუთრებით გამომსახველია  
აზრიანი და კეთილი თვალები ხარებისა, ადა-  
მიანის სახსხურისთვის მზად რომ არიან. ფრი-  
ზის ზემოურ-ვაიკურ მონუმენტურობას ერწყმის  
მდეღვარე თემა ადამიანის ბუნებასთან და დე-  
დამიწაზე ყოველივე ცოცხალიან ერთიანობისა-  
ეს მოტივი კიდევ უფრო მძლავრად ჟღერს ბა-





რელიეფში „აღამი და ვეა“, რომელიც მთლიანად სიმბოლოებას და მეტაფორებსა აკებული. აქ ყველაფერი ზღაპრულად პირობითია, ხალხურ ფანტაზიას ემყარება. არქაიზმის შთაბეჭდილებას აძლიერებს ფიგურების ტროსისა და ფეხების შეუსაბამო მოძრაობა. სტილიზაცია, ალგორია მიანიშნებს ხალხის კავშირს მიწასთან. გუგა მიქაძის ნამუშევრებში პირობითობა მუდამ გარკვეული საზღვრის ფარგლებშია და არ გადაიზრდება აბსტრაქტირებაში. მხატვარი ვრძნობს ზღვარს დეფორმაციასა და გაუმართლებელ სტილიზაციამდე და დამაჯერებლად მოაქვს მაყურებელამდე მხატვრული აზრი.

რამდენადმე სხვა პლანისაა მოქანდაკის დაზგური რელიეფები — ქანრული ხასიათისა, მაგრამ არა ნატურალისტურად ჩაფიქრებული, არამედ დრამა პოეტური, ლირიკული. „ქეფი სოფლად“, „შემოდგომა“, „ხუმრობა“ და სხვა — იმ ნაწარმოებებს მიეკუთვნება, რომლებშიც შექმნილია უზრალო, მართალი და ცოცხალი მხატვრული სახეები. დეკორატიულ ბარელიეფებში ხაზები ზუსტია და ამავე დროს სისადავით მომხიბვლელი, დაზგურში — მკაცრი და გარკვეული, მონუმენტურში — მძლავრი. ხის მოზრდილი დაფები, ტუფის ფილები, ტონირებული თაბაშირი და ბრინჯაო — სხვადასხვა ზომისა და კონფიგურაციის ამ მასალებს მოქანდაკე იყენებს მათი ფაქტურული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიუხედავად საგნობრივი სიუხვისა, კომპოზიციები რთობა აჭრებლად, გადატვირთული და დაწვრილმანებული. ბარელიეფები ადვილად იკითხება, მათი პლასტიკური წყობის შთაბეჭდაობა იმასია, რომ შეუცდომლადაა მოტბნილი რელიეფის სიმაღლე ფონთან, ამობურცული და შედარებით დაბალი სიმრტყეების, შექმნილია!

მ. თავაძე

დეკორატიული ფარდაგები


რიტმული მონაცვლეობა. გუგა მიქაძე თავისუფლად ფლობს ბარელიეფის რთულ ხელოვნებას. ამ ნამუშევართა კიდევ ერთი ღირსება ის, რომ მიუხედავად შერტაღი, ნეიტრალური საერთო ტონალობისა, ბარელიეფებში გრძნობთ ცხოვრებისეულ ფერადონებას. თითქოს ყველაფერი გასხვიოსანებულია მზით, ყოველივე აფრქვევს სიხარულს. მოჭანდაკემ შექმნა საკუთარი სამყარო, რომელიც თითქოს ვერ ჩატყულა ბარელიეფის მკაცრ ჩარჩოებში. ეს ხელოვნება სისხლსავსეა, მიღრნადი, სიცოცხლის ტრფიალი და ამიტომაც არ შეიძლება მის წინაშე გულგრილი დარჩე.


მანანა თავაძე არქიტექტორია და უკვე თვალსაჩინო წარმატებებსაც ითვისს თავის სპეციალობაში. მისი პროექტები კონკურსებზე საპატიო პრემიებით, დიპლომებითა და მედლებით აღინიშნა. გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნება შემოქმედის მეორე მოწოდება და გატაცებაა. უჩვეულოა მისი ნამუშევრებისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება. მხატვრული აპლიკაციის ნიმუშები ერთ საგამოფენო დარბაზში ჯერ არ გვიჩინავს. თავდაპირველად თითქოს გაგაოგნებს ტილოების სიჭრელე და ფერადონება, მაგრამ თანდათან სასიამოვნო ზემოურობის განცდა გიპყრობს.

მანანა თავაძე გუგა მიქაძეს აშკარად „ერთაფასევა“ მსოფლმეგრძენით. მისი ნამუშევრებიც მათორულ ტონალობაშია გადაწყვეტილი. ახალგაზრდული დაუოკებლობა იფრქვევა ფერთა შეხამებაში, მათ ხმამაღალ ქედრადობასა და კომპოზიციური წყობის მოულოდნელობაში. თავაძე თავისუფლად, მსუბუქად, ერთგვარად იმპროვიზებულად მუშაობს. ქმნის მხოლოდ საკუთარი თვალთახედვით, საერთოდ მიღებულის გათვალისწინების გარეშე და ამავე დროს გააქვრებს კი-

დეც. საგნები, ცოცხალი არსებები ამ კომპოზიციებში დეკორატიულად გარდასახულია, გამახვილებულია ხასიათის, ნიშანთვისების გამოვლენით. სასაცილოა მიძიმე, მოთუხთუხე სამოვარი პაწაწინა ფიგურების გარემოცვაში, თავშესაქვევით თავისი გაფურჩქნული ბოლოს თვალყირებით გართული ფარშავანგი, ერთმანეთთან შესარკინებლად გამაზადებული მამლაყინები, რომლებიც ამავე დროს ძალზე ლამაზებიც არიან. ფერადონების მხრივ ეს ტილოები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდება. მათ შორის ვხვდებით უფრო დახვეწილ, კოლორიტულად თავშეგაგებულ, დიატონალობაში გადაწყვეტილ ფარდაგ-გობულენებს. მაგრამ, როგორც წესი, ფერთა ლაქების ურთიერთიმეზობლობა ხშირად გვაოცებს მოულოდნელობით, ამაღლებს დიფერებით, ფერის მკაფიო სიძლიერით. თავაძის დეკორატიული ნიჭიერება განსაკუთრებით ჩანს პანოში „კოლუნები“. კიდევ უფრო გაბედულადაა გადაწყვეტილი პანო „მშვიდობა“. სამი ქალიშვილისა და მტრედების ფიგურები წითლის, შავისა და თეთრის შეხამებითა და რიტმული მონაცვლეობითაა გადაწყვეტილი. ტილო ერთდროულად მოიცავს მკაფიო სიმბოლიკას, სტილიზაციას, დეკორატიულობასა და კონკრეტულ დახასიათებას, რაც ძნულად მისაღწევი ამოცანაა. სიხალისე და სილამაზე, რასაც მაყურებელი ეუიარება ამ ნამუშევრების ხილვისას, ამაღლებული განწყობილებით ავსებს მას.

გუგა მიქაძის დეკორატიული ბარელიეფებითა და მანანა თავაძის აპლიკაციური ნამუშევრებით შეიძლება შეიმკას რომელიც გნებავთ ინტერიერი როგორც ბინის, ისე საზოგადოებრივი ნაგებობებისა. ასეთი ნამუშევრები ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული ყოფიზში.





ამა წლის მაისის პირველ დეკადაში თბილისის საგასტროლოდ ეწვია რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რუსთავის თეატრმა თბილისში ჩამოიტანა სუთი სპექტაკლი: ნ. გოგოლის ორმოქმედებანი კომედია „რევიზორი“ (თარგმნა ვ. გუნიაშვილმა). ე. დე ფილიპოს ტრაგედია „ცილონდრი“ (თარგმნა ტ. კანტურიამ). რ. როლანის დრამა „მგლები“ (თარგმნა ვ. კელამეშვილმა). ლ. პირანდელოს სამოქმედებანი ტრაგედია „ავტორის მამიებელი ექვსი პერსონაჟი“ (თარგმნა მ. ტიტინიძემ) და რ. თამბუკაშვილის ცნობილი კომედია „რას იტყვის ხალხი“.

ზემოთ ჩამოთვლილი პიესები ცხადყოფს, რომ რუსთავის თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა წარმოადგინა სხვადასხვა ეპოქის, ხასიათის, სირთულისა და სიმძაფრის დრამატული ნაწარმოებები. ლ. გოგოლის უფთო კომედიას ენაცვლება რ. როლანის წაფრის დრამა, ლ. პირანდელოს ფსიქოლოგიური ხასიათის ტრაგიკომედიას, სადაც აღმართის გაუცხოების საკითხი დასმული, ე. დე ფილიპოს წერილობითი პიესა და რ. თამბუკაშვილის მავნებელი ტრადიციების წინააღმდეგ მმართველი კომედია, როგორც ვებდეთ, შერჩეული რეჟერტური სტალინურად სხვადასხვაგვარი დრამატული ნაწარმოებებისაგან შესდებია, მაგრამ რუსთავის თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა ამ რთულ საქმეს თავი გაართვა და თბილისის მკურნალებს მოწონება დაიმსახურა.

„რევიზორი“ დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა და დირექტორმა, ხელმძღვანელმა დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ, მხატვრულად გააფორმა ა. პელოძემ, ქორეოგრაფია რეისნოვის დამსახურებული არტისტი ი. ზარციკი, მუსიკა შეარჩია დ. ქიშიშვილმა, რეისორის თანამშემუგ ა. არაბული. როლებს ასრულებენ: ი. სეთურიძე (გროლინი), ლ. შოთაძე (ანა ანდრეევანა), ვ. გულიაშვილი (მარია ანტონოვნა), შ. სხირტაძე (ხლოპოვი), ე. სიხარულაძე (მისი ცოლი), ლ. მიშველაძე, (ლაიკინ-წიპაქინი), ლ. ბატიაშვილი (მისი ცოლი), ნ. ხიდურელი (ზემლიანიკა), ე. გოდერძიშვილი (მისი ცოლი), გ. ტყეშელაშვილი (შეკინი), მ. კიკნაძე (მისი



სენა სპექტაკლიდან „მგლები“

სენა სპექტაკლიდან „ავტორის მამიებელი ექვსი პერსონაჟი“

სენა სპექტაკლიდან „რევიზორი“



# რუსთავეის თეატრი თბილისში

კლი), ნ. გამყრელიძე (დობჩინსკი), ა. ბევაშვილი (ბობჩინსკი), ვ. მინდიაშვილი (ხლენცკაოვი) და სხვები.

დ. ფილიპის „ცილინდრი“ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული ნეორეალისტური ტრაგიკომედიაა, რომელიც მსახობებისაგან დიდ უშუალობასა და ოსტატობას მოითხოვს. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. მესხმა. მხატვრულად გააფორმა გ. მღებრიშვილმა, მუსიკა ეკუთვნის დ. წყნაშვილს, სპექტაკლის წამყვანია ა. მძღვერი, როლებს ასრულებენ ნ. მუხომანიშვილი (რიტა), გ. ჭუგუაშვილი (როდოლფო), ჯ. გაგინიძე (ავსტინო), ი. სიბუა (მეტინა), ა. გაბელია (ანტონიო), ლ. ფილფანი (ჯელიო) და სხვები.

ჩ. როლანის დრამაში „ამღობი“ ასახულია ის რთული სიტუაცია, რომელიც საფრანგეთში შეიქმნა დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად. სწორედ რევოლუციის ფონზე გვიხატავს მწერალი წარმომართ არისტოკრატის, მაგრამ რევოლუციისადმი თავდადებული პიროვნებას ტრაგიკულ სპექტაკლი დადგა რეჟისორმა თ. მესხმა, მხატვრულად გააფორმა ა. ქელიძემ, მუსიკა შექმნილია დ. წყნაშვილის მიერ, როლებს ასრულებენ: ი. ბალიაშვილი (ქენელი), ი. სეთურიძე (ტელიე), ლ. ფილფანი (ვერა), თ. დაუშვილი (დუარინი), ს. კიკნაძე (შაბლა), გ. ჩუგუაშვილი (ვიქტორე), ჯ. ლევიანი (ბოუფ), ზ. გამყრელიძე (ენ-ამახლი), შ. სიხიტაძე (ჯაშუში) და სხვები.

ბ. პირანდელოს დრამატურგიაში „ავტორის მამიებელი ექვსი პერსონაჟი“ ერთერთი უცვლელ რთული და საინტერესო ნაწარმოებია. ეპიზოდები აქ ფენებდაა დალაგებული და ეს ფენები მომედების განვითარების მიხედვით ერთმანეთს ეხასიათება. რუსთავეის თეატრის შემოქმედმა კოლექტივმა შესწლო ავტორის ჩანაფიქრის სწორად გახსნა და მაყურებელამდე მიიტანა.

სპექტაკლი დადგა გ. ანთიმე, მხატვრულად გააფორმა მ. მაღალიანამ, მუსიკა ეკუთვნის მ. გვანცელაძეს, რეჟისორის თანაშემწეა დ. ჩხაიძე, როლებს ასრულებენ: ჯ. ჩხაიაშვილი (მამა), ი. სხიტაძე (დედა), ნ. მუხომანიშვილი (ვერა), გ. ჩუგუაშვილი (იანევილი), ლ. კლანაძე (ქაშვილი), ლ. მუხომანიშვილი (გოგონა), ლ. შოთაძე (მადამ პანე), თ. დაუშვილი (დექტორი), ჯ. გაგინიძე (პრეზიერი), ლ. ბალიაშვილი (კრემუერი კლი) და სხვები.

რუსთავეის თეატრის მიერ ჩ. თაბუაშვილის პიესის „რას იტყვის ხალხი“ დადგა ერთერთი საუკეთესო დადგმად ითვლება. პიესა ილაშქრებს მკაფი ტრადიციების, მემკვიდრეობის მორალის წინააღმდეგ. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათიძემ, მხატვრულად გააფორმა ა. ქელიძემ, მუსიკა შექმნილია დ. ტურაბაშვილმა, კორეოგრაფია ბ. მონაჯარდისაშვილი, რეჟისორის თანაშემწე — ბ. არახელი, როლებს ასრულებენ: ი. სეთურიძე (ნესტორი), ჯ. გვირიშვილი (ლლო), ლ. შოთაძე (თამარი), გ. ნუგუაშვილი (ელენე), ნ. დათუაშვილი (სამაოი), ლ. მუხომანიშვილი (ორინი), ბ. ხიდურელი (ბიკიკო), ტ. ტყეშელაშვილი (თამაზი), ბ. კაკაბაძე (ზურია), კ. ბეკია (ვარლამი) და სხვები.



სცენა სპექტაკლიდან „ცილინდრი“  
სცენა სპექტაკლიდან „რას იტყვის ხალხი“







# შიზრნოთ პერიუარის თეატრის შეოქმედაბითი ღონის აქედლებისათვის\*

ნოდარ მახარაძე

სარმალში ქუნალ „ახალ ფილმებში“ წყავითხე სა-  
ქართველოს სსრ სახალხო არტისტის ოთარ მეღვინეთუხუ-  
ცეის ინტერვიუ. ჩემი სადისკუსიო წერილი სწორედ ამ ინ-  
ტერვიუში დასმული კითხვით და მისი პასუხით მიიწა და-  
ვიწყო. მსახიობს ეკითხება კორესპონდენტი: „თქვენი აზრით,  
ნიჭის გარდა, რა არის ყველაზე აუცილებელი, ყველაზე მთა-  
ვარი თვისება თანამედროვე მსახიობისათვის?!“ — მსახიობი  
პასუხობს: „ნიჭთან ერთად აუცილებელია შრომა, ამაზე  
ორი აზრი არ არსებობს. ყველაზე მთავარი თვისებად კი თა-  
ნამედროვეობის აღქმა მიმაჩნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ  
ახლა მსახიობები უკეთ თამაშობენ, ვიდრე ადრე. შეიძლება  
რადაც შედარებით დაბალ დონეზე გააკეთო, ვიდრე ამას  
ადრე აკეთებდნენ, მაგრამ აუცილებლად დღევანდელ მსახი-  
ობსა მშვენიერად“ (საზი ჩემაი ნ. შ.). საესებით ვეთანხმები  
ნიჭიერ მსახიობს. სწორედ რომ დღევანდელ ენაზე მეტყვე-  
ლებს ყველაზე აუცილებელი თანამედროვე თეატრში. და  
სწორედაც ეს გახლავთ „აქტიულების ქუალი“ იმ თეატრებისა  
და სპექტაკლებისა, რომლებსაც მაყურებელი არა ჰყავს.

ტრადიციის განვითარების, ნოვატორიზისა და ძიების  
გზით იქმნებოდა კ. მარჯანიშვილის და ს. ასხეტელის დი-  
ადებული სპექტაკლები, სწორედ იმავე გზით შექმნა რუს-  
თაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრ-  
მა თავისი საუკეთესო დადგმები ამ ბოლო წლებში, სწო-  
რედ ეს იყო ამოსავალი წერტილი ახლადშექმნილი რუსთა-  
ვის თეატრის რამდენიმე საგტაბო დადგმისა და ა. შ. ჩვენი  
ფიქრობს, აი ეს არის თანამედროვე ენაზე მეტყველება, თა-  
ვის ინტერვიუში რომ განმარტავს ბატონი ოთარ.

ზემოთ წამოყენებულ აზრს რომ სწორი განვითარება  
მიეცეს, აქვე მიიწა მოვიყვანო საბჭოთა კავშირის სახალხო  
არტისტის მიხეილ ულიანოვის სიტყვები: „თეატრს მუდამ  
აქვს უფლება ეძიოს. ხელოვნებას სხვა რამ კლავს — ხმაუ-  
რიანი დილენტანტიზმი, ასე ვთქვათ, ყველაფრის უფლებ-  
მოსილება, როცა გაუგებარია, სად არის ხელოვნება“ და სად  
ხელოსნობა, სად არის სიყალბე და სად — შემოქმედება.“  
პერიუარის თეატრების უმეტესობა კი (მე მსგავსელო-  
ბაში მაქვს ფოთის თეატრის მაგალითი, თავისი შესაძლებ-  
ლობების და მონაცემების მიხედვით), გაბედული ძიებით  
და ნოვატორიზით ჯერჯერობით ვერ დაიკვივნის (თუმცა  
იყო ამის ჩანასახი). ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მათ  
დროც კი არ რჩებათ ძიებისა და ექსპერიმენტებისათვის.  
28-30 მსახიობისაგან შემდგარმა დასმა წელიწადში ადგილ-  
ზე, გასვლით და საგასტროლო 350 სპექტაკლი უნდა ითა-  
მამოს, 7 ახალი და 2 განახლებული დადგმა უნდა განახო-  
რციელოს. ამ თბიერტური მიმღე პირობების გარდა არსე-  
ბობს სუბიექტური მიზეზებიც, რომელიც აფერხებს არა მარ-  
ტო ფოთის, არამედ საერთოდ პერიუარის თეატრების შემო-  
ქმედებით აღმავლობას.

აქ ურიო არ იქნება გაეხსენათ ფოთის თეატრში გამა-  
რთული საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“, რომელიც მიყავდა  
კრიტიკოს გურამ ბათიაშვილს, სადაც აღნიშნულია: „წე-  
ლიწადში 375 სპექტაკლი რომ აჩვენო, 40 მსახიობისაგან  
შემდგარი დასი მაინც უნდა გაყავდეს... თუ პიესაში 15 მოქ-  
მედი პირია, უნდა შეგვეტლოს ორმოციდან ავირჩიოთ ის 15  
მსახიობი, რომელიც სწორედ ამ სპექტაკლს სჭირდება. ახ-  
ლა კი რა ხდება! სწორედ მსახიობს ვაძლევთ როლს არა  
მისი შემოქმედებით მონაცემების მიხედვით, არამედ წმინ-  
და ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით: თავისუ-  
ფალია იგი თუ არა. აქედან გამომდინარე, როცა სპექტაკლის

\* გაგრძელება. იხ. „სახალხო ხელოვნება“ №16 2-12, 1974 წ.  
№16 1-4, 6-7, 9-11, 1975 წ. №16 1, 3-6, 12, 1976 წ.

დაბადებამდე მივდივართ კომპრომისზე, შემოქმედებით დონეზე ლაპარაკი უხერხულად კია<sup>43</sup>.

დავეურუნდეთ საკითხს: ალბათ დამეთანხმებით, ზემოთ მოყვანილს რომ თავი დავანებოთ, ძალზე ძნელია ძიებით და ექსპერიმენტით გაიტაცო თეატრის ზოგიერთი მსჯევერა ან აქტიორი (თუ შეიძლება მას აქტიორი ვუწოდოთ), რომელთანაც დავა გვიწევს იმის თაობაზე, რომ დადებითი აზრი იქონიოს რომელიმე ნოვატორულ სპექტაკლზე, ასეთ „აქტიორს“ ძალზე ძნელია მოსთხოვო „დღევანდელ ენაზე მეტყველება“, ასეთები კი არტუთ ისე მცირეა და რა მარტო პერიფერიის თეატრებში! განა ეს დამაფიქრებელი არაა?! დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი კი გვასწავლის: „მცირეების კეთება, ცხოვრებაში საზოგადო და გულის ამრევი რამაა, ხელოვნებაში კი მით უმეტეს“<sup>44</sup>.

თუცა ვფიქრობთ თეატრის შემოქმედი პერსონალის თითქმის 50 პროცენტს ოცდაათწლამდე ასაკისაა; მათ შორის უმეტესობა პროფესიონალია და საკმაოდ ნიჭიერი, მათ შესწევთ უნარი თვლი გაუსწორონ ყოველგვარ ექსპერიმენტს, ძიებას, სიმასხვილს, იმეტიყველო თანამედროვე ენაზე, თუ სათავეში სწორი წარმართველი ძალა ეყოლებათ... მაგრამ, მათ კარგ წამოწყებას, რატომღაც ეგვიტ უცქერენ, არ სჯერათ მათი. ახალგაზრდებს კი მეტი საკმაიანი და პრინციპული მხარდაჭერა სჭირდებათ როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან, ასევე ზემდგომი ორგანიზაციისაგან, მათ მხარდაჭერა სჭირდებათ პრესის, ტელევიზიის საშუალებით, რაბა სწორად იქნას განალოზებული ჩვენი შემოქმედებითი ნაბიჯები.

მაგრამ ასე როდია, ადრე ვწერდი და კვლავ ვიმეორებ. საქალაქო თუ რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიების შემეტსობა ძალზე დაბალი დონისაა (თავს ვიკავებ რესპუბლიკურ პრესაზე), რადგან მათი ავტორები, ძირითადად, შემთხვევითად ამოიანები არიან ხელოვნებაში, ამ რეცენზიების წყითლ ზოლად გასდევს ერთფეროვნების და ნიველირების პრინციპი. მათი ავტორები რატომღაც ერთდებან, უფრო სწორად, არც შესწევთ უნარი, სწორა აზრი მიაწოდონ მსოხველს, სწორი გზა მისცენ ახალგაზრდა მსახიობს, რეჟისორს, მხატვარს, მასკერებს... ერთი სიტყვით, რაიონულ თუ საქალაქო გაზეთებში, რეცენზიები უფრო მეტად იმეტიება ვალის მოხსენი მინხით, საზემო სათარებთა და განწყობილებით, რომლებსაც ზიანის მოტანა უფრო შეუძლიათ, ვინემ — სიკეთისა. მოვიყვან ორ მაგალითს ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხეთიდან“. ერთ-ერთ რეცენზიაში, რომლის სათაურია „მხარეული სპექტაკლი“ (სპექტაკლი სულ მალე ჩამოვიდა სცენიდან, როგორც რეჟისორული და აქტიორული ძალზე დაბალი დონის ნაწარმოები), წერილის ავტორი ქება-დიდებას ასხამს სპექტაკლს და ბოლოს ასკვნის: „რა შეიძლება ითქვას როლებების შესრულებაზე? ნესტანი ქალაქიდან ჩამოსული 17 წლის გოგონაა. მას სოფლის ცხოვრება თავისებურ რომანტიკად აქვს წარმოდგენილი, ხოლო მკაცრ რეალობას რომ წააწყდება, იბნევა, მაგრამ გოგონას აღმოაჩნდა ნებისყოფა და შინა-

განი ძალა გადალახოს სინელები და სასარგებლო ადამიანი გახდეს სოფლისათვის. მსახიობი ლ. ბოდაველი კვინის ნესტანის დასამახსოვრებელ სახეს... ნესტანი-ბოდაველი არსებითად მოვარე ვიგურაა სპექტაკლში“<sup>45</sup>. რა მივიღებ? რა მივაწოდებ მკითხველს, რას ვურჩევ მსახიობს? ეს მხოლოდ ზედაპირული მსჯელობა და სხვა არაფერი. აი ნაწყვეტი მუდრი რეცენზიიდან: „მრავალი პირობითობის და ნატურალიზმის ელემენტების ჭარბმა თავმოყრამ საბოლოო ჯამში სცენა გადატვირთა და ზემდგომ ნატურალურად წარმოვიდგინა სამოქმედო არე“<sup>46</sup>. გაუგებარია, თუ „მრავალი პირობითობა“ დაგვეხუი სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში, „ზედმეტად ნატურალურად“ რამ გადატვირთა სამოქმედო არე? ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება სხვადასხვა გასუთებიდან... ერთი სიტყვით, მრავალ სინელებთანაა დაკავშირებული და გაცილებით რთულია ახალგაზრდა რეჟისორის, ახალგაზრდა მსახიობის მუშაობა პერიფერიაში. ეს კი ერთ-ერთი ფაქტორია იმისა, რომ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სათეატრო ხელოვნების აღმავლობის პროცესი პერიფერიაში.

... დღესდღეობით, არა მგონია, მხოლოდ შინაარსის გადმოცემისათვის დგამდეს რეჟისორი აქ თუ იმ პიესას, თეატრს, რა ახალი ხერხები გამოიყენა მხატვრობა, რა კუთხით მიუდგა რეჟისორი დრამატულ ნაწარმოებს, რა დანიხა ახალი სხვისთვის შეუმჩნეველი პიესაში, რა პოზიცია გააჩნია თეატრს და სხვა. რადგან „როგორი სიამართლი არ უნდა ასახო ბუნება, ადამიანი, ჩვენ გვიზიდავს არა სიუჟეტი, არა ზედმიწევნით სისუსტე, არამედ შენი ის პირადი, რაც ჩააქსოვ შენს ქმნილებაში“<sup>47</sup>. თორემ მხოლოდ შინაარსის გადმოცემისათვის დადგმულ კლასიკურ პიესასაც კი არ ეჩნება მხატვრულ-სესტეტური ღირებულება თუ იგი „თანამედროვე ენაზე“ არ ამეტყველდა. არის ამის მაგალითებიც.

აქვე მინდა დავძინო, რომ სწორია არ იქნება თუ თეატრები ერთმანეთს დაემსგავსებიან დადგმის სტილით, მანერით, ერთი სიტყვით, ერთმანეთს თუ გაიმეორებენ. აქვს კ. მარჯანიშვილი მინდა მოვიშლით: „ჩვენ ვიცით, რომ თეატრს, უპირველეს ყოვლისა უნდა მოიპოვოს თავისი განსაზღვრული ფიზიონომია, შესაძლებლობისა მიხედვით გადაწყვიტოს ის პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დგას“<sup>48</sup> — ასე გასინჯეთ, არ იქნებოდა ცუდი თუ თეატრები ეანრობრივად განსხვავებული იქნებოდნენ ერთმანეთისაგან. აქ მასხსენდება ფოთის თეატრის ერთი მაგალითი: ეს იყო ორი წლის წინათ, სუზონის გახსნის წინ თეატრის რეჟისორმა და დამდგმულმა რეჟისორმა დაიბარეს დასის ყველა წევრი სათითადად და თითქმის მთელი კვირის მანძილზე საჭიანი საუბარი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მომავალში თეატრის მუშაობა, როგორი უნდა ყოფილიყო თეატრის საერთო სახე, მისი პროფილი, ხელმძღვანელობა გულდასმით უსმენდა სათითაოდ ყველა მსახიობს, მათ აინტერესებდნენ დასის თვითველი წევრის აზრი (საყურადღებო შენიშვნებს იყურდნენ), ერთი სიტყვით, წინა სუზონის მუშაობა მისამაზადებელ პერიოდად ჩათვალეს და

6. „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1977.



ასლია გზისა და ხერხების პოვნის ცდილობდნენ მომავალი სენსონისათვის. იმ დღესკანამდე მივლინებ, რომ თეატრს უკვე სხვებისგან განსხვავებული თავისებური სახე უნდა მიეღო თუნდაც დაეფუძნა სატარული კომედიისა, რადგან ა. მარჯანიშვილი ამბობს: „სატარულ კომედიას, იმ ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, თითქოს მართლაც აქვს კავშირი იმ ელემენტებთან, სადაც ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩინასახი ჩვენი ნაციონალური თეატრის...“ თეატრს ამის საფუძველი მართლაც გააჩნდა, ჩატარებული ჰქონდა მოსამზადებელი სამუშაოები, რადგან მის სცენაზე დამაჯერებლად აედურდა მძაფრა სატარული კომედიები, როგორცაა ი. ვაკელის „აპარკუნე ჭიმჭიმელ“, მ. ჩახავას „ახირებული კაცი“, რობერტ ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი“, შუკუნის „ენერჯენტული ადამიანები“, გოგოლის „რევიზორი“ და სხვა. თუმცა ეს იმას როდენიშნავდა, რომ თეატრი ხელს აიღებდა დრამაზე, ტრაგედიაზე, კომედიაზე თუ სხვა ჟანრზე, მხოლოდ ძირითადი სახე მიიღო, სხვებთან განსხვავებული — სატარულ კომედიური გზით უნდა წარმართულიყო (ამ ეპოქის თეატრი კი ჟურჯრუბით არა გვაქვს სატარულით). მაგრამ მოხდა ისე, რომ თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, სხვადასხვა რეჟისორს სხვადასხვა სტილი და გამოვლილება გააჩნია, ხელმძღვანელობამ თეატრი კვლავ დაბრუნა ძველ „ტრადიციულ“ გზებს, უფრო სწორად, ცლილობას... მაგრამ ჟურჯრუბით ვერ „მოხერხდა“, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თეატრშია ახალგაზრდობის მძლავრი ბირთვი, რომლებიც გაცხიბულნი არიან შემოქმედებითი ძიებით, ძიების გარეშე კი სათეატრო ხელშეწყობა წარმოუდგენელია.

ერთი სიტყვით, თეატრში შემოქმედებითი ხელმძღვანელობის — რეჟისორის ხშირი ცვლა იწვევს მისი სწორი გამიზნული გზის აღრგას, თქვენ წარმოიდგინეთ, გამრუდებასაც კი ერთ-ერთი მიზეზი ქვსაც გახლავთ პერიფერიის თეატრების მხატვრული დონისა.

ყოველივე ზემოთ თქმულის დროული გამომხატურება გახლავთ ფოთის საქალაქო გაზეთის „ახალი კოლხეთის“ მოწინავე საქტა „თეატრი და დრა“, სადაც ნათქვამია: „თეატრი (იგულისხმება ფოთის თეატრი) კვირ კიდევ სრულყოფილად ვერ პასუხობს დროისა და მყურებლის მოთხოვნებს. ამის მიზეზები ახლო წარსულის ნეგატიურ მოვლენებში უნდა ვეძებოთ. დასამალი არ არის, რომ ჩვენმა თეატრმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მაყურებლობით, პოზიციების ერთგვარი დაბრთბობით, დაკარგა იგი. ამანაც თავის მხრივ რასაკვირველია, გავლენა იქონია შემოქმედებითი პოზიციებზე, მაგრამ ეს არ ამართლებს თეატრის კოლექტივს, რომლის მიერ შექმნილ მალამხატვრულ საქეტაკლებს და მხოლოდ მათ, შეუძლიათ დაიბრუნონ მაყურებელი, რომლის გარეშე არ არსებობს თეატრი.“<sup>10</sup>

დაბოლოს ასევე: „ჩვენი თეატრი უნდა შეეცადოს დადგეს მოწინავე პოზიციებზე. იგი ერთი წუთით არ უნდა ჩამორჩეს ცხოვრების სწრაფ მდინარეს“; ჩემს მიერ ზემოთ თქმულის სრული დადასტურება გაზეთის მწვევე განცხადება, რომელიც ყურად უნდა იღოს თეატრის ხელმძღვანელობამ და მიეღმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, აგრეთვე იმან, ვინც დანტერგებულმა მისი მომავალი ბედი.

გასულ წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოქვეყნა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის და კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის და

კრიტიკოსი გურამ ბათიაშვილის დილოგი ახალგაზრდობისა და თეატრის ურთიერთობის შესახებ, სათაურით „იძულებულს გყოფს გულგრილი არ დარჩე“,<sup>11</sup> რომელშიც მრავალი სანტერესო და ყურადღაღები პრობლემა დასმული. თუმცა დილოგში არის ერთი საჩიოთრო აზრი წამოთქმებული, რომელზედაც განიდა ყურადღება გავამსახვილო.

გ. ბათიაშვილი: — რა გავლენას ახდენს ახალგაზრდა მაყურებლის აღზრდაზე ეს გარემოება, რომ ჩვენში თეატრები თავიანთი შემოქმედებით დონით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

აკ. ბაქრაძე: — ჩემი ფიქრით, უარყოფითი გავლენა. საერთოდ, უნდა მოვხსენიოთ, რომ ქართული თეატრის არასტაბილური შემოქმედებითი დონე მწვევე პრობლემატიკითაა დაკავშირებული, იგი მოგვარებას მოითხოვს, რა თქმა უნდა, ფიქრი იმისა, რომ ყველა თეატრის მაღალ შემოქმედებით დონეზე აყვანა შესაძლებელიაო, გულწრფელია იქნებოდა, მაგრამ რეალური მისაღები ნატივული დონის შექმნა შესაძლებელია და აუცილებელი...<sup>12</sup> სასესიო ვითარებები... მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად, ჩემი ფიქრით, აკ. ბაქრაძე არასწორ დადებულებას გვითავაზობს: „ახლა საქართველოში 22 თუ 23 თეატრია, მაგრამ, ვთქვით გულახდილად — ჩვენი რესპუბლიკის პირობებში შეგვიძლია კი ჩვენ 23 მაღალი შემოქმედებითი რანგის თეატრის შექმნა როგორც შემოქმედებითად, ისე მატერიალურად? ხომ კარგად მოგესხნებათ, თვითმული ეს თეატრი სხვადასხვაგვარ, არა-თანაბარ მატერიალურ-ეკონომიურ პირობებში მუშაობს, მუშაობს იმიტომ, რომ თანაბარი კარგი პირობების შექმნა არ ძალგების. ამიტომ მე პირადად მიზანშეწონილად მიმაჩნია თეატრების რაოდენობის შემცირება. ამ თვალსაზრისით ასეთ პროექტს შემოვთავაზებთ: საქართველოში სრულიად საქმარისი 9-10 — მაქსიმალური თეატრის არსებობა. თეატრები უნდა იყოს — თბილისში, თელავში, ცხინვალიში, ახალციხეში, ქიათურაში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, სოხუმში.“

ჩვენ ყველა თეატრზე, რომლებიც ამ სიაში არ მოხდნენ, ერთიანად შეგეტყვია გული, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემ, მხოლოდ ფოთის თეატრის მასპატივად უფიქრობო ხმა. თანაც გაკვირვებითა და სინანულით ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ თეატრებს ერთი ქომაგიც არ გამომსწინებიათ ჩვენს რესპუბლიკურ პრესაში. თუ რომელიმე პერიფერიული თეატრი ვერ დგას სათანადო შემოქმედებით დონეზე, უფუხობდა, ვიზრუნოთ მისი გაძლიერებისათვის და არა დახურვისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენ წავიკითხეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული აკ. ბაქრაძის სადისკუსიო წერილი, რომელსაც დიდი მოწონებით შევხედით, განსაკუთრებით ის აზრი მოგვიტანა, რომ დედაქალაქში თავმჯიყრილი ინსტიტუტების მეტი ნაწილი გადატანილი იქნას რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამით კიდევ უფრო შემცირდებოდა ახალგაზრდობის პირველადი სოციალური დონა, რაიონებიდან... და ე. წ. პერიფერიული ქალაქები „მკედარ ბრიგადებდა“ არ გადაიქცევა... ეს საშეიღმევილო საქმეა, ჩვენც მივსადავებოთ... მაშინ აკ. ბაქრაძე ფოთში უცხო ენათა ინსტიტუტის გადმოტანას გვთავაზობდა (არცთუ უსაუფლებლო); დღეს კი... ქალაქ ფოთში ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა — თეატრი საქართველო აღარ არისო. სანამ ასეთ რადიკალურ აზრს გამოთ-



ქვამდ, ჩემი აზრით, უნდა ძირფესვიანად შეისწავლო ყველა რაიონის თუ ქალაქის საერთო ცხოვრებისა და კულტურის დონე, მისი წარსული, აწმყო, მომავალი და შემდეგ გააკეთო დასკვნები.

მე არ შეუდგებო მტკიცებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ვაგრან, რუსთაველი, ცხინვალში, სოხუმში, ხალციხეში თუ სხვაგან. მაგრამ როგორც ცნობილია, კოლხეთის გული — ფოთი (აღმოსავლელი ფაზისი) უსუსოვარი დროიდან ეზიარა სათეატრო სანახაობით ხელოვნებას. კოლხეთში ანტიკური ხანიდან არსებობდნენ თეატრები, ისი. დროები, რომელთა „ნაშთებისათა“ კვალად დღესაც არის შემორჩენილი. ფოთი (ფაზისი) ერთ-ერთ უდიდეს სანახაობრივ ქალაქს წარმოადგენდა და წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროზე აღმოსავლეთში, და, როგორც ტყიან ტბიბიქ აღნიშნავდა: „თავის მღებარეობით ყოველთვის პლატდარში იყო და არის ახალ კულტურათა შეკავებისა“.<sup>13</sup>

ამჟამად კიდევ უფრო გაიზარდა ფოთის ნავსადგურის და საერთოდ ქალაქის როლი, არა მარტო რუსულბოლისის, არამედ საკავშირო მასშტაბითაც. აქ თამოყრბილია, როგორც რესპუბლიკური, ასევე საკავშირო მნიშვნელობის მრავალი საწარმო თუ ქარხანა, სადაც ათასობით მუშა, ტექნიკოსი და ინჟინერი მუშაობს ქალაქში კი მშრომელთა ძირითად სულიერი და ესთეტიკური აღზრდის კერას ქართული თეატრი წარმოადგენს.

აქ კვირაობით დგას ათობით უცხოეთთა გემი, რომელთა ეკიპაჟი თვალდათვლივ ეცნობა ქალაქის დირომესანიშნაობას. დადის მუხუფში, თეატრში და სხვა. შეძლება რომელიმე უცხოელს აქ ნახაბი სპექტაკლით დამახსოვრდეს საქართველო, ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება და მის მიხედვით შეიქმნას შთაბეჭდილება ჩვეს ვრზე, ჩვეს ხალხზე, ჩვეს აწმყოსა და მომავალზე. არის ამის მაგალითებიც. ესეც არ იყოს, ფოთი ინტერნაციონალური ქალაქია, აქ ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ სხვადასხვა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენლები. ისინი ალბათ თავის მშობლიურ ხალხთა კულტურასთან ერთად დაინტერესებულნი არიან, ან უნდა დაინტერესდნენ ქართული ხელოვნებით. ამას ითვალისწინებს ინტერნაციონალური აღზრდა.

მე ვფირობ, მარტოდენ ამა თუ იმ ქალაქში, ან რაიონში აგებული, ყოველმხრივ სრულყოფილი სათეატრო შენობა (როგორც აქ. ბაქრაძე თეატრითებთს) საქმეს ვერ უშველის, თუ შიგ მღებარეობით გარკვეული კოლექტივი არ იმუშავებს. ვერც მარტო თბილისის, ქუთაისის ან სხვა რომელიმე ქალაქის თეატრის სეზონური გასტროლები დააკმაყოფილებს აქაურ მშრომლებს. გამოსავალი, როგორც აქ. ბაქრაძე აღნიშნავს, — მხოლოდ ერთიანი, მისაღები გარკვეული მხატვრული დონის შექმნასა და მის შენარჩუნებაში უნდა ვეძიოთ. ეს კი განუზომელ ენერგიას, დიდ დროს და, მე ვიტყვი, თავგანწირვასაც კი მოითხოვს თეატრის მესვეურთაგან.

სწორედ პერიფერიის თეატრებში უნდა ვებრძოლოთ დაუნდობლად უნიჭობასა და პრივილეგიულობას, თავი უნდა დაავლწიოთ საქმის გაიოლების ხერხს: — აქაოდა, პერიფერიაში ვმუშაობ და მეტი არ მომიეთხოვებაო... არის ამის მაგალითებიც: ვაღმგვინებთ საეჭვო რეჟისორს ბიჟესის, ვდგამთ საეჭვო დრამატურგების ნაწარმოებებს და შემდეგ, გასინჯავაზე გავიხაბით: — სპექტაკლის თემატსა არ შეიძლე-

ბა, გეგმა ჩაგვიგარდებდა და პრემიას დავკარგავო!... აქაოდა, ვის სჭირდება ასეთი გზით მიღებული პრემია? აქაოდა, ვის გავისხრის მიმდინარე სეზონის დაწყების წინ საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის შეხვედრა თეატრის შემოქმედებით კოლექტივიან, სადაც თეატრის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დიდი სიხარულით აღნიშნა ნთვის საწარმოო საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება და პრემიების მიღება. პარტიას უწელით კომიტეტმა კი ასე გვიასახუა: — სჯობდა თუნდაც ერთი მაკლი დონის სპექტაკლი შეგვექმნა და გვემის გადაჭარბებით შესრულებაზე შემდეგ ვეგლარაკაო... ეს სწორი, დასაფრთხილებელი პასუხია. დაიბ, თეატრში მთავარია შემოქმედება, ხელოვნება და არა ხელოსნობა. ამისათვის ყოველგვარი სიძნელე უნდა დავდელით, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ახლოს მივიდეთ. მაშინ მავანი და მავანი რეჟისორის, მსახიობისა თუ თეატრის რომელიმე თანამშრომლის შრომას, იოლ შრომად არ მიიჩნევის და არ გვეტყვის: — რა გიჭირს ძმაო, თეატრში მუშაობ და... ერთიბიო! — რაც არატრფლ ვამოეზიბო.

ან კიდევ, არ იქნებოდა ურიგო: დედაქალაქში თავმოყრილი რეჟისორები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უსაქმიოდ სხედან, დაძრულიყუნენ ე. წ. პერიფერიის თეატრებისაკენ, არა დროებით, ერთობლი სეზონით, არამედ მუდმივად, რადგან, როგორც აქ. ბაქრაძე სამართლიანად აღნიშნავს, ყველა თეატრს, სადაც არ უნდა იყოს იგი, მივარდნილ პერიფერიაში თუ დედაქალაქში, თითქმის ერთნაირი მხატვრული დონე უნდა გააჩნდეს. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელია, მაგრამ ამას მოითხოვს დღევანდელი მკურნების გაზრდილი გაიოვნება. ერთი სიტყვით, მანიშუმამდე უნდა მიმცირდეს ზღვარი დედაქალაქისა და პერიფერიის თეატრების შემოქმედებით დონეს შორის.

**შენიშვნები:**

- 1 სარეკლამო ეურ. „ახალი ფილმები“ № 12, 1976 წ.
- 2 ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 1977 წ. გვ. 64.
- 3 ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1974 წ. გვ. 95.
- 4 ე. მარჯანიშვილი. „შემოქმედებითი შეკვლარეობა“, გამოც. „ხელოვნება“ 1972 წ. ტ. I გვ. 255.
- 5 ვაზ. „ახალი კოლხეთი“, 1976 წ. I ივნისი № 65.
- 6 ვაზ. „ახალი კოლხეთი“ 1977 წ. 23 იანვარი № 6.
- 7 ე. მარჯანიშვილი. „შემოქმედებითი შეკვლარეობა“, გამოც. „ხელოვნება“ 1972 წ. ტ. I გვ. 266.
- 8 იქვე, გვ. 238.
- 9 იქვე, გვ. 188.
- 10 ვაზ. „ახალი კოლხეთი“ 17 თებერვალი 1977 წ. № 21.
- 11 ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1976 წ. 29 ივნისი № 76.
- 12 ტ. ტაბიძე. „წარსული და ნარკვევა“ გვ. 241.
- 13 ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975 წლის 14 თებერვალი, № 7, გვ. 2.



# მობონებების წიგნი\*

ჩემი ცხოვრების მანძილზე, სიჭაბუკეშიაც და შემდეგაც, გატაცებით ვაგროვებდი ხელოვნების ნიმუშებს. ცოტაოდენი კოლექციაც მაქვს... ამ კოლექციის ერთ-ერთი ექსპონატია ბრინჯაოს ძველისძველი, პატარა სატყევერი, რომელიც ერთხელ, კახეთში ყოფნის დროს, მაჩუქეს... ვინ იცის, როდინდელია! ძალზე ფაქიზი გომოვნებითაა ნაკეთები, მომწვანო ფერები დაჰყვება... სახელური კი იმდენად პატარა აქვს, ხელს რომ შემოუჭერ, არ ჩანს... ამ სატყევერმა რაღაც ასოციაციით მამაკაცებთან მითოლოგიური ამორძალების ბრძოლის ისტორია გამახსენა. შესაძლოა, ასეთი რამ კახეთის მიწაზეც მომხდარიყო. სატყევერიც იმიტომ არის პატარა, რომ იგი, ალბათ, ქალს ეპყრა ხელთ. ვგულისხმობ ქართველ ქალს, რომელსაც არაერთხელ დასჭირვებია მომხედურ მტერთან შებრძოლება.

აი, ეს იდეა დაეღო საფუძვლად ჩემს ერთ-ერთ სურათს, რომელსაც „დაჭირილი ამორძალი“ ჰქვია.

